# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 25 ოქტომბერი 1997 №133 (498) ფასი 50 თეთრი

# ნავაძე ფედერაციის ნავიდან გადახტა

## მსაჯებს მითითებებს ფედერაციის გენერალური მდივანი აძლევს — დაადანაშაულა გუშინ დავით კვინიკაძე „მერანის" პრეზიდენტმა

ჭადრაკის სახახლეს მრავალი ოხტატური სვლა, თუ პარტია ახსოვს, მაგრამ ამჯერად არასაჭადრაკო, კონკრეტულად კი საფეხბურთო სვლის მომსწრენი გავხდით. „მერანი-91"-ის პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ ფიგურებს გეზი უცვალა და საწინააღმდეგო მიმართულებით აამოქმედა. ფედერაციაში გამეფებულ ვითარებაზე ამ ბოლო ხანებში პირველად ისაუბრა ფედერაციის აღმასკომის აწ უკვე ყოფილმა წევრმა. პრესკონფერენციის საბაბი კი ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გახლდათ, რითაც „მერანი" მკაცრად დაისაჯა. ნავაძემ გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაიზიარა, მაგრამ გამომწვევ მიზეზებზეც ვრცლად ისაუბრა.

პრესკონფერენცია დიდხანს გაგრძელდა, ამის გამო გთავაზობთ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.

საუბრის დაწყებამდე „მერანის" პრეზიდენტმა დამსწრეთ „ოდიშ" — „მერანის" და „მერან" — „ბათუმის" შეხვედრის სადავო ეპიზოდები აჩვენა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო საუბარი:

— „მერანმა" წარუმატებელი სტარტის შემდეგ ზედიზედ ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ „ოდიშთან" წავაგეთ. ამ მატჩმა გაგვანაწყენა, რადგან მსაჯმა დროს გადაამეტა და რაც მთავარია, „მერანის" კარში აშკარა თამაშგარედან ჩათვალა გოლი. რა თქმა უნდა, მოთამაშეების მსაჯთან კამათს არ ვამართლებ, თუმცა, უმიზეზოდ არავინ მოიშლის ნერვებს. ცრუ გოლის შემდეგ მერანელი ჯიშკარიანი მივიდა ლაინსმენ გაბრიაძესთან, რომელსაც თამაშგარის დასაფიქსირებლად ალამი ჰქონდა აღმართული და ეს სიტყვიერადაც დაუდასტურა. ჯიშკარიანმა მსაჯ დოგრაშვილს სთხოვა, ლაინსმენისკენ გაეხედა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავისი გადაწყვეტილება გადათქვა, რადგანაც სტადიონზე ისეთი ვითარება შეიქმნა, შეუძლებელი იყო, გოლი არ ჩაეთვალა. ამ შემთხვევაში დიდი უსიამოვნებები მოხდებოდა. თამაში თავის დროზე რომ დამთავრებულიყო, ეს ინციდენტიც არ მოხდებოდა და „მერანიც" არ წააგებდა.

იხილეთ მეორე გვერდი





## გიორგი კანდელაკი

## კობა გოგოლაძე

# მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო არის, შანსია, ოქროც გველირსოს

უნგრეთიდან, მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან, ჯერჯერობით საჩვენოდ კარგი ამბები ისმის. კობა გოგოლაძემ (60 კგ) მეოთხედფინალში თავის ძირითად კონკურენტს ამ წონაში, მსოფლიოს ჩემპიონს და ატლანტის ოლიმპიადის პრიზიორს რუმინელ ლეონარდ დოროფტეის აჯობა. მათი შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა, მაგრამ კობამ ბოლომ დაარტყა მეტოქეს, მასზე აქტიურიც იყო და მსაჯებმა გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს. სამწუხაროდ, ამ შეხვედრის ბოლო რაუნდში გოგოლაძემ თითი მოიტეხა, მართალია, კობამ შემდეგი შეხვედრაც იჩხუბა მონღოლ მოკრივესთან, მაგრამ ტრავმირებულმა პირველსავე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ჩვენი მთავარი იმედი, ევროპის ჩემპიონი გიორგი კანდელაკი კი განაგრძობს ბრძოლას და ჯიუტად მიიწევს ოქროს მედლისკენ. წუხელ გიორგიმ ბელარუს სერგეი ლიახოვიჩს 5:3 სძლია და ფინალში გავიდა. არადა, ჩემპიონატამდე კანდელაკმა მხოლოდ ერთი თვე ივარჯიშა, მანამდე ერთი წელიწადი ხელიც კი არ გაექნია და ვერცხლის მედალი უკვე ჯიბეში უდევს. ეს იშვიათი ტალანტი ფინალში დღეს კუბელ ალექსის რუბალკაბას შეერკინება, რომელმაც იტალიელი პაოლო ვიდოძი 13:7 სცემა.

გუშინვე რუსეთის სახელით მოასპარეზე ჩვენებურმა პაატა გვასალიამ შვედ ტონტონ სემაკალას აჯობა ნახევარფინალში 10:5 და ერთი, მაგრამ ძნელი ნაბიჯიღა დარჩა მსოფლიოს ჩემპიონობამდე. ბოლო ბრძოლის გადახდა კი გვასალიას რუმინელ დორონ სიმიონთან მოუწევს.

# სად ბარსელონა, სად კალაძეო

ერთ-ერთ წინა „სარბიელში" გამცნეთ, უკრაინული კიევის „დინამოს" მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველ კახა კალაძით დაინტერესდაო. ამ ინფორმაციის გადამოწმება ჩვენს უკრაინელ კოლეგას ვთხოვეთ, რომელმაც სხვა დრო რომ ვერ იხელთა, „დინამო" — „ბარსელონას" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციისას ჰკითხა ლობანოვსკის კალაძეზე. ვალერი ვასილევიჩს კი გაუკვირვია ეს თემა, დღეს რამ გაგახსენათო, მაგრამ ესაც უთქვამს: მართალია, სერიოზული მოლაპარაკებები ჯერაც წინაა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ კალაძე მომწონს და კიევში მის ჩამოყვანას ვეცდებიო.

# შელიას სიტელი გახდა

წუხელ მანჩესტერში გიორგი ქინქლაძეს შევეხმიანეთ, უკვე გვიანი იყო და შელიას ეძინა, გიომ კი ეს გვითხრა: მურთაზმა „მანჩესტერ სიტისთან" ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და დღეიდან ჩემი თანაგუნდელი იქნება. პირველად როდის ითამაშებს, ძნელი სათქმელია, ერთადერთი პრობლემა სამუშაო ვიზის მიღებაა. ორშაბათს მურთაზი თბილისში ჩამოვა და ჩემზე უკეთ თავად გეტყვით ყველაფერს. ისე კი, კლუბის ხელმძღვანელობა დიდად კმაყოფილია შელიას გადმობირებით, მისი იმედი აქვთ, ამბობენ, იქნებ მეორე ქართველის შეძენამ მაინც დაგვაბრუნოს პრემიერლიგაშიო. რაც შეეხება კახა ცხადაძის ტრანსფერს, ჯერ არაფერი გარკვეულა, თუმცა კი, არც იგი დავიწყნიათ და ორ კვირაში მასთანაც აპირებენ სერიოზულ მოლაპარაკებას.

# საიდან სადაო?



შინ ხორვატიასთან, სტუმრად კი დანიასთან გამარჯვებებით ქართველმა „ბორჯღალოსნებმა" მსოფლიო თასის პირველი შესარჩევი ციკლის ორი ბარიერი გადალახეს, მაგრამ წინ კიდევ ორი მატჩია — უდავო ფავორიტ იტალიასთან და რუსეთთან.

იტალია იქეთ იყოს. ალბათ სწორედ საქართველო — რუსეთის 20 მაისის მატჩში გაირკვევა დასკვნითი შესარჩევი ეტაპის მეორე საგზურის მფლობელის ვინაობა. ჰოდა, ჩვენი არ იყოს, რუსებიც იქეთ იყურებიან და... ხორვატებთან ამასწინდელმა, შეიძლება ითქვას, მოულოდნელმა მარცხმა დიდი თავსატეხი გაუჩინა რუსული სპორტის მამებს.

ისინი აშკარად უკმაყოფილო არიან ნაკრების მთავარი მწვრთნელის, კრასნოიარსკელი ვლადიმერ გრაჩოვის მუშაობით და თურმე შეცვლას უპირებენ. ეს საკითხი რუსეთის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის, ბატონ ვლადიმერ დოროფეევის გადასაწყვეტია. მწვრთნელის პოსტზე მას უკვე რამდენიმე კანდიდატურა შესთავაზეს და დოროფეევიც არჩევანს მალე გააკეთებს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რუსი მორაგბეების სავარაუდო თავკაცთა სიაში ქუთაისის „აიასა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის, დუგლას კავთელაშვილის გვარიც ფიგურირებს. დოროფეევი უფრო მის კანდიდატურას ემხრობა. თუმცა, ვნახოთ...

იტყვით, საიდან სადაო?.. არადა, აქ არაფერია გასაკვირი. კავთელაშვილის პროფესიონალიზმში ეჭვს ვერავინ შეიტანს. სხვა საქმეა, რომ ქუთაისში მას გუნდისთვის ურთულეს პერიოდში არავინ ამოუდგა მხარში, თავის დროზე კი არც საქართველოს ნაკრებთან მუშაობა აცალეს.

**იუზა ქაციტაძე**

დღეს ლუცერნში იწყება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელზეც საქართველო ქალებით წარდგება.

გუშინ გამართულმა წილისყრამ ჩვენს ქალებს პირველ ტურში ყაზახეთის გუნდი დაუპირისპირა. ჩიბურდანიძე (თეთრებით) ეთამაშება კაცურს, იოსელიანი (შავებით) — ირხანოვს, არახამია (თეთრებით) — ჯუზგალიევს, გურიელი (შავებით) — თემირბაევს.

დღეს შემოგთავაზებთ ლუცერნში „სარბიელის" კორესპონდენტის ემზარ ზენაიშვილის პირველ წერილს.

# აჯობებს კორჩნოი ჩიბურდანიძეს?

არ ეთმობა საჭადრაკო ტალანტებითა და ტრადიციებით ღარიბ შვეიცარიას ყველა რანგის საჭადრაკო ბატალიების მასპინძლობა.

ლუცერნის საჭადრაკო ტრადიციებს ზუსტად ამ ოციოდე წლის წინ, 1977 წელს, ფიდეს კონგრესის ჩატარებით ჩაეყარა საფუძველი. ამას მოჰყვა ამ ორგანიზაციის ეგიდით სხვადასხვა ტურნირების ხშირად გამართვა. 1982 წელს აქვე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესი. იმავე წელს ლუცერნი 25-ე საჭადრაკო ოლიმპიადას მასპინძლობდა — იმ ოლიმპიადას, რომელზეც საბჭოთა კავშირის გუნდი მხოლოდ ქართველი მოჭადრაკე ქალებით — ნონათი, მაიათი და ორი ნანათი იყო წარმოდგენილი.

— მართლაც, რა საშინელება და უნამუსობა იყო, მხოლოდ ქართველებმა მოვიგეთ, ჩემპიონობა კი რუსებს მიეწერათ. ჩვენები სამგზის კი არა, ბარე ხუთგზის ჩემპიონები არიან — ამბობს ნონა გაფრინდაშვილი.

იხილეთ მეცხრე გვერდი

**ფუხელ**

ფეხბურთი.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. აზიის ზონის A ჯგუფი. ქუვეითი — ყატარი 0:1 (ხამისი 10); საუდეთი — ირანი 1:0 (ხალედ მახაადი 89)

გერმანიის ბუნდესლიგა. კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი (მარშალი 21); შალკე — ბოხუმი 2:0 (ვილმოტსი 68, გუხენსი 77)

ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრააფსხაპი — ჰერენვენი 1:2

# სიტყვა — სიტყვაა...

## ხახალეიშვილი ძიუდოს უბრუნდება

ამ თემაზე სალაპარაკო მართლაც ბევრია, მაგრამ ამჯერად მოკლედ ვიტყვით — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ქუთაისში გუშინდელ სტუმრობას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: ნებსით თუ უნებლიეთ ამ ბოლო დროს სამბოში გადაბარგებული ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის ძიუდოში მობრუნება. წინასწარ შეთანხმებისამებრ, ამათი შეხვედრა იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანდასწრებით უნდა შემდგარიყო, მაგრამ თემურ შაშიაშვილი დილით სხვა საქმეებით დაკავებული აღმოჩნდა, სტუმარს კი უკან მიეჩქარებოდა... თუმცა, სათქმელი მაინც ითქვა, თანაც ქალაქის მერის დავით მელქაძის სამუშაო კაბინეტში.

შოთა ხაბარელი: პატარა საქართველოს დიდი სპორტსმენის დაკარგვის უფლება არ აქვს. დათო დიდი სპორტსმენია, ჯერ 26 წლისაა, სიდნეის ოლიმპიადისთვის უნდა მოემზადოს. ხელშეწყობა ექნება. მე იმის გარანტიას ვიძლევი, რომ სპორტის დეპარტამენტიდან და ფედერაციიდან დაბრკოლება არ შეექმნება. კუთვნილს არავინ დაუკარგავს, ახალი წლიდან უკეთესი პირობები გვექნება. მტყუან-მართალის გარჩევას ნულარ დავიწყებთ, რაც იყო-იყო. დათომ აუცილებლად უნდა დაიწყოს ვარჯიში. ეს მას უფრო გამოადგება.

დავით ხახალეიშვილი: პრეტენზიული რომ ვიყო, სხვებივით მოვიქცეოდი. გზა არ შემეშლებოდა, მაგრამ ჩემი პრინციპი მაქვს: როგორც არ უნდა გამიჭირდეს, ვერავის ვუღალატებ. სამწუხაროდ, ბევრჯერ მომატყუეს, ამიტომაც ბევრს ვეღარ ვენდობი. ელემენტარულს ვითხოვ, დაპირებულ ხელფასს სპორტის დეპარტამენტიდან, რომელიც წლეულს საერთოდ არ მიმიღია და სავარჯიშო პირობებს. ძიუდოს კი არ ჩამოვშორდი, ჩამომაშორეს. ოჯახს ვინ მიმიხედავდა?

ეს მოკლედ, რაც ხაბარელმა და ხახალეიშვილმა ოქვეს. სხვებმაც გამოთქვეს საკუთარი აზრი — ქალაქის თავმა, ადგილობრივი სპორტის მესვეურებმა, დათოს მწვრთნელმა ომარ მერაბიშვილმა, ქუთაისის საბაჟოს უფროსმა, რომლის მოადგილეც ხახალეიშვილია. დავით ხახალეიშვილს ყველამ დახმარება აღუთქვა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, ოლიმპიური ჩემპიონი ტატამს დაუბრუნდება. ოღონდ, თუ სიტყვა — სიტყვაა.

**იუზა ქაციტაძე**

## გიო ახვლედიანის სვეტი

# 2297 წელს

გააწყალა გული ამ საერთაშორისო ფეხბურთისთვის ლამისთევამ.

აზ! ქართული ფეხბურთი მომენატრა. ჩავიცმევ სამგზავროდ, ყელზე „დინამოურ" შარფს მოვიხვევ, აბგით ჰამბურგერებს და ლუდს ვისაგზლებ და ქალაქელი ფანებით გაჭედილ თბილის-ქუთაისის მატარებელს ავეკიდები. პარასკევ საღამო იქნება და მეორე დღეს, შაბათს, ქუთაისში ჩემპიონატის დიდი მატჩი იქნება დაგეგმილი: „ტორპედო" — „დინამო" თბილისი.

დინამოელი ქომაგები საკლუბო სიმღერებით აიკლებენ მატარებელს და გამთენიისას ქუთაისის სადგურში მოაწყობენ მარშირებას. მთელი იმერეთის პოლიცია ფეხზე იდგება. ქუთაისური ფან-კლუბები ორგანიზებული წესით, დარაზმულად გამოუშვებენ თავიანთ ბიჭებს ქალაქში, აქაოდა, თუ აგრესიულ თბილისელებთან შეხლა მოგვიწევს, მაგრად დავუხვდეთო. თბილისის ღამენატეხი და შემთვრალი ფანობა კი დავით აღმაშენებლის ძეგლთან შეყრილა და მღერის: „ჩვენ ავიღებთ ქუთაისს, ჩვენ პირველები ვართ!" ამათი გეგმაა მძლავრი ერთობით გაიარონ მთელი ქალაქი და ისე მივიდნენ სტადიონზე. ახალგაზრდა ქუთაისელ ფანებს ჩამოსულთა დასანახად მოუწევთ გულები, მაგრამ უფროსები აკავებენ — თამაშის ჩაშლის საბაბს ნუ მივცემთო. „ტორპედო" ხომ ქულით უსწრებს „დინამოს" და ჩემპიონატის დასასრულამდე სამი ტური რჩება. თბილისელებს გული მისცემიათ და პოლიციელებით გარშემორტყმულნი გაჰყვირიან...

გუნდებში კი გვარიანი მღელვარებაა. სტუმართა გუნდი კარგახანია სტადიონზეა. მწვრთნელი ოთახში ზის და შემადგენლობას უტრიალებს. მასპინძლები ბაზაზე არიან და ჩემპიონობაზე ფიქრობენ. „ბურთი არ დავინახო გაჩერებული. გორაობა მაგათი მოგონილია. ბურთის თრევა არ აცალოთ" — ამბობს მწვრთნელი. ორ საათზე გუნდი ავტობუსში ჯდება და სტადიონისკენ მიდის.

იქ კი უკვე დიდი ამბავია. „დინამოს" ფანობას ორი სექტორი გამოუყვეს. სექტორები გალიებითაა გამოყოფილი, მაგრამ თბილისელები თავიანთ ნაცად ხერხს მიმართავენ — „კოკა-კოლას" პლასტმასის ბოთლებს ისვრიან აქეთ-იქით. ვილაც გიჟები კი გალიის ცხაურებს ანჯღრევენ „დინამოს" ღრიალით. ქუთაისელებს სტადიონის ოთხი მეხუთედი უჭირავთ და ტალღას აკეთებენ. სტადიონის დიქტორი ხალხს ამცნობს მატჩის კომისრის განცხადებას, რომელიც ქომაგებს აფრთხილებს, რომ თუ ისინი საფრთხეს შეუქმნიან მატჩის მსვლელობას, კომისარი მატჩს შეწყვიტავს. ხალხი ამ განცხადებას ღრიალით ხვდება. ჩემი ბედი, რომ თბილელ ფანებს ადრევე დავშორდი და სტადიონის პრესლოჟაში შევაღწიე ოთხი ბლოკპოსტის გავლის შემდეგ.

გამაყრუებელ გნიასსა და სტვენაში გუნდები მოედანზე გამოდიან. ბათუმელი მსაჯი თამაშის დაწყების ნიშანს აძლევს.

განა შეიძლება ამ შეხვედრის აღწერა? არ შეიძლება. ერთი-ორს კი მაინც ვიტყვი — მესამე წუთზე უკვე პირველი ყვითელი ბარათი აფრიალდა. 32-ე წუთზე მასპინძლები ათნი რჩებიან, მაგრამ ტაიმის მიწურულს სწორედ მათ გააქვთ გოლი. ასეთი გუნდი ჰყავს ქუთაისს — სწრაფი, ხისტი და მოწინააღმდეგის შეცდომათა საუცხოოდ დამჭერი. თამაში კი ფრედ მთავრდება — სტუმართა ნიგერიელი გარემარბი საჯარიმოში შერბის და შემდეგ პენალტით ათანაბრებს ანგარიშს...

დიდი ამერ-იმერული ჯახი ასე სრულდება, მაგრამ ახლა მთავარი პრობლემა თბილისელი ფანების სადგურამდე მიდენაა...

მორჩა, გვეყოფა! საფეხბურთო ზღაპარში ხომ არა ვართ?

აზ, ქართული ფეხბურთი მომენატრა. შინაური თამაშის ნამდვილი დღე!

როდის მოვესწრებით ამას?

არავინ იცის.

როდის იჯდება ტელევიზორთან ქართული გუნდების ერთმანეთში თამაშის ნახვის სურვილით ანთებული მთელი ქვეყანა?

ალბათ ოდესმე.

მანამდე კი „სიტიში" წავიდეთ, ჩვენ ყველანი წავიდეთ „სიტიში" — იქ მშვიდად ვიქნებით.

ბოლოსდაბოლოს, თავი მაინც არ აგვტკივდება და გაუთავებლად არ დავსვამთ უკვე მთლად გაცვეთილ და გახუნებულ კითხვებს, რომელთა შინაარსიც ყველამ კარგად იცის.



# ნავაძე ფედერაციის ნავიდან გადახტა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ამის შემდეგ „ბათუმს" ვმასპინძლობთ. ფედერაციაში მიღებული ყოველგვარი პროცედურის გვერდის ავლით მსაჯად სილაგავას ნიშნავენ. ეს არც მას დაუფარავს და არც იმ მსაჯებს, რომლებიც ფედერაციაში მივიდნენ იმის გასაგებად, თუ ვის რომელ შეხვედრაზე მოუწევდათ გამგზავრება, სილაგავამ კი იცოდა, რომ „სინათლეზე" უნდა წასულიყო. ჩვენ თამაშამდე გვქონდა ცნობა, იგი შეხვედრას როგორც გაუძღვებოდა, მაგრამ ფედერაციასთან კონფლიქტს მოვერიდეთ, მასპინძელს აშკარად ვერ დაგვჩაგრავსო, ვიფიქრეთ. სამწუხაროდ, შევცდით. პირველი გოლი თამაშგარედან მივიღეთ. ორი ჩვენიანის გაძევებამდე კი ბათუმელებმა მაჭუტაძე კარგ პოზიციაში ისე გაიყვანეს, ორჯერ დასაჯარიმებლები იყვნენ. წესები რომ დაეცვათ და ეს მომხდარიყო, ალადაშვილსა და ინიაშვილს ხომ არ გააძევებდნენ. ალადაშვილის დასჯა სწორი იყო, მაგრამ ინიაშვილს რას ერჩოდა? ზაზას მსაჯისთვის არ შეუგინებია, მაგრამ დავუშვათ, მართლაც ასე მოხდა. სილაგავამ ჩათვალა, რომ ინიაშვილისთვის მანამდეც ჰქონდა ყვითელი ნაჩვენები და მისი აზრით მეორე ყვითელს წითელიც მოაყოლა. ამ დროს ბუხრიკიძემ სილაგავას მუხლი ამოარტყა და არ გააგდო. ეს უცნაურია. ჩვენი არგუმენტები ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მაინც არ გაიზიარა, მიუხედავად იმისა, რომ ინიაშვილის უსამართლოდ გაძევებას კომიტეტის წევრები, თავად სილაგავა და მატჩის კომისარი ამირეჯიბიც აღიარებენ. მაინტერესებს, როდესაც გასაგდებს არ აგდებს და უდანაშაულოს აძევებს, რატომ არ სჯიან მსაჯს? იმიტომ, რომ „ბათუმთან" შეხვედრაში იგი „მერანის" წინააღმდეგ გამოიყენეს. სილაგავა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ თავად იქნება თანახმა. ახლა ვეკითხები ფედერაციას — რა ურჩევნიათ, „მერანთან" დაპირისპირება, თუ ერთი მსაჯის მოცილება? მაგრამ ისინი სილაგავას ვერ დასჯიან. მე იგი მეცოდება, ვიცი, საავადმყოფოშიც იწვა, თანაც მთლად წყალწაღებულ კაცად არ ვიცნობ, მაგრამ არ უნდა შეესრულებინა „მერანის" საწინააღმდეგო დავალება, მით უფრო, რომ მანაც და დავალების მიმცემმაც დაინახეს, ჩვენ „ბათუმთან" წაგებას არ ვიმსახურებდით.

არის თუ არა სილაგავა ფედერაციისთვის მსაჯი-იარაღი? მე გეუბნებით, რომ არის. მაგალითებს წარსულიდან გავიხსენებ. გასულ წელს, მეექვსე ტურში, გორში „მერანი" „დილას" ხვდებოდა. მაშინ გორელებს გუნდის ევროპაში გაყვანა სურდათ. მწვრთნელად ნიკა ამირეჯიბი მიიწვიეს, მაგრამ „დილამ" ცუდი სტარტი აიღო. ამ შეხვედრის მსაჯად სილაგავა დაინიშნა, მაგრამ ჩვენ გამოვაცვლევინეთ და დოგრაშვილის ბრიგადა დაგვინიშნეს. პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს ვიგებდით. შესვენებაზე შედიან დოგრაშვილთან და ეუბნებიან, რომ თამაში „დილამ" უნდა მოიგოს, მაგრამ იგი არ უსმენს დირექტივას, იდეალურად ასრულებს თავის მოვალეობას და „მერანიც" იგებს. თურმე, ბატონ ნიკა ამირეჯიბს, რომელიც ფედერაციაში ამინდის შემქმნელ ხალხთან არის დაახლოებული, წაგების შემთხვევაში მოხსნას ელოდა. „დილამ" წააგო და თბილისში წამოსულ „მერანს" ამირეჯიბიც უკან მოგვაყოლეს.

„ბათუმთან" შეხვედრაში მსაჯი სილაგავაა, კომისარი კი — ამირეჯიბი. ეს ერთი უცნაურობა. ახლა მეორესაც გეტყვით. ისევ გორის თამაშს თუ დავუბრუნდებით, შეხვედრის შემდეგ მსაჯებზე განაწყენებული კომისარი დოგრაშვილის მოქმედებებს 2-ზე აფასებს და მსაჯობიდან ხსნიან. თუმცა, ვიდეოფირის ნახვის შემდეგ იგი 8,5-ს იმსახურებს, რადგანაც ყველამ ნახა, რომ მართალი იყო.

დოგრაშვილმა ზუგდიდში მთელი 90 წუთი უზადოდ ჩაატარა, ბოლოს კი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. გეკითხებით ფედერაციის წარმომადგენლებს — როდესაც დოგრაშვილმა გორში სამართლიანად იმსაჯა, მაგრამ არა თქვენს სასარგებლოდ, 2-ზე შეაფასეთ, მაგრამ როცა ზუგდიდში იმსაჯა ცუდად, მაგრამ თქვენს სასარგებლოდ, რატომ არ უწერთ დაბალ შეფასებას? განა ეს ბევრ რამეზე არ მეტყველებს? განა არ ჩანს, მსაჯებს ვინ როგორ იყენებს?



გუშინ ჭადრაკის სასახლეში ნუგზარ ნავაძე ფედერაციის ადანაშაულებს

ბევრს ჰგონია, რომ „მერანს" და ნავაძეს ფედერაციაში ზურგი აქვთ. ეს ასე არ არის. „მერანის" I ჯგუფში გადასვლა და აზლვევება ბევრს არ ესიამოვნა. ახალციხის „მესხეთთან" I ჯგუფში გადასასვლელ ბრძოლაში, გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, როგორ იჩაგრებოდა „მერანი". შარშან ჩვენი კონკურენტი „კოლხეთი" იყო. ფოთელები ბოლნისში თამაშობდნენ და აქაც დამთხვევა — სილაგავა მსაჯობდა. გაიმარჯვა „სიონმა", მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე ბოლნისელთა ერთ-ერთი თავკაცი მერაბ ჯაფარიძე სილაგავას მოედანზე შეუვარდა. არც დაურტყამს და არც შეუგინებია, წესიერად იმსაჯეო, ეს უთხრა. ამის გამო „კოლხეთს" მოგებას უთვლიან. ამის მერე ბოლნისში ჩვენ ვთამაშობდით: 89-ე წუთზე 1:0-ს ვიგებდით. ბოლო წუთზე ჩვენ მეკარეს ხელი ჰკრეს და ასე გაგვითანაბრა „სიონმა". თანაც მოედანზე ხალხი შემოცვივდა, მხოლოდ ერთი კაცი კი არა, მაგრამ ფედერაცია ამაზე რეაგირებას ველარ მოახდენდა, რადგან „სიონი" მანამდე უკვე დასჯილი იყო. ესე იგი ჩვენი დაჩაგვრა შეიძლებოდა. აქაც კომისარი ამირეჯიბი გახლდათ.

„მერანის" მიმართ ფედერაციას განსაკუთრებული სიმპათია არასდროს ჰქონია. მით უფრო წელს, რადგან თბილისის ერთ-ერთი გუნდი ვართ. არის აზრი, რომ პრიზიორობას თბილისელთა გარდა ვერავინ შეძლებს. „დინამოს" ამ საუკუნეში ჩემპიონობას და თასს ვერავინ შეეცილება, თსუ-მაც ადრევე დაიკავა თადარიგი. „მერანმაც" ოთხი თამაშის ზედიზედ მოგებით პრიზიორობაზე პრეტენზია განაცხადა. გამოდის, რომ დასავლეთის გუნდები თამაშგარეში რჩებიან. ფედერაციას ყველაფერი გამოთვლილი აქვს. თბილისის სკა, ფაქტობრივად, I ჯგუფში შემოსულია. გამოდის, რომ ქალაქს 6 გუნდი ეყოლება, ეს კი მათ ხელს არ აძლევთ და გაუხარდებათ, თუკი რომელიმე თბილისური გუნდი, ვთქვათ „მერანი", ცხვირს წაიტეხს. იფიქრებთ, ნავაძე ხომ პარლამენტარია და გუნდსაც სერიოზული პატრონი ჰყავსო. სამწუხაროდ, ფედერაცია არც მთავრობას ცნობს და არც პარლამენტს! მე მათთვის ანგარიშგასაწევი ფიგურა აღარ გამოვდივარ, მაგრამ გუნდს არავის დავაშლევინებ და „მერანის" დაჩაგვრით სხვის საქმეს არ გავაკეთებინებ. და თუ „მერანის" დაჯაბნა წაადგება ჩვენ ფეხბურთს, დაე, ასე იყოს, მაგრამ, ვაი, რომ ეს არ მოხდება.

მე არცერთი გუნდის და პიროვნების შეურაცხყოფა არ მსურს, თუმცა ვითარებაში გასარკვევად და ჭეშმარიტების დასადგენად სხვა გზა არ მქონდა.

ახლა 23 ოქტომბრის „სარბიელში" გამოქვეყნებულ სტატიაზე — „კრება დარჩა მხიარული?". ამ გაზეთის ჟურნალისტებს ისე არ ვიცნობ, რომ ტყუილი დაწერონ. ფედერაციის თანამშრომელი მერაბ იაშვილი კი მაბრალებს, თითქოს მეთქვა, „მარაკანას" ავაშენებო. მე ეს ხუმრობითაც არ მითქვამს. ან ჩემზე რა ეთქმით, ფედერაციის შენობის ფანჯარაში მინა ვერ ჩაუსვამთ!

ვისაც შეგნება აქვს, კარგად გაიგებს — ეს არის ჩემი სამსახურებრივი დავა ფეხბურთის ფედერაციასთან. სილაგავას პირადად კი არ ვემტერები, მაგრამ თუ არ დასჯიან მსაჯს, რაც ასე სჭირდება ქართულ ფეხბურთს, მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ, იმასაც, რომ ზიანი მოაქვს ხალხს, რომლებიც ფეხბურთისგან სარგებელს ნახულობენ, თავად კი მის განვითარებას ხელს უშლიან.

*...ნავაძის ვრცელმა მონოლოგმა მრავალი კითხვაც დაბადა.*

**— გუნდები ევროთასებზე გასასვლელ ადგილებს ყიდულობენ?**

— ჩემს მიერ ჩამოთვლილ გუნდებს, დარწმუნებული ვარ, მსაჯებთან შეხება არ ჰქონიათ, მაგრამ რაც მოხდა, მისი შედეგები ფედერაციას აძლევდა ხელს. რა თქმა უნდა, კეთილგანწყობა ცხოვრებაშიც არსებობს და ფეხბურთშიც, მაგრამ ფიქრი იმისა, რომ წელს ევროპაში აუცილებლად დასავლეთის რეგიონის გუნდი უნდა გავიდეს, შორს ვერ წაგვიყვანს.

**— ბრძანეთ, თსუ-მ საევროპოდ თადარიგი წინასწარ დაიჭირაო. რაში გამოიხატება ეს?**

— უპირველესად მოთამაშეთა დაკომპლექტებით და სტადიონის არჩევით.

**— არის აზრი, „მერანს" იმიტომ ჩაგრავენ, რომ ნავაძე ფედერაციის პრეზიდენტობას უმიზნებს?**

— ფეხბურთში მოღვაწეობა ნამდვილად მსურს, მაგრამ არა ფედერაციის პრეზიდენტობა. თანამდებობა ახლაც ამაზე მეტი მაქვს და ეს არც მიფიქრია. თუ „მერანს" გავაძლიერებ და ნორმალურ სტადიონს ავაშენებ, ჩემს ჩანაფიქრს შესრულებულად ჩავთვლი. თუმცა, ვფიქრობ, რომ „მერანისადმი" ბოლოდროინდელი დამოკიდებულება, შესაძლოა, ჩემზე გავრცელებულმა ხმებმაც განაპირობეს.

**— მართალია, რომ აღმასკომი დატოვეთ?**

— „ბათუმთან" შეხვედრის შემდეგ ასე გადავწყვიტე.

**— ბრძანეთ, მსაჯებს მითითებებს აძლევენო. ხომ არ დააკონკრეტებთ, კერძოდ ვინ?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ფედერაციის გენერალური მდივანი წარმართავს ამ პროცესებს. მსაჯებს თუ ვინმე რამეზე მიანიშნებდა, ან იგი იქნებოდა, ან მათი დამნიშვნელი უშანგი ფურცელაძე, მაგრამ ძნელი სათქმელია, ერთმა დაავალა თუ მეორემ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მსაჯთა კომიტეტი ფედერაციას უნდა გამოეყოს?**

— უცაბედად სწორ პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსაჯებზე ფედერაციიდან ხდება ზემოქმედება, შესაძლოა, ერთის მხრივ ეს კარგიც იყოს. თუმცა, მთავარია, მსაჯზე საერთოდ ყოველგვარი ზემოქმედება მოისპოს. ისე, რაღაც ცვლილებები ფედერაციაში აუცილებლად უნდა მოხდეს, ისევე როგორც მსაჯთა კომიტეტში.

**— თქვენი აზრით, გუნდისთვის 5 ქულის ჩამორთმევა გამართლებულია?**

— როდესაც ეს საკითხი აღმასკომზე იხილებოდა, ასეთი დებულების მიღების წინააღმდეგი წავედი, რადგან შეიქმნებოდა გარკვეული რეგულირების საშუალება. გუნდის ნაშრომი ერთი უცირსის გამო წყალში არ უნდა ჩაიყაროს. ჩემამდე მოვიდა ხმა, რომ შესაძლოა, ვინმემ წინასწარი განზრახვით მასპინძელთა მოედანზე მსაჯი შეურაცხყოს, რათა გუნდი 5 ქულით დაჯარიმდეს. ისეთებიც „გამოინახებიან, 50 ლარის გულისთვის მსაჯს არათუ სცემენ, მოკლავენ კიდეც.

**— თასის გათამაშების ტერიტორიული პრინციპი სწორად მიგაჩნიათ?**

— ფედერაციაში ვთქვი, რომ ეს პრინციპი უაზრობაა. გამოდის, რომ ცალკე უნდა გავათამაშოთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის თასები, გამარჯვებულნი კი სუპერთასზე შევახვედროთ.

**— თქვენ პრობლემებზე საუბრობთ, მაგრამ რამე ხედავთ გამოსავალს?**

— ფედერაციის ზოგიერთმა თანამშრომელმა და ფეხბურთში მოღვაწემ პოზიცია უნდა შეიცვალოს და მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება ფეხბურთის ფედერაციის როგორმე ყრილობისადმი?**

— იქნებ ახლა ჩემთვის მისაღები იყოს, თუმცა ვთვლი, რომ ნაადრევი, ნაჩქარევი იქნება. მაგრამ თუ ოპოზიციონერთა ნათქვამი დადასტურდა, ფედერაციაში ფინანსური დარღვევებიაო, მაშინ ყრილობა ჩასატარებელია.

*...მოკლედ, ჭადრაკის სასახლეში ნავაძემ ძლიერი სვლა განახორციელა. „მერანის" პრეზიდენტმა ფედერაციის კულისებში არსებული ბნელი საქმეები სამზეოზე გამოიტანა და, ვინდა არ ვინდა, ამით იერიში იამანიძის ქურციკთან მიიტანა. საკითხავი მხოლოდ ეს არის — ძალუძთ დეპუტატ-პრეზიდენტსა და მის თანამზრახველთ მის წინააღმდეგეთა დამარცხება?*

მერაბ მამულაშვილი

## სიცოცხლეშივე დაუფასეს

ასეა, დიდ ფეხბურთელებს დავიწყება არ უწერიათ.

გუშინწინ „შევარდენის" სტადიონზე 1987-88 წლებში დაბადებულ ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომელიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ვლადიმერ ელოშვილის 70-ე წლისთავს ეძღვნება. ტურნირი 29 ოქტომბრამდე გასტანს. მასში 12 გუნდი მონაწილეობს, აქედან 9 თბილისისაა, 2 — ერევნის, ერთიც — ლანჩხუთის. გუნდები ორ ჯგუფად განაწილდნენ და ყოველდღე თითოჯერ თამაშობენ 10-დან 15 საათამდე. მატჩები არასტანდარტულ, ჩვეულებრივზე ოდნავ შემცირებულ მოედანზე ტარდება და კარის ზომაც შესაბამისია. თითქმის ყველა გუნდში არიან ნიჭიერი, პერსპექტიული ბიჭუნები. ერევნის „რაზდანის" რიგებში კი სომეხთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ხორენ ოგანესიანის ვაჟი თამაშობს. ტურნირიც ჩინებულადაა ორგანიზებული და ერთ დროს ვლადიმერ ელოშვილის შეგირდის, ამჟამად „შევარდენის" სპორტული სკოლის დირექტორის ბადრი მანწკავას თქმით, შესაძლოა, ტრადიციულადაც იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ამისი დიდი იმედი აქვთ.

მოკლედ, „შევარდენზე" ბავშვთა ფეხბურთის ზეიმია. იგი ეკუთვნის კაცს, რომელსაც გარჯა სიცოცხლეშივე დაუფასეს. სახელოვანი ფეხბურთელი ხომ 1960 წლიდან მოყოლებული ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლის დირექტორია, ქალაქში ფეშეემს რომ ვუწოდებთ ხოლმე. ამ სკოლის დამსახურება კი ყველას კარგად მოეხსენება.

ტურნირის მართლაცდა შესანიშნავ გახსნას ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი დაესწრო, მათ შორის ვეტერანები ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, რამაზ შენგელია და სხვები. თავად ვლადიმერ ელოშვილს კი თვალებში სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა.


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მთელ ქალაქში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, საფირმო და მისაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

ჩვენს ფეხბურთში ბევრი პრეზიდენტი გამოჩენილა, საქმე რომ რიხით დაუწყია, მაგრამ მძიმე ჭაპანი ბოლომდე ვერ გაუწევია და უკანმოუხედავად გაქცევია თავის კლუბსაც და ფეხბურთსაც.

ზუგდიდის „ოდიშის" პრეზიდენტი ვახტანგ ნანავა ადრე თბილისის „შევარდენის" ერთ-ერთი მეპატრონე გახლდათ, მაგრამ მერე ქართულ ფეხბურთს დროებით ისიც გაერიდა და ამ გაზაფხულზე დაბრუნება მშობლიური ქალაქიდან ირჩია.

„ოდიშის" პრეზიდენტს სამშაბათს ფედერაციაში შევხვდი, სადისციპლინო კომიტეტის სხდომამდე ერთი დღით ადრე. წინა დღით ქუთაისში მომხდარ ინციდენტს ცოტათი აღელვებინა და გადაწყვეტილების მოლოდინში იყო. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, მუშტაიდში ჩამოვმსხდარიყავით და „ოდიშზე" გვესაუბრა.

# ოდიშმა აიაქსს უნდა მიბაძოს

**— „ოდიშმა" წლევანდელი სეზონის წინ ბევრი ფეხბურთელი გაასხვისა. რა ბედი ეწიათ მათ?**

— ვლადიმერ გაბედავა და სოსო ჭედია პოლონურ გროკლინის „დისკობოლიაში" თამაშობენ. პოლონეთისვე შეცინის „პოგონში" გადავიდნენ ირაკლი ბარქაია და ლევან მიქაძე. ეს პოლონეთის უმაღლესი ლიგის გუნდებია, ზაზა ლაცაბიძე კი პირველლიგელ კრაკოვის „ჰუტნიკში" ირიცხება. ამჟამად კიდევ ერთი ოდიშელი სცდის ბედს — კობა წიტაიშვილი ჰოლანდიური „ფეიენოორდის" დაინტერესების არეშია და უახლოეს დღეებში როტერდამულ კლუბში გაისინჯება. გარდა ამისა, კიდევ სამი ფეხბურთელი გადავა დასავლურ კლუბში. სავარაუდოდ, ჩადუნელი — ბელგიაში, ახვლედიანი — ავსტრიაში და რევაზიშვილი — ესპანეთში. ამით წლევანდელი სატრანსფერო სეზონიც ამოიწურება.

**— ჩანს, უკვე წასულებმა თავი გამოიჩინეს, რომ ახალი ტალღაც მათ გზას ადგას.**

— ჭედია და გაბედავა, ისევე როგორც ლაცაბიძე, თამაშობენ და თავიანთ გუნდებს დიდადაც ეხმარებიან. პირველთა გუნდი, დებიუტანტის კვალობაზე, ურიგოდ არ გამოიყურება, ამჟამად მეშვიდე ადგილზეა. ლაცაბიძის „ჰუტნიკი" კი უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის და წარმატებითაც — მეორე ადგილზე მყარადაა დამკვიდრებული. რაც შეეხებათ პოგონელებს, ისინი ტრავმებმა დაალალატა. ბარქაია პირველსავე ვარჯიშზე დაშავდა და ჯერაც მკურნალობს. მიქაძე უკვე გამოჯანმრთელდა და თამაშიც დაიწყო. „პოგონის" მწვრთნელი ბოგუსლავ ბანიაკი მისით აღფრთოვანებულია — ასეთი მცველი პოლონეთში არ არისო. ეს უყურადღებოდ არც ჩვენი ნაკრების მწვრთნელს დარჩენია. პოლონეთში თამაშის წინ მიქაძეს ესაუბრა კიდეც, მაგრამ ნაკრებში ტრავმის გამო ვერ მიიწვია, ეს ცოტას არ ნიშნავს. სახავთ, მიქაძე ფორმას რომ აღიდგენს, უფრო მაღალი დონის გუნდებისთვის იქნება მზად.

**— ეს ფეხბურთელები რა პირობით დათმეთ, ისევ თქვენ გეკუთვნიან?**

— ყველანი, ჭედიას და გაბედავას გარდა. ჭედიას ასაკში სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ეს ტრანსფერიც მისთვის კლუბის საჩუქარი უფრო იყო, ვიდრე სარფიანი კომერციული გარიგება. რაც შეეხება გაბედავას, იგიც თავიდან განათხოვრებული გვყავდა, მაგრამ იჯარის ვადა რომ გავიდა, პოლონელებმა რაც შემოგვთავაზეს, იმას დავთანხმდით. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მეტს არც არავინ გვთავაზობდა. სხვა ფეხბურთელებზე კი, იმედია, მეტი მოთხოვნილება იქნება და კარგ წინადადებებსაც ვლით.

**— ჩადუნელი, ახვლედიანი და რევაზიშვილი რომელ გუნდებში გადავლენ?**

— ეს ჯერ საიდუმლოა. ისე კი ჩადუნელი და ახვლედიანი ბელგიისა და ავსტრიის პირველი დივიზიონის გუნდებში მოეწყობიან, რევაზიშვილი კი — ერთ-ერთი ესპანური გრანდის ფარმ-კლუბში, რომელიც მეორე დივიზიონში თამაშობს.

**— ეს კარგია, მაგრამ შემადგენლობის დასუსტება „ოდიშს" როგორ წაადგება?**

— ჩვენ არსებობის არავითარი წყარო არ გაგვაჩნია, გარდა ერთისა: ვზარდოთ ფეხბურთელები, გავყიდოთ და იქიდან შემოსული თანხით გუნდი ვასაზრდოოთ. გვირჩევნია, ფეხბურთელი ექვსი თვით დავკარგოთ, სამაგიეროდ, მერე ისეთ თანხაზე იყოს საუბარი, რაც კლუბს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.

**— ეს გასაგებია, მაგრამ „ოდიშს" თუ წლის ბოლომდე 4 ფეხბურთელი დაყლდა, მეორე წრეში მეტწილად უკვე მოგროვილ ქულებს უნდა დასჯერდეს.**

— მესმის, რომ ჩნდება ბუნებრივი ეჭვი, თითქოსდა „ოდიში" პირველ წრეში ნაგროვებ ქულებს იკმარებს და მერე თამაშებს დათმობს. ასე არ იქნება. ეს რომ გვდომოდა, შარშან „სამტრედიას" არ გავაგდებდით.

**— მაგრამ უპატრონო „სამტრედია" რის გადამხდელი იყო?**

— მხოლოდ გადახდა როდია საქმე. ასე ვერ ვიმსჯელებთ. შარშან რუსთავში წავაგეთ, მაგრამ არც „მეტალურგს" ულხინდა ფინანსურად. რაც შეეხება „სამტრედიას", სურვილი რომ გვქონოდა, გადახდის ფორმას მასთანაც გამოვნახავდით. გეხსომებათ, „სამტრედიიდან" ორი ფეხბურთელი — ანჯაფარიძე და ივეჩიანი რომ გადმოვიყვანეთ, ჰოდა, ივეჩიანის სატრანსფერო თანხა ახლაც გადაუხდელი გვაქვს. რომ მოგვესურვებინა, ამ თანხის სანაცვლო დათმობაზე იქნებოდა საუბარი.

**— „ტორპედოს" აშვეთიას გაყიდვა ძლიერ დაეტყო. თქვენი კაპიტანი წიტაიშვილია, მაგრამ მისი წასვლით წლევანდელ მიზანზე უარს ხომ არ ამბობთ?**

— წიტაიშვილი მართლაც დაგვაკლდება. იგი ჯერ 19 წლისაა, მაგრამ უკვე „ოდიშის" კაპიტანია და საქმეს თავს კარგადართმევს. მიუხედავად ამისა, სჯობს, უკეთეს გუნდში ითამაშოს, თუ, რა თქმა უნდა, „ფეიენოორდის" ვარიანტი გამოვიდა. თანაც, შეცვლა უკვე მოძებნილია. ოთხ ქართველ ფეხბურთელს მოველაპარაკეთ. მათ გარდა, კენიის ნაკრების ორ თავდამსხმელზეცაა საუბარი. მხოლოდ იმას ვფიქრობთ, კენიელებს ზუგდიდში პირობები როგორ შევუქმნათ. ესეც რომ არ გამოვიდეს, მჯერა, ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურისთვის მაინც ვიბრძოლებთ.

**— პირველ ადგილზე მყოფი გუნდი საჩემპიონოდ გაბრძოლებას არ აპირებს?**

— ამისთვის მზად არ ვართ. „დინამო" ყველანაირად გვჯობნის. გვჯობნის არამარტო შემადგენლობით, არამედ გამოცდილებით. თანაც, ამ გუნდის თავკაცობამ საქმის ორგანიზება ბევრად უკეთ იცის. მათნაირი არც პირობები გვაქვს. სანამ საწვრთნელი ბაზის და ბავშვთა ფეხბურთის პრობლემას არ გადავწყვეტთ, მაღალ შედეგზე ვერ ვიფიქრებთ.

**— პრობლემა სხვაცაა. თქვენ სათაო თანხებზე უარის თქმას აპირებდით. იმიტომ ხომ არა, რომ ამის საშუალება არ არსებობდა და ახლა არაერთ ოდიშელს თვალი გაქცევაზე უჭირავს?**

— მართლაც გვსურდა საკონტრაქტო თანხებზე უარის თქმა, მაგრამ არ გამოვიდა. არსებობს გარკვეული უნდობლობის სინდრომი და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენში, თვით ზუგდიდშიც ფეხბურთელები ბევრჯერ მოუტყუებიათ. რაც შეეხება დღევანდელ უსახსრობას, ესეც აქედან გამომდინარეა. აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში 120 ათასი გვაქვს გასაცემი, ნოემბერში კი სულ 7 ათასი. ეს არითმიულ მუშაობას იწვევს. ამას ისიც დაემატა, რომ ყველა შარშანდელი ვალი გავასწორეთ. პრობლემები მართლაც დაგვრჩა, მაგრამ ვცდილობთ, ყველა დაკმაყოფილდეს.

**— ხურცილავას მთავარი მწვრთნელობიდან წასვლა რამ გამოიწვია?**

— მურთაზი უდიდესი ფეხბურთელია. ვთვლი, რომ დღეს საქართველოში ერთ-ერთი დიდი მწვრთნელია. იგი ჩემი მეგობარია და დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მის წასვლაზე შევთანხმებულიყავით. არის ხოლმე, ზოგჯერ წაუგებელი გუნდის მწვრთნელსაც ცვლიან, „ოდიში" მეხუთე-მეექვსე ადგილზე ყოფნას მიეჩვია. ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ ახალი სისხლია საჭირო, კონცეფცია უნდა შეიცვალოს. ხურცილავა უდიდესი მცველი იყო, აქედან გამომდინარე, მისი კონცეფცია დაცვაზე ყურადღების გამახვილებას ითვალისწინებდა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ „ოდიშმა" ბედი სხვის საჯარიმოში უნდა ეძიოს. ამის მიუხედავად ხურცილავას მადლიერი ვარ. დღეს რომ „ოდიში" კარგად თამაშობს, მისი დამსახურებაა.

**— ?!**

— შედეგის მიღწევა ბევრნაირად შეიძლება. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ გუნდმა ლამაზად უნდა ითამაშოს. დღეს რომ ზუგდიდში მაყურებელთა დასწრებაა, ბევრს შეშურდება. ჰოდა, ამ ხალხს კარგ შედეგთან ერთად ლამაზი ფეხბურთიც უნდა ვაჩვენოთ. მსურს, რომ ჩვენი გუნდი სამი მცველით თამაშობდეს და თავდამსხმელებიც კი მომენტებში პრესინგში ერთვებოდნენ. ეს მწვრთნელის საქმეში ჩარევას არ ნიშნავს. მე თუ მას ვენდობი, ბოლომდე. გასახდელში ერთხელაც არ შევსულვარ და არაფერი შემისწორებია. უბრალოდ, მსურს, ასე ვითამაშოთ.

**— ჩანს, იდეალი გყავთ.**

— ჩემი იდეალი „აიაქსია". არა ის „მილანი", წელიწადში 120 მილიონს რომ ხარჯავს და მეთერთმეტე ადგილზე გადის, არამედ ის „აიაქსი", სეზონს 60 მილიონიანი მოგებით რომ ასრულებს.



ვახტანგ ნანავა

**— ცდილობთ, „აიაქსს" წაბაძოთ?**

— გაგვიჭირდება. ჯერჯერობით სხვათა დახმარებით უნდა ვისარგებლოთ. გადაწყვეტილი გვაქვს, სამი ახალგაზრდა ფეხბურთელიც გავუშვათ დასავლეთში სტაჟირებაზე. იოსავა, სვირავა და კაკულია ექვსი თვით, ალბათ, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ნიურნბერგსა" და „მაინცში" გადავლენ. ერთ-ერთ გუნდს პოლონელი მწვრთნელი თავკაცობს და მასთან შეთანხმება გვაქვს.

**— სულ პოლონეთს ახსენებთ...**

— რა დასამალია, პოლონეთში იმდენი წელია ვსაქმიანობ, ენაც შევისწავლე, ქვეყნის რეალობაც. თანაც ყველა იქაურ კლუბთან კონტაქტი მაქვს. საერთოდაც, სატრანსფერო პოლიტიკას პოლონეთში იმიტომ ვახორციელებთ, რომ „ოდიშს" დღეს არავინ იცნობს ევროპაში. უცხოელ მენეჯერებს ჩვენთან ჩამოსვლა უჭირთ, პოლონეთში კი ქართველ ფეხბურთელთა ნახვის საშუალება აქვთ.

**— წინა პრეზიდენტ ბეჟან გუნავას „ოდიშში" არანაირი წილი აღარ აქვს?**

— კლუბი შპს-ია, რომლის დამფუძნებელიც კერძო პირი ვახტანგ ნანავაა. მაგრამ მე ბეჟანს ვემადლიერები, რომ ასეთი საფუძველი დამახვედრა. იცით, რა გააკეთა? ზუგდიდში ამბიცია გააღვიძა, ხალხი დაარწმუნა, რომ მათ გუნდს მეტისთვის ბრძოლა შეუძლია.

**— არ გიმძიმთ მარტოობა?**

— მე მარტო არ ვარ. ერთადერთი ძალა, რაც მამხნევებს, ზუგდიდელ გულშემატკივართა მხარდაჭერაა. მთელი ქომაგობა გვერდში მიდგას, ისევე როგორც ფეხბურთის ფედერაცია, ყოველ ძეძთხვევაში, ასე იყო დღემდე. ხვალ კი არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ერთს ვეთანხმები — დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მაგრამ ესაცაა — არც ერთ მსაჯულს მხოლოდ კოდექსის მუხლის ჩარჩოებით არ უმოქმედია. ფედერაციამაც უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ გადაწყვეტილების უკან 10 ათასი კაცი დგას. „ოდიშის" ის გულშემატკივრები, რომლებსაც იმედი გაღვიძებიათ, რომ მათი გუნდი ევროთასების მომავალ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

**— რას ნიშნავს თქვენთვის ევროთასებზე გასვლა?**

— ეს პირველ რიგში სტადიონისთვის გამოყოფილი ინვესტიციაა. იმ სტადიონისთვის, რომელსაც ზურგზე ვერავინ მოიკიდებს და ჩვენს ქვეყანაში დარჩება. გარდა ამისა, ჩვენი ქომაგებისთვის ზუგდიდში უეფას ერთ-ერთი ტურნირის მატჩის ხილვა უდიდესი სიხარული იქნება. მჯერა, ხვალ მკაცრ სასჯელს არ მიიღებენ და ჩვენ ქომაგებს არ გააწბილებენ. პირადად მე მსაჯთან პრეტენზია არასდროს მქონია, რადგან ვიცი, შეცდომა ყველას მოსდის და თუ ეს შეცდომა უნებლიეა და არა მიკერძოებით ნაკარნახევი, ვერაფერს იტყვი. სუბიექტური აზრის მთელ ფედერაციაზე გადატანა არასწორად მიმაჩნია.

**— ფედერაციის მხარდაჭერას რაში გრძნობთ?**

— ადამიანურ დამოკიდებულებაში. მე არ მიგრძვნია ფედერაციის მხრიდან საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა. რა საკითხიც არ დავაყენე ფედერაციის წინაშე, ყველა დადებითად გადაწყდა.

**— რა საკითხები წამოჭერით?**

— ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სტადიონის პრივატიზაციის საკითხია. ამასთან დაკავშირებით აქტიურად იმოქმედა ფედერაციის სპორტნაგებობათა კომიტეტის უფროსმა მერაბ იაშვილმა. ზუგდიდში ბატონი ნოდარ ახალკაცი და ბატონი ნოდარ ანდრიაძეც იყვნენ ჩამოსულნი.

**— ეგ ფედერაციის მოვალეობაა...**

— გასაგებია, მაგრამ დღეს ჩვენში ბევრი არ ასრულებს თავის მოვალეობას. კიდევ როგორ შეუძლია ფედერაციას დახმარება? რაც შეუძლია, იმას ხომ აკეთებს.

ვახტანგ გზირაძე

## ფეხბურთის რუკასთან



**პოლონეთის** ჩემპიონატის მე-11 ტურის ბოლო მატჩში, ოთხშაბათს რომ გაიმართა, „პოგონმა" შინ ვარშავის „ლეგიასთან" ფრედ 1:1 ითამაშა. ჩემპიონატს 23-23 ქულით ლოძის გუნდები, „ვიძევი" და ლკს ლიდერობენ, მესამე კი „ლეგიაა" 20 ქულით.

**ინგლისის** დედაქალაქში ირლანდიელ და სამხრეთაფრიკელ დიპლომატთა მატჩში დიდი არეულობა მოხდა. მშვიდობისათვის მებრძოლებმა მოედანზე ერთმანეთი არ დაინდეს და 15-წუთიანი ხელჩართული ბრძოლა გამართეს, რის შემდეგაც ოთხი დაზარალებული საავადმყოფოში წაიყვანეს. ჩხუბი კი მას შემდეგატყდა, რაც ერთ-ერთი სამხრეთაფრიკელი გააგდეს.

**შვედეთის** ნაკრების ყოფილ თავკაცს ტომ სვენსონს პორტუგალიის „ბენფიკამ" მწვრთნელობა შესთავაზა. კრიზისში მყოფმა ლისაბონელებმა უკვე სამ მწვრთნელს სთხოვეს დახმარება, მაგრამ სამივემ უარით გაისტუმრა. რაც შეეხება სვენსონს, იგი, ალბათ, დათანხმდება „ბენფიკას" თავკაცობას.

**ბულგარეთის** ნაკრების წევრი ილიან კირიაკოვი „ბოლტონში" გააგრძელებს ვარჯიშს, ხოლო თუ ინგლისელთა მწვრთნელს კოლინ ტოდს იგი მოეწონა და ყველაფერი რიგზე იქნა, მაშინ მის „აბერდინიდან" შესყიდვასაც აღარაფერი შეუშლის ხელს. კირიაკოვი „აბერდინში" ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადაბარგდა, შოტლანდიის ჩემპიონატში 27-ჯერ ითამაშა, თუმცა ახლა სქოთებს მისი გაყიდვა სურთ.

**იუგოსლავიის** ჩემპიონატის ოთხშაბათს გამართულ მატჩებში „ცრვენა ზვეზდამ" სტუმრად 3:1 დაამარცხა „პროლეტერი", დედაქალაქის „პარტიზანმა" კი 4:1 სძლია კელას „ჰაიდუკს".

**აშშ-ის** ნაკრებს მომავალი ათი წლის განმავლობაში სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა „ნაიკი" დააფინანსებს. ამის შესახებ გუშინწინ განაცხადა აშშ-ის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ალან როტენბერგმა. ამ ხნის განმავლობაში „ნაიკი" ამერიკის ნაკრებს 120 მილიონ დოლარს გადაუხდის. კონტრაქტის სხვა პირობებზე როტენბერგმა და „ნაიკის" პრეზიდენტმა ტომ კლარკმა საუბარი არ ისურვეს.

**რუსეთის** თასის მერვედფინალის მატჩები ასე დასრულდა: დინამო (მოსკოვი) — დინამო (სტავროპოლი) 3:1, კრილია სოვეტოვი — ბალტიკა 4:0, ცსკა — ზენიტი 3:2, რუბინი — არსენალი (ტულა) 1:0. დარჩენილი ოთხი შეხვედრა მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაცია ამ დღეებში სასჯელს გამოუტანს „ოსერის" ანტონ სიბორსკის, „ტულუზის" დომინიკ არიბაჟს და პსჟ-ს ვინსენ გერენს — ფეხბურთელებს, რომლებიც დოპინგ კონტროლზე დაიჭირეს. ანალიზმა მათ სისხლში ანაბოლური ნივთიერება — ნანდროლონი გამოავლინა. ცოტა ხნის წინ იგივე ნივთიერება აღმოუჩინეს „ლე ავრის" სირილ პოჟეს.

**სამხრეთ ამერიკაში** სუპერთასის გათამაშების მორიგი ტური გაიმართა. მეორე ჯგუფში ბრაზილიის „ფლამენგომ" და პარაგვაის „ოლიმპიამ" ფრედ 3:3 ითამაშეს. მესამე ჯგუფში ბუენოს აირესის „რასინგი" შინ ბრაზილიურ „ვასკუ და გამასთან" 2:3 დამარცხდა, ხოლო ბრაზილიის „სანტოსმა" 2:1 სძლია არგენტინის „რივერ პლეიტს". მეოთხე ჯგუფში ბრაზილიურმა „გრემიომ" შინ 3:2 მოუგო არგენტინულ „ესტუდიანტესს".

**ინგლისის** „ტოტენჰემის" პრეზიდენტ ალან შუგარის თქმით, მართალია, ახლა გუნდი კრიზისს განიცდის, მაგრამ მალე სასიკეთო ძვრება მოსალოდნელი. ინგლისის ორგზის ჩემპიონმა და ასოციაციის თასის რვაჯერ მომგებმა „ტოტენჰემმა" გასული სეზონი ცხრილის შუაში დაასრულა. შუგარმა განაცხადა, შარშან ჩვენი ბრუნვადი კაპიტალი 28 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, დარწმუნებული ვარ, წელს [illegible] იქნება, რაც, ცხადია, გუნდის თამაშზე აშკარად სასიკეთოდ მოქმედებს.

**აშშ-ს** ნაკრებს მომავალი ათი წლის განმავლობაში სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა „ნაიკი" დააფინანსებს. ამის შესახებ გუშინწინ განაცხადა აშშ-ს ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ალან როტენბერგმა. ამ ხნის განმავლობაში „ნაიკი" ამერიკის ნაკრებს 120 მილიონ დოლარს გადაუხდის. კონტრაქტის სხვა პირობებზე როტენბერგმა და „ნაიკის" პრეზიდენტმა ტომ კლარკმა საუბარი არ ისურვა.

**იტალიის** ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ხუთშაბათს „მილანის" ლეგენდარულ მცველს ფრანკო ბარეზის შესანიშნავი გაცილება მოუწყო. მილანის მერიამ ფეხბურთელი ძვირფასი მედალიონით დააჯილდოვა. ბარეზის ფეხბურთიდან საზეიმო გაცილებას მთელი „მილანი" და სხვა გამოჩენილი ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც 40-ს მიტანებული მცველისთვის საჩუქრები და თბილი სიტყვები არ დაიშურეს. იქვე ითქვა, რომ გაიმართება ბარეზისადმი მიძღვნილი მატჩი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვან ბასტენი, მარადონა, ზიკო, რომარიო, გულიტი, ჰეიტლი, უილკინსი, ბერგომი და სხვები.

**ალბანეთის** ჩემპიონატის მე-6 ტურის მატჩში „პარტიზანმა" და „აპოლონიამ" ფრედ — 0:0 ითამაშეს. ჩემპიონატს 18 ქულით „ტირანა" ლიდერობს, მეორე-მეოთხე ადგილებზე 12-12 ქულით კი „ლაცი", „ელბასანი" და „ტეუტა" არია, თუმცა, ამ უკანასკნელს მეტოქეებზე თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**ჩრდილოეთ ირლანდიის** მწვრთნელი ბრაიან ჰამილტონი ხუთშაბათს თანამდებობიდან გადადგა. 50 წლის ჰამილტონი ბოლო სამწელიწადნახევარია ნაკრებს თავკაცობს, თუმცა კონტრაქტის დასასრულამდე რამდენიმე თვით ადრე მოუწია გუნდიდან წასვლა. რაც იგი ნაკრებს ხელმძღვანელობდა, გუნდმა 31 შეხვედრიდან მხოლოდ 8 მოიგო. თავად ჰამილტონმა მომხდარის კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმცა ის კი თქვა, ასოციაცია გადაწყვეტილების მიღებისას ძლიერ აჩქარდაო.

**ბრაზილიის** ჩემპიონატის 22-ე ტური: ფლუმინენსე — კორინტიანსი 1:0, პალმეირასი — ატლეტიკო პარანაენსე 3:1, ბაია — ინტერნასიონალი 1:4. ჩემპიონატს 21 თამაშიდან 45 ქულით „ვასკუ და გამა" ლიდერობს. ამდენივე ქულით, ოღონდ თამაშით მეტით მეორეზეა „ინტერნასიონალი", „პორტუგეზა" კი 43 ქულით მესამეა.

**კამერუნის** ნაკრები 15 ნოემბერს ამხანაგურად ეთამაშება ინგლისს. აფრიკელები გლენ ჰოდლის გუნდისთვის პირველი მეტოქენი იქნებიან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მოსამზადებელ გზაზე. ნოემბრის შეხვედრა, რომელიც „უემბლიზე" გაიმართება, მეტოქეთა მესამე დაპირისპირება იქნება 90-იან წლებში. მანამდე გამართული ორი შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს — 3:2 და 2:0.

**ბრაზილიელი** პელეს შვილი ედინიო, მამისგან განსხვავებით მეკარეობა რომ ირჩია, ერთწლიანი შესვენების შემდეგ თამაშს განაახლებს. შარშან „რივერ პლეიტთან" მატჩში, რომელიც მისი „სანტოსის" გამარჯვებით დასრულდა, ედინიომ მუხლი დაიზიანა, მკურნალობას კი ერთი წელი შეალია.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, 11 ოქტომბერს რომში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს პოლიციელთა მოქმედება ვანდალიზმი იყო და სხვა არაფერიო. ასოციაციის წარმომადგენლებმა საქმის გამოძიება მეორე დღესვე ითხოვეს, მაგრამ იტალიელმა სამართალდამცავებმა თავიანთი მოქმედება კანონის დაცვით ახსნეს და არავინ დაუსჯიათ.

**რუსეთის** ჩემპიონატის გამოტოვებულ შეხვედრაში გუშინ მოსკოვის „სპარტაკმა" შინ 4:2 მოუგო „ფაკელს", „როტორის" დარად 67 ქულა მოაგროვა, ბურთების უკეთესი სხვაობით კი პირველ ადგილზეც აღზევდა.

# ქეცბაიამ მეორე გმირობა დაკარგა

## ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მიმოხილვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

#### პარმა 1:0 დორტმუნდი

62-ე წუთი იყო, როდესაც „პარმას" არგენტინელმა თავდამსხმელმა ერნან კრესპომ ენრიკო კიეზას პასი მიიღო. კრესპოს პირველი დარტყმა იმ დღეს დიდებულად მოთამაშე შტეფან კლოსმა მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ არგენტინელთან მიგორდა, რომლის განმეორებითი დარტყმა უშეცდომო გახლდათ. სხვათა შორის, კრესპომ მანამდე ძელსაც გაარტყა და ორჯერ დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

— პირველ ტაიმში გამიჭირდა, არადა ერთი მაინც უნდა გამეტანა. ჩემს თავს ნერვიულობის ნება არ მივეცი. შესვენების შემდეგ მაინც მოვახერხე გოლის გატანა და ეს გოლი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა — თქვა კრესპომ.

დიახ, 1993 წელს „აიაქსთან" 2:0 გამარჯვების შემდეგ „პარმა" შინ აღარ აგებს და ასეთი თამაში უკვე 15 დაგროვდა.

პარმელთა გერმანელ მოწინააღმდეგეს, მოგეხსენებათ, ნევიო სკალა უდგას სათავეში, კაცი, რომელმაც მათი ისტორიის უდიდესი წარმატებები მოიტანა. სკალას ოდესღაც მშობლიურ სტადიონზე გამოჩენამ, ოთხშაბათს, მის მოტრფიალე გულშემატკივართა აღფრთოვანება გამოიწვია. გერმანელებმა თამაში მხნედ დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტიც სწორედ მათ შექმნეს: ანდრეას მიოლერმა თავისი შვეიცარიელი თანაგუნდელი შტეფან შაპუიზა კარგ პოზიციაში გაიყვანა, მაგრამ მისი დარტყმა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგერია. მას შემდეგ მასპინძლებმა ყოველგვარი ინიციატივა იგდეს ხელთ. მათ უამრავ მომენტს „ბორუსიამ" მეორე ტაიმშიღა უპასუხა, როდესაც შაპუიზამ იორგ ჰაინრიხის მიერ ჩაწოდებული ბურთი ვერ დაიმორჩილა, მოგვიანებით კი იურგენ კოლერმა, რომელიც ევროთასებზე მესამოცე მატჩს ატარებდა, ბუფონის კარს სულ ოდნავ ააცილა.

— დღეს უმნიშვნელოვანესი გამოცდა ჩავაბარეთ. ეჭვგარეშეა, საპასუხო მატჩი დორტმუნდში უძნელესი იქნება, მაგრამ ახლა თავს ვერ ვთოკავ და გამარჯვების სიხარულს გამოვხატავ — ბრძანა „პარმას" ახალგაზრდა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

#### სპარტა 3:0 გალათასარაი

„პარმასთან" 0:0-ის და დორტმუნდში 1:4-ის შემდეგ პრაღელთა მატჩს თურქულ



REUTERS

პსვ — ნიუკასლი. ვიმ იონკმა გამარჯვებისა შეაგდო

„გალათასარაისთან" მხოლოდ 11 108 მაყურებელი დაესწრო. თამაში რომ დამთავრდა და „სპარტას" მწვრთნელმა იოზეფ ხოვანეცმა „პარმა" — „დორტმუნდის" ანგარიში შეიტყო, განაცხადა: — ფაქტობრივად, ყველაფერი წინაა.

ანგარიში 34-ე წუთზე შორეულ ძელთან მდგომმა ჰორსტ ზიგლმა გახსნა, რომელსაც ზდენეკ სვობოდას ჩაწოდებული კუთხურიდან მიუვიდა ბურთი. თამაში ერთობ უხეშად მიმდინარეობდა და მე-40 წუთზე თურქმა ინსეფ ვედათმა მეორე ყვითლის წესით მოედანი დატოვა. 66-ზე პიოტრ გაბრიელმა ახლო მანძილიდან გაზარდა ანგარიში, რასაც მასპინძლების რიცხობრივი უპირატესობის გაზრდა მოჰყვა: ჰაქან უნსალმაც მეორე ყვითელი იხილა. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ზიგლმა თურქების საჯარიმოში იგდო ბურთი ხელთ, გაირბინა და შეცვლაზე შესულ იოზეფ ობაჟდინს საგოლედ მიაწოდა — 3:0. ჩეხთა მეკარემ ტომაშ პოსტულკამ პირველ ტაიმში არიფის დარტყმა მოიგერია ჩინებულად.

მატჩის შემდეგ მასპინძლების მწვრთნელმა გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ მეტოქემ შესვენებისას რუმინელი ვარსკვლავი გეორგ ჰაჯი შეცვალა.

— „გალათასარაის" მოთამაშეებს სივრცე შევუზღუდეთ — დასძინა მან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: დორტმუნდი — პარმა, გალათასარაი — სპარტა.*

### B ჯგუფი

#### მანჩესტერი 2:1 ფეიენოორდი

„ოლდ ტრეფორდმა" ზედიზედ მეორე გამარჯვება იხილა, სულ კი „იუნაიტედს" სამიდან სამი მოგება დაუგროვდა. მასპინძლებმა სტუმრებს აჯობეს, ხოლო მათი პირველი გოლი, რომელიც სქოულზმა გაიტანა, ულამაზესი იყო. ინგლისის ჩემპიონს მართლაც ბევრი გოლის გატანა შეეძლო, ინიციატივა, საწყის 20 წუთს თუ არ ჩავთვლით, სულ მისი იყო, მაგრამ 2:1-ზე მეტი ვერ მოიგო.

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტოქე უნდა დაგვემარხა. იმდენი შესაძლებლობა შევქმენით, დიდი ანგარიშით შეგვეძლო გამარჯვება, მაგრამ ამის ნაცვლად ბოლოს სანერვიულო წუთები გვერგო, რაც ჩვენი ბრალია. ვიმეორებ, ყველა პირობა გვქონდა იმისა, რომ იოლად და დამაჯერებლად მოგვეგო. რას ვიზამთ, რაც მოხდა, მაინც კარგი იყო — დაასკვნა „მანჩესტერის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა.

„ფეიენოორდის" მწვრთნელი არი ჰაანი ჰოლანდიაში კრიტიკის ობიექტია. გულშემატკივრები მის გაშვებას სთხოვენ კლუბის ხელმძღვანელობას.

— ვფიქრობ, თამაში სამართლიანი შედეგით დამთავრდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" დღეს საუცხოოდ ითამაშა, ჩვენ კი ძალიან გვიან გავიტანეთ — თქვა მან.

სტატისტიკა მოწმობს, რომ „იუნაიტედს" ჰოლანდიურ გუნდთან შინ არასდროს წაუგია. ახლაც გაიმარჯვა. მეორე გოლი ინგლისელებმა პენალტით გაიტანეს — „ფეიენოორდის" არგენტინელმა მცველმა პატრისიო გრაფმა შერინგემი წააქცია თავის საჯარიმოში. ვინაიდან შერინგემმა ბოლო ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გაიტანა, ახლა მანჩესტერელთა პენალტისტი ირვინია, რომელმაც გულშემატკივრებს არ უმტყუნა. ბოლოს, თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე, შეცვლაზე შესულმა ჰენკ ვოსმა შეამცირა ანგარიში.

— ჯგუფიდან ვერ გახვალ, თუ ვერ მოიგე, ჩვენ კი ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელიც ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდა — თავი იმართლა ჰაანმა.

#### კოშიცე 0:1 იუვენტუსი

მოულოდნელი არაფერი მომხდარა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ტურინელებმა იოლად გაიმარჯვეს. ერთადერთი გოლი ალესანდრო დელ პიეროს მიერ შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ მოიტანა. მან 34-ე წუთზე ბურთი კედელს შემოატარა და მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. „კოშიცეს" გოლკიპერი ლადისლავ მოლნარი კინაღამ მიწვდა ბურთს — სანტიმეტრი დააკლდა მოსაგერიებლად. ამ შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღეს კოშიცელებმა სპილარმა, ძურიკმა, ლიუბარსკიმ და ტურინელებმა — დიმაშმა და პესოტომ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ფეიენოორდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| კოშიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |



REUTERS

პარმა — დორტმუნდი. ასე გაიტანა კრესპომ ერთადერთი გოლი

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: იუვენტუსი — კოშიცე, ფეიენოორდი — მანჩესტერი.*

### C ჯგუფი

#### დინამო 3:0 ბარსელონა

— შესაძლოა, „ბარსელონას" ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის მოპოვების ბოლო შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ძალიან გვინდოდა გამარჯვება და ამიტომაც გავიმარჯვეთ — ბრძანა მატჩის შემდეგ კიევის გმირად ქცეულმა ვალერი ლობანოვსკიმ.

— მსაჯს ვერაფრით დავეთანხმები: ჰესპის უკან ორი მცველი იყო და ამდენად შევჩენკოს წაქცევა უკანასკნელი იმედის ჯარიმად არ უნდა ჩათვლილიყო — განაცხადა კატალონელთა თავკაცმა ლუის ვან გაალმა, რომელმაც ორიოდ კომპლიმენტი უკრაინელებისთვისაც გაიმეტა.

— მეოთხედფინალში გასვლაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა. ჩვენს ჯგუფს ხომ „სიკვდილის ჯგუფი" შეარქვეს, რადგან მასში მხოლოდ ძლიერი გუნდებია თავმოყრილი — სიტყვა დაიბრუნა ლობანოვსკიმ.

ამ მატჩის შესახებ წინა „სარბიელშიც" გვეწერა, ამიტომ მის აღწერას აღარ შევუდგებით. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ მეკარის გაძევება, რომელზეც ვან გაალმა ილაპარაკა, მეორე ტაიმში იყო, მანამდე კი ესპანეთის ვიცე-ჩემპიონი უკვე 0:2-ს აგებდა. პირველი და მეორე გოლი მე-6 და 32-ე წუთებზე რებროვმა და მაქსიმოვმა გაიტანეს, ჰესპის გაგდების შემდეგ კი ანგარიშს კალიტვინცევის მიერ 65-ე წუთზე გატანილი გოლი დაემატა.

#### ეინდჰოვენი 1:0 ნიუკასლი

ინგლისელებს დაშავებული თავდამსხმელები აკლდათ. არც შირერი იყო და არც ასპრილია. ალბათ ამიტომაც ეწერა მატჩის შემდეგ ტაბლოზე მათ მხარეს ნოლი. ჰოლანდიის ჩემპიონმა კი ალალი უპირატესობა იგდო ხელთ და შესვენებამდე ვიმ იონკის მიერ გატანილი გოლით გაიმარჯვა კიდეც.

თემურ ქეცბაიას თამაშში ჩართვამდე ინგლისელებს არ ჰქონიათ ის, რასაც მომენტი შეიძლება ეწოდოს. გილესპის მომდომებას თუ მოჰყვებოდა რაღაც მომენტისმაგვარი. 66-ე წუთზე კი ბერესფორდის მაგივრად ქართველი შევიდა მოედანზე და კინაღამ ანგარიში გაათანაბრა. ქეცბაიას ვერც შეაქებდი და ვერც გააკრიტიკებდი: ერთი მხრივ ის და მხოლოდ ის იყო „ნიუკასლის" ერთადერთი შანსის შემოქმედი, მეორე მხრივ კი საგოლე პოზიციიდან ვერ გაიტანა.

თემურმა ბურთი ცენტრის ხაზს ოდნავ გადაცილებულმა მიიღო, დრიბლინგით გაირბინა და საჯარიმომდე შევიდა, სადაც დასარტყმელი და გოლის გასატანი ვითარება შეექმნა, მაგრამ... ქართველის ბოლო აკორდი ერთობ უზუსტო გამოდგა — ბურთი ხარიხას გადააფრინდა.

— დღეს ცუდად არ გვითამაშია, უკეთ ვირჯებოდით, ვიდრე კიევში — შეაფასა თამაში თემურის და მისი რაზმის მწვრთნელმა კენი დალგლიშმა — ყოველთვის ვიცოდი, რომ ეინდჰოვენში უძნელეს ამოცანას წავაწყდებოდით და ამიტომაც ვაცხადებ, რომ ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. ისიც ცხადია, რომ შირერისა და ასპრილიას გარეშე მდგომარეობა მეტად გართულებული გვქონდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბარსელონა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: ნიუკასლი — ეინდჰოვენი, ბარსელონა — დინამო.*

### D ჯგუფი

#### რუსენბორგი 2:0 პორტუ

ტრონჰეიმში თოვდა და თოვლი სამხრეთული ქვეყნის ლიდერს ძნელ ამოცანას ერთიორად უძნელებდა. მართლაც, მძიმე გრუნტზე „პორტუმ" ვერაფერი მოახერხა, სავსებით ვერაფერი.

ანგარიში ნორვეგიული ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა სიგურდ რუშფელდტმა მე-10 წუთზე გახსნა. მან თაურით მაშინ მიაღწია საწადელს, კაპიტანმა ბენტ სკამელსრუდმა ჯარიმიდან რომ ჩააწოდა. მას მერე, ამ ამბიდან შვიდი წუთის შემდეგ, სტუმრებს მატჩის საუკეთესო მომენტი შეექმნათ: მათმა მარიო ჟარდელმა „რუსენბორგის" მეკარეს იორნ იამტფალს ჩაურბინა, მაგრამ ძალიან ააცილა.

შესვენებამდე რვა წუთით ადრე კი რუსენბორგელებმა მეორე გოლის გატანაც მოახერხეს. ასისტენტობა ამ ეპიზოდშიც სკამელსრუდმა გასწია, რომელმაც ჰარალდ მარტინ ბრატბაკს გაატანინა. მასპინძლებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ ბურთის ბადეში შეგდება, მაგრამ მინი იაკობსენს „პორტუს" მეკარე რუი კორეიამ პენალტი ფეხით აუღო.

გაძევება ამ შეხვედრაშიც იყო — მეორე ყვითელმა ბარათმა მოედანი სტუმართა ნახევარმცველ ჩიპოს დაატოვებინა.

— გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით, თუმცა ძალიან ბევრი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. ცხადია, ბედნიერი ვარ — განაცხადა „რუსენბორგის" მწვრთნელმა ნილს არნე ეგენმა.

#### რეალი 5:1 ოლიმპიაკოსი

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის პირველი გოლი „ოლიმპიაკოსის" ნიკოლას დაბიზასმა კუთხურიდან, ჩინებული თაურით გაიტანა, ესპანეთის „სამეფო გუნდმა" ხუთჯერ შეაგდო და მესამე თამაშში მესამე გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლებმა ბერძნებს ნახევარდაცვა გაუტეხეს და როდესაც 33-ე წუთზე დაბიზასმა დავორ შუკერი წააქცია, ხორვატი წამოდგა და პენალტით გაქვითა. შემდეგ ფერნანდო მორიენტესმა ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო, შუკერმა კი კიდევ პენალტი დაარტყა ზუსტად. ვიქტორის სოლო 85-ე წუთზე დაგვირგვინდა „რეალის" გოლით, 90-ზე კი დარტყმათა ოსტატმა, ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა დაარტყა ზუსტად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| რუსენბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: ოლიმპიაკოსი — რეალი, პორტუ — რუსენბორგი.*

### E ჯგუფი

#### ბეშიქთაში 1:0 გიოტებორგი

მე-6 წუთზე „ბეშიქთაშის" ფორვარდის ოქთაის კარგმა გოლმა შვედური „გიოტებორგი" დაამარცხა. ბულგარელმა ნახევარმცველმა ზლატკო იანკოვმა ბურთი ლამაზად გადაავლო სტუმართა დაცვას, ოქთაი კი შეიჭრა და „გიოტებორგის" გამოცდილი მეკარის თომას რაველის კარი დალაშქრა.

— ჩვენ მთელი გუნდით ვიბრძოდით — თქვა ოქთაიმ —, გოლის გატანა კი ჩემი პროფესიაა. [illegible] რაც გოლები გამაქვს.

„[illegible]" ბოლო ათ წუთში მოინდომა, მაგრამ სტეფან პეტერსონის ნახევარმომენტების მეტი ვერაფერი მოახერხა. საფინალო სასტვენის შემდეგ სტამბოლის ცენტრი ჯგუფში მეორე ადგილზე გადასული „ბეშიქთაშის" ქომაგებით გაივსო.

#### ბაიერნი 5:1 პსჟ

— ჩემს გუნდს ევროთასებზე ასე კარგად არ უთამაშია. იანკერი დიდებულ ფორმაშია, მაგრამ მე მაინც ყველას შექება მსურს. მთელმა გუნდმა ჯადოსნური ფეხბურთი აჩვენა — ვერ მალავდა აღფრთოვანებას „ბაიერნის" იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი.

„პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი, ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მცველი რიკარდო საძაგელ ხასიათზე იყო:

— როგორც ვატყობ, ჯობს საფრანგეთის ჩემპიონატზე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ. თამაშის ბედი 20 წუთში გადაწყდა. 2:0-ის შემდეგ ველარაფერს ვილონებდი. ოღონდ ერთია: დღეს ძალიან ძლიერმა გუნდმა დაგვამარცხა.

მართლაც, ამ მატჩში ლიდერთა უშეღავათო ბრძოლას ელოდნენ, სინამდვილეში კი ის გამოვიდა, რომ მასპინძლებმა სტუმრებს პატარა შანსიც არ დაუტოვეს. ანგარიში მეოთხე წუთზე ელბერმა გახსნა — საჯარიმოში ოდნავ შესულმა ბურთი წინ გასულ რევოს თავზე გადაუგდო. მე-20-ზე რევომ თანაგუნდელი დომის უკუპასს ალღო ვერ აუღო და ამით იანკერმა ისარგებლა — 2:0. მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როდესაც რევომ ბურთი პირდაპირ ელბერს ესროლა, ელბერმა კი იანკერს გადააწოდა — 3:0. „სენ ჟერმენის" იტალიელმა თავდამსხმელმა სიმონემ ხელად გოლით უპასუხა, მაგრამ ჰელმერმა ტარნატის პასი მიიღო და მეოთხედ დასცა პარიზელთა კარი. კიდევ ერთი, მეხუთე და უკანასკნელი, „ბაიერნში" „შტუტგარტიდან" ახალგადასულმა ბრაზილიელმა ელბერმა გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| ბეშიქთაში | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პსჟ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| გიოტებორგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: გიოტებორგი — ბეშიქთაში, პსჟ — ბაიერნი.*

### F ჯგუფი

#### მონაკო 5:1 ლიერსი

თამაშის მიწურულს მოედანზე გვიან შესულმა დავიდ ტრეზეგმა ორი გოლი გაიტანა და 3:1 5:1-ად აქცია. ტრეზეგმა მონაკოელთა მესამე გოლის ავტორი, ნიგერიელი ვიქტორ იკპება შეცვალა, პირველი და მეორე კი ანრიმ და შოტლანდიელმა კოლინზმა გაიტანეს. „ლიერსის" ერთადერთმა პასუხმა, შუა თამაშში, 2:1 გახადა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

— დღევანდელი თამაშით ერთობ ნასიამოვნები დავრჩი. დიდი ანგარიშით იღბალმა მოგვაგებინა, რადგან საწყისი 30 წუთის განმავლობაში „ლიერსი" ძლიერად თამაშობდა — აღიარა ჟან ტიგანამ.

თავის მხრივ, ლიერსელთა თავკაცმა ჟოს დაარდენმა „მონაკო" აქო და თქვა, რომ მონტეკარლოელები მისი გუნდისთვის მეტისმეტად ძლიერნი იყვნენ:

— ანგარიშმა გუნება წამიხდინა, რადგან 25 წუთში სამი გოლის გაშვება შემაშფოთებელია. „მონაკო" კი ძლიერი იყო და გამარჯვებას სავსებით იმსახურებდა. მესამე რომ გავუშვით, მივხვდი, განწირულები ვიყავით. სამწუხაროდ, ძალიან ნელა და ყოველგვარი აგრესიის გარეშე ვითამაშეთ.

#### სპორტინგი 0:2 ლევერკუზენი

ლისაბონურ მატჩში ორი გოლი მეორე ტაიმში გავიდა. პირველში ორივე მხარე ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ გერმანელთა სიძლიერე მაშინვე ჩანდა. 68-ე წუთზე შტეფან ბაინლიხმა საჯარიმოდან გახსნა ანგარიში, თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე კი ულფ კირსტენის პასით ბრაზილიელმა ემერსონმა 2:0 გახადა. ბოლო წუთზე „სპორტინგის" მოთამაშემ დიდიე ლანჟმა ბურთი ხარიხას გაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ლიერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

*მეოთხე ტური. 5 ნოემბერი: ლევერკუზენი — სპორტინგი, ლიერსი — მონაკო.*

პაატა ძელია

# ამოუვდა ზამთრის ტრომსოს

Cup Winners' Cup

## თასების თასის მერვედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

თურქული „ქოჯაელისფორი“ ევროპული მასშტაბით დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ იმდენი კი შეუძლია, მოსკოვის „ლოკომოტივს“ რუსეთის ცივ და სველ დედაქალაქში ღირსეული ბრძოლა რომ გაუმართოს. „ლოკომოტივმა“ 2:1 მოიგო, ხოლო ეს ანგარიში როგორია, მკითხველს კარგად მოეხსენება. მოსკოვის შეხვედრას ბევრი თურქი გულშემატკივარი ესწრებოდა და სტუმარ ფეხბურთელებს მათი შეძახილებიც უმაგრებდა გულს. ამიტომაც იყო, ევგენი ხარლაჩოვის მიერ 32-ე წუთზე გატანილ გოლს მეორე ტაიმის 28-ე წუთზე თურან უზუნმა გოლითვე რომ უპასუხა, მაგრამ რა იცოდნენ თურქებმა, რომ რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი კავკასიაა: მსაჯს საფინალო სასტვენამდე რვა წუთი უკლდა, როდესაც სომეხმა სარქისიანმა ქართველ ჯანაშიას ჩააწოდა, ზაზას თაური კი „ქოჯაელისფორის“ რუმინელი გოლკიპერის შეცდომამ შედეგიანი გახადა.

ლოკომოტივი: ბიჯიევი, სალამატინი, დროზდოვი (პაშინინი 90), ხარლაჩოვი, ჩუგაინოვი, გურენკო, ჩერენჩენკო, ვესელოვი (ხმირნოვი 46), მამინოვი (სარქისიანი 82), ჯანაშია, ლახკოვი

დავუყვეთ ესენგეს — თანამეგობრობა ჰქვია მაინც. დონეცკში „შახტიორი“ — „ვიჩენცა“ გაიმართა. თამაშამდე იტალიის ტელევიზიამ, კერძოდ „რაიდუემ“, მოკლე ჩანახატი გადასცა უკრაინელ მეშახტეთა ქალაქიდან. იყო „ვიჩენცას“ ვარჯიშიცა და ქალაქის ხედებიც. ილაპარაკეს უკრაინის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ეკრანზე კი ტიპიურ უსახურ კორპუსებს, მილიციელებს და „ვალინკებიან“ მოხუც ქალებს აჩვენებდნენ. მოედანზე პასკუალე ლუიზომ 30-ე წამზე გახსნა ანგარიში. მანვე 55-ე წუთზე მასიმო ბეგეტოს გაატანინა, 90-ზე კი ისევ თავად შეაგდო. დონეცკელების ერთადერთი გოლი გენადი ზუბოვმა შეაგდო.

იტალიის თასის მფლობელი კვირას საშინაო ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბრეშიასთან“ საძაგელი თამაშისა და 0:4 დამარცხების შემდეგ გამოფხიზლებული ჩანდა. პირველსავე წუთზე ანგარიშის გახსნის შემდეგ ვიჩენცელ მარკო სკენარდის 40 მეტრიდან შეეძლო მეორეს გატანა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა, ჩამოვარდნილს კი ლუიზომ ველარ დაამატა. მორიგი საგოლე მომენტი ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე შე-



REUTERS დონეცკიდან

დონეცკელი ზუბოვის აქტიურობამ და გოლმა შახტიორს ვერ უშველა

იქმნა: სამმა იტალიელმა „შახტიორის“ დაცვა გაარღვია, სკენარდიმ ისევ ლუიზოს გადააწოდა, მაგრამ სტუმართა თავდამსხმელმა უღონოდ დაარტყა და ბურთი მეკარე დმიტრო შუტკოვს მოახვედრა. თავის მხრივ, დონეცკელებს ორივე ფრთაზე ეძლეოდათ განავარდების საშუალება, მაგრამ დომენიკო დი კარლოს და სხვა იტალიელ მცველთა ოსტატობამ მათ ერთადერთი მომენტის შექმნის საშუალება მისცა: გენადი ორბუს დარტყმას მეკარე პიერლუიჯი ბრივიო გაუმკლავდა. ერთი ნახევარმომენტი ჩვენებურ მიხეილ ფოცხვერიასაც ჰქონდა.

მეორე ტაიმი ლუიზოს მაკრატელა დარტყმით დაიწყო — ბურთი ოდნავ გადაცდა ხარიხას. „შახტიორმა“ მდგომარეობის გამოსასწორებლად ინტენსიური შეტევა განიზრახა, მაგრამ არც ამან გაამართლა და 55-ზე „ვიჩენცამ“ მეორე გოლი გაიტანა.

მასპინძლებმა მალე შეამცირეს სხვაობა: ორბუმ საჯარიმოს მარჯვენა მხარეს ზუბოვს გადასცა, რომლის დარტყმაც ბურთის კარის „ჭერში“ შეგდებით დასრულდა. ამის შემდეგ დონეცკელები სტუმართა საჯარიმოს აღარ მოშორებიან, მაგრამ... ლუიზომ მესამე გაიტანა.



REUTERS ტრომსოდან

ტრომსო — ჩელსი. ვიალი და ჰიუზი ნამქერშიც რაღაცას ახერხებდნენ

ნორვეგიაში რომ ტრომსოა, მისი გუნდის შანსი მიმდინარე შეჯიბრებაში ბუქმეიქერებს 150-1 ჰქონდათ შეფასებული. ამიტომაც არავინ ელოდა ტრომსოელთა მიერ „ჩელსის“ დამარცხებას. 3:2 — ასე დამთავრდა შეხვედრა, რომელიც დათოვლილ მოედანზე ჩატარდა.

პოლარული წრე იტალიელმა ჯანლუკა ვიალიმ გაალღო. ყოფილმა სამპდორიელმა და იუვენტუსელმა მაესტრომ 86-ე და 90-ე წუთებზე ორჯერ გაიტანა. მისმა პირველმა გოლმა 2:0 2:1-ით შეცვალა, მეორემ კი 3:1 3:2-ით. იტალიელის წყალობითაა, ახლა „ჩელსი“ იმედიანად რომ ელოდება ორი კვირის შემდგომ ხუთშაბათს, თორემ ინგლისის თასის მფლობელი მართლაც სერიოზული საფრთხის წინაშე იდგებოდა. თავად განსაჯეთ — ნორვეგიელებმა სამჯერ ხომ ისედაც მიაღწიეს მიზანს და კიდევ, მათმა თავდამსხმელმა რუნე ლანგემ რამდენიმე საგოლე მომენტი გაფლანგა.

მატჩის გმირი კი მაინც თოვლი გახლდათ. მართალია, პირველი ტაიმის წინ სტადიონის მოხელეებს მოედანი თეთრი ქურქისგან საგულდაგულოდ ჰქონდათ გაწმენდილი, მაგრამ თხუთმეტწუთიანი შესვენება სრულიად საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ საფარი მოთხილამურეთა შეჯიბრებისთვის შესაფერისი გამხდარიყო.

— ეს ფეხბურთი არაა, თამაში არ უნდა ჩატარებულიყო. მეორე ტაიმში ქარი თოვლს სახეში გვაყრიდა, ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული — აღშფოთებას ვერ მალავდა „ჩელსის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი რუუდ გულიტი.

ყველაფერში გულიტმა პოლონელი არბიტრის იაცეკ გრანატის მოქმედებაც იგულისხმა. საქმე ისაა, რომ გრანატმა ვიალის პირველი გოლის შემდეგ ლონდონელებს ფეხბურთელის სწრაფად შეცვლის საშუალება არ მისცა — გულიტს დაშავებული ფრანკ ლებეფის შეცვლა ენდი მაიერსით უნდოდა, მაგრამ მსაჯმა ჯერ ცენტრიდან განაახლებინა ნორვეგიელებს თამაში. დაცვაში რიცხობრივად შემცირებულმა „ჩელსიმ“ შეცდომა დაუშვა და მასპინძლებმა მესამე გოლი გაიტანეს, გულიტი ამაზე განაწყენდა და პროტესტიც გამოთქვა, მაგრამ ძირითადად მაინც ამინდს ჯავრობდა.

— ფეხბურთი მწვანე ბალახის თამაშია — განაცხადა ჰოლანდიელმა.

გაოცებას ისიც იწვევს, რომ „ტრომსო“ ნორვეგიის ჩემპიონატის აუტსაიდერთაგანია და დღეს-ხვალ ლიგაში დასარჩენად ფლეი-ოფები აქვს სათამაშო, არადა, „ჩელსის“ პირველ 20 წუთში ორი გოლი გაუტანა. პირველი საჯარიმო დარტყმის შედეგი იყო, მეორე კი მთლიანად „ჩელსის“ გოლკიპერის ედ დე გუის დამსახურება გახლდათ — ნელა დარტყმული რატომღაც ხელში ვერ დაიმაგრა.

თასთა თასის კიდევ ერთმა ფავორიტმა, გერმანულმა „შტუტგარტმა“ ბელგიის ქალაქ ეკერენში იქაურ „ჟერმინალს“ ოთხი უპასუხო გოლი შეუგდო. პირველი გერმანიის ნაკრების მოთამაშემ ფრედი ბობიჩმა კრასიმირ ბალაკოვის მიერ ჩაწოდებული კუთხურიდან გაიტანა, მეორე, მეორე ტაიმში, ნიგერიელმა ჯონათან აკპობორიმ, რომელსაც მათიას ჰაგნერმა თაური პასი მიაწოდა. ექვსი წუთის შემდეგ აკპობორიმ სოლო რეიდი შეასრულა და ისევ ბობიჩს გაატანინა, თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე კი იმავე აკპობორიმ ჯერ მცველს რუდი მურის გაუძვრინა ბურთი ფეხებს შორის, შემდეგ კი მეკარე იან მონსიც მოატყუა და მეოთხე შეაგდო. ახლა აკპობორის თასების თასის მიმდინარე გათამაშებაში ხუთი გოლი აქვს გატანილი, ბობიჩს კი — ოთხი.

— გამორიცხულია, ჩვენ 0:4-ს ვეღარაფერს მოვუხერხებთ, მაგრამ არ გვინდა, რომ ორი თამაშის ჯამში გაპამპულებულნი გამოვიდეთ — თქვა „ეკერენის“ მწვრთნელმა ჰერმან ჰელეპუტმა.

ფავორიტია ესპანური „ბეტისიც“. უცნაურია, მაგრამ სევილიის ეს გუნდი თასების თასზე მხოლოდ 2:0-ს იგებს, სხვა ანგარიშს არ ცნობს. წინა რაუნდში, მეთექვსმეტედფინალში, „ბეტისმა“ შინაც და სტუმრადაც 2:0 აჯობა უნგრულ „კაშუტაშს“, ასევე მოიქცა მერვედფინალის პირველ შეხვედრაშიც, რომელშიც დანიურ „კოპენჰაგენს“ უმასპინძლა. სევილიელთა ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. თამაშის მიწურულს კი სტუმრებმა იძალეს. „კოპენჰაგენმა“, რომლის თავდასხმაშიც დანიის ნაკრების წევრი, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში გატანილი ორი გოლიდან ერთის ავტორი ჰენრიკ ლარსენი თამაშობს, ძელს მოარტყა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო.

**პაპუნა ძიძია**

### თასების თასი. მერვედფინალი
პირველი მატჩები. 23 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — ქოჩაელისფორი (თურქეთი) 2:1
**1:0 ხარლაჩოვი (32), 1:1 უზუნი (73), 2:1 ჯანაშია (82)**

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — შტურმი (გრაცი, ავსტრია) 2:0
**1:0 ბატისტა (74), 2:0 მარსელო (84)**

შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) — ვიჩენცა (იტალია) 1:3
**0:1 ლუიზო (1), 0:2 ბეგეტო (55), 1:2 ზუბოვი (62), 1:3 ლუიზო (90)**

ეკერენი (ბელგია) — შტუტგარტი (გერმანია) 0:4
**0:1 ბობიჩი (44), 0:2 აკპობორი (57), 0:3 ბობიჩი (63), 0:4 აკპობორი (77)**

პრიმორიე (სლოვენია) — როდა (კერკრადე, ჰოლანდია) 0:2
**0:1 ლავალი (15), 0:2 ვან დე ლუერი (67)**

ნიცა (საფრანგეთი) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 2:2
**1:0 ოლანიე (53), 1:1, 1:2 ვახა (14, 35), 2:2 ოლანიე (78)**

ტრომსო (ნორვეგია) — ჩელსი (ინგლისი) 3:2
**1:0 ნილსენი (6), 2:0 ფერმანი (17), 2:1 ვიალი (86), 3:1 ერსტი (87), 3:2 ვიალი (90)**

ბეტისი (სევილია, ესპანეთი) — კოპენჰაგენი (დანია) 2:0
**1:0 ოლი (25), 2:0 კანიასი (39)**

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა

### იტალია

ოთხშაბათს „სკუადრა აძურა“ წლეულს მეორედ ესტუმრება ყოფილ საბჭოეთს და თუ პირველად თბილისში ვერაფერი გააწყო ნულოვანი ყაიმის გარდა, ახლა მოსკოვში აუცილებლად უნდა მოიგოს. რუსეთის დედაქალაქში იტალიელებს ადრეც უთამაშიათ, მაგრამ გამარჯვება ვერა და ვერ დაუჭაშნიკებიათ. ახლა დაცვაზე უზომოდ შეყვარებული მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის წყალობით აპენინელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა-არწასვლის საკითხი უდგათ. მათ მხოლოდ მოგება სჭირდებათ.

რას იზამენ იტალიელები 29-ში, ძნელი სათქმელია. მწვრთნელმა, ეტყობა, კრიტიკა ისმინა და გუნდში იმ თავდამსხმელებსაც უხმო, ამდენ ხანს ნაკრების მიღმა რომ ტოვებდა. ბოლო ოთხი შესარჩევი მატჩიდან იტალიამ სამი ფრედ — 0:0 დაასრულა, რამაც აპენინელები სამართლიანად აღაშფოთა. პოლონეთთან სტუმრად ნათამაშევი ყაიმი იტალიაში ასე თუ ისე მიიღეს, საქართველოსთან ფრემ კი უფროს მალდინის საშინელი კრიტიკა დაატეხა თავს. თბილისში დაკარგულმა ორმა ქულამ როგორ გაუფუჭა საქმე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს, ახლა ამაზე საუბარი დაგვიანებულია, მაგრამ იტალიაში იმას უფრთხიან, მოსკოვშიც არ განმეორდეს თბილისური ამბავი. ისე, რუსეთი იტალიისთვის არცთუ სასურველი მეტოქეა — ყოფილი სსრკ-ს გუნდი დღემდე იმ იშვიათთაგანია, ვისთანაც აპენინელებს უარყოფითი ბალანსი აქვთ.

საოთხშაბათო მატჩისთვის მოსამზადებლად იტალიელებმა შეკრება რამდენიმე დღეა, რაც დაიწყეს. ამჯერად „სკუადრა აძურამ“ ადგილსამყოფელი იცვალა და კოვერჩანოს ნაცვლად ემზადება ბორგეზიანაში — იქ, სადაც მალდინი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ზედიზედ სამგზის გამარჯვებულ უმცროს „სკუადრა აძურას“ ამზადებდა. ინგლისელებთან ნათამაშევი გუნდთან შედარებით, ახლა ჩეზარე მალდინიმ გარკვეული ცვლილებები მოახდინა. უპირველესად ფაბრიციო რავანელის დაბრუნებაა აღსანიშნავი — ჭაღარა თავდამსხმელმა ნაკრებში ბოლოს ექვსი თვის წინ, პოლონეთთან შინ 3:0 მოგებული შეხვედრა ითამაშა. ახლა „მიდლსბროდან“ „მარსელში“ გადასულმა გოლების შეგდება იწყო და მისი დაძახებაც არ დაავიწყდათ. ნაკრებს დაუბრუნდა რობერტო დი მატეოც, რომელიც ინგლისელებთან ორი გაფრთხილების გამო იყო დისკვალიფიცირებული, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, იგი ბორგეზიანაში გუშინ ჩავიდა, რადგან ხუთშაბათს თასების თასზე ჰქონდა სათამაშო. რაც შეეხება დებიუტანტებს, ისინი საკმაოდ არიან სარუსეთო გუნდში — ნაკრებს ხომ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა და ცხადია, მათ ადგილებს შევსება სჭირდებოდა. მალდინიმაც არჩევანი ახალწვეულებზე შეაჩერა. მან ნაკრებში ერთხელ ნათამაშევი ფაბიო პეტრუცი ჩათვალა „სკუადრა აძურას“ ღირსად, ისევე როგორც სანდრო კოისი, ლუიჯი სარტორი და ჯანლუიჯი ბუფონი. ეს ბოლო სამეული აქამდე ქვეყნის პირველ გუნდში არასდროს გამოუძახიათ. უფროსმა მალდინიმ ნაკრებში დააბრუნა ჯანლუკა პესოტოც. რაც შეეხებათ ნაკრებს მიღმა სხვადასხვა მიზეზის გამო დარჩენილებს, მათი სახით იტალიამ მართლაც დიდი ძალა დაკარგა. ინგლისთან მატჩში გაძევების გამო მოსკოვში ვერ ითამაშებს ანჯელო დი ლივიო, მისი სამი თანაკლუბელი ჩირო ფერარა, ანჯელო ბერუცი და ანტონიო კონტე კი ტრავმირებულნი არიან. პაოლო მალდინი კი ვარჯიშობს, მაგრამ საეჭვოა მოსკოვში ითამაშოს — ნაკრების კაპიტანი რომში ჩინთან ორთაბრძოლისას დაშავდა, პერუცი კი ჩემპიონთა ლიგაში „კოშიცესთან“ მატჩის პირველ ნახევარშივე შესაცვლელი შეიქნა.

ნაკრების სრული, 24 კაციანი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ჯანლუკა პალიუკა (ინტერი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა); მცველები — ანტონიო ბენარივო, ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), ფაბიო პეტრუცი (რომა), ლუიჯი სარტორი (ინტერი); ნახევარმცველები — დემეტრიო ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), სანდრო კოისი (ფიორენტინა), ლუიჯი დი ბიაჯო (რომა), რობერტო დი მატეო (ჩელსი), დიეგო ფუზერი (ლაციო), ატილიო ლომბარდო (კრისტალ პალასი); თავდამსხმელები — პიერლუიჯი კაზირაგი (ლაციო), ენრიკო კიეზა (პარმა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (მარსელი), კრისტიან ვიერი (ატლეტიკო), ჯანფრანკო ძოლა (ჩელსი).

### ბელგია

ირლანდიელების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ ნახევარმცველი ენცო შიფო და გაბელგიელებული ბრაზილიელი თავდამსხმელი ლუის ოლივეირა. ნაკრების ვეტერანი შიფო ტრავმირებულია, ოლივეირა კი — დისკვალიფიცირებული. ამათგან განსხვავებით „ნიუკასლის“ მცველმა ფილიპ ალბერმა თავად თქვა უარი. სანამ ალბერი მიზეზს იტყოდა, ბელგიელთა მეორე მწვრთნელმა ედი სნელდერსმა განაცხადა, უელსელებთან რომ არ გამოვიძახეთ, ეტყობა, ეწყინაო. თავად მცველმა კი ნაკრებში თამაში იმიტომ იუარა, კარიერას ვამთავრებ და მინდა, მთლიანად „ნიუკასლისთვის“ დავიხარჯო, ნაკრებში უკვე საკმაოდ ბევრი ვიბურთავეო.

რაც შეეხება ჟორჟ ლიკენსის რჩეულთ, ესენი არიან: მეკარეები — ფილიპ დე ვილდე (სპორტინგი), ფილიპ ვანდე ვალე (ლიერსი); მცველები — რეჟი ჟენო (უდინეზე), ბარტ დე რუვერი (ბრედა), ერიკ ვან მეიერი (ლიერსი), გორან ვიდოვიჩი (მუსკრონი), ვიტალ ბორკელმანსი, ერიკ დეფლენდრი (ბრიუგე); ნახევარმცველები — დანი ბოფინი (მეცი), ლორენცო სტალენსი, ფრანკი ვან დერ ელსტი, ნიკო ვან კერკჰოვენი (ლიერსი), გერტ კლასენსი (ბრიუგე), მარკ ვილმოტსი (შალკე 04); თავდამსხმელები — გერტ ვერჰეიენი (ბრიუგე), მიხაელ გუსენსი (შალკე 04), ჟილ დე ბილდე, ლუკ ნილისი (ეინდჰოვენი).

### უკრაინა

მეკარეები — ალექსანდრ შავკოვსკი (დინამო კიევი), ილია ბლიზნიკი (დნეპრი); მცველები — ოლეგ ლუჟნი, ვლადისლავ ვაშჩუკი, იური დმიტრულინი, სერგეი ბეჟენარი (დინამო კიევი), ალექსანდრ კოვალი, მიხაილ სტაროსტიაკი, გენადი ზუბოვი (შახტიორი); ნახევარმცველები — იური მაქსიმოვი, ვალერი კრივენცოვი, ვიტალი კოსოვსკი, დმიტრი მიხაილენკო (დინამო კიევი), სერგეი ნაგორნიაკი (დნეპრი); თავდამსხმელები — სერგეი სებროვი (დინამო კიევი), ივან გეცკო (დნეპრი), სერგეი ატელკინი (შახტიორი).

**ლაშა გოდუაძე**

# ძალა ერთობაშია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე ერთი ამბავი ატყდა. მარტო ევროპაში ისეთი გაწამაწიაა, კაცი უარესს ვერ წარმოიდგენ. გერმანიამ და ინგლისმა ლამისაა, ამის გამო ომი გამოუცხადონ ერთმანეთს. მათი პაექრობა წლის დასაწყისში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ დღეებში კი ინგლისელებმა ერთობ მაცდური ნაბიჯი გადადგეს, რომელსაც პოლიტიკური ელფერი მისცეს — მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კამპანიის ხელმძღვანელმა ალეკ მაკგივენმა განაცხადა, თუ ფიფამ ინება და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენ მოგვანდო, მაშინ 32-გუნდიანი ტურნირის რამდენიმე შეხვედრა, ინგლისის სტადიონების გარდა, შოტლანდიისა და უელსის მოედნებზეც ჩატარდება, ბრიტანეთის ერთიანობისთვის ასე აჯობებსო. მაკგივენის თქმით, უმაღლესი დონის სტადიონები მათ ბევრი აქვთ, მაგრამ არც გლაზგოს „ჰემპდენ პარკია“ ურიგო და არც უელსის ეროვნული სტადიონი. უელსელთა აზრი ამ საკითხზე ჯერ არაა ცნობილი, შოტლანდიელებმა კი იდეა უმალ აიტაცეს. სქოთთა ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა თავმჯდომარემ ჯიმ ფერიმ ბრძანა, არანაირი პრობლემა არ გვექნება, ეგ კი არა, ერთი სტადიონის ნაცვლად კიდევ სამის გამოყოფა შეგვიძლიაო.

ბრიტანელები ოცნებით ერთობ გაერთნენ, სიდნეიში მყოფმა ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა კი გუშინ განაცხადა, სანამ ინგლისი, შოტლანდია და უელსი ერთ ქვეყნად არ გაერთიანდება, მანამდე მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების სხვა ქვეყანაში ჩატარება გამორიცხულიაო. „2006 წლისთვის რა იქნება, ჯერ არავინ იცის, დღესდღეობით კი ფიფას წესდებაში გარკვევით წერია, რომ მასპინძელი ქვეყნის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ჩატარება სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ“ — განაცხადა ბლატერმა.

## ინგლისი

II ტურის გამოტოვებული მატჩი

**დერბი ქაუნთი 1:1 უიმბლდონი**

**დერბი:** პოომი, როუეტი, კ. პაუელი, ტრილოპი, ლაურსენი, დეილი, კერსლი, სტარიჯი (ბარტონი 83), ვენჩოპი, ბაიანო, ასანოვიჩი (დ. პაუელი 83)
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ჯონზი, ბლექველი, ტეტჩერი (მაკალისტერი 59), პერი, მ. ჰიუზი, კ. ჰიუზი (ერდლი 46), ერლი, ეკოკუ, კორტი
1:0 ბაიანო (53), 1:1 როუეტი (70 ს.კ.)

ეს მატჩი „დერბის" ახალ სტადიონზე სადებიუტო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ, როცა მასპინძელთა სასარგებლოდ 2:1 იყო, შუქი ჩაქრა და თამაში ჩაიშალა. ამჯერად კურიოზებს ადგილი არ ჰქონია. მასპინძლებისგან განსხვავებით, სტუმრები აქტიურად თამაშობდნენ და პირველ ტაიმში შექმნილი ორი სახიფათო მომენტი თავიანთ ანგარიშზე ჩაწერეს. სხვათა შორის, ეს მომენტები მასპინძელთა უყურადღებობის გამო შეიქმნა. ჯერ ვენჩოპმა შეტევა ვერ მოიგერია და კორტმა დაარტყა, მეორედ კი ტრილოპს გაექცა ეკოკუ მაგრამ პოომმა ივაჟკაცა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, იტალიელმა ფრანჩესკო ბაიანომ, რომელიც ბოლო ტურების არცერთ მატჩში უგოლოდ არ დარჩენილა, ვენჩოპის კუთხურის შემდეგ იხეირა. „დერბის" მალევე შეეძლო მეორის გატანა, მაგრამ სეზონში მეორედ მოთამაშე ასანოვიჩის 6 მეტრიდან დარტყმული სალივანმა აუღელვებლად აილო. ავტოგოლი კი როუეტმა კორტის დარტყმის შემდეგ გაიტანა. ორივე გუნდმა ზედიზედ მეოთხედ არ წააგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 11 | 6 | 5 | 0 | 27:10 | 23 |
| ბლექბერნი | 11 | 6 | 4 | 1 | 21:9 | 22 |
| მანჩესტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 16:6 | 22 |
| ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 25:14 | 19 |
| ლესტერი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| დერბი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:11 | 17 |
| ლიდსი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| ვესტ ჰემი | 11 | 5 | 1 | 5 | 15:17 | 16 |
| ლივერპული | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 15 |
| ნიუკასლი | 8 | 5 | 0 | 3 | 8:9 | 15 |
| უიმბლდონი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:13 | 13 |
| ტოტენჰემი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | 13 |
| ასტონ ვილა | 11 | 4 | 1 | 6 | 12:17 | 13 |
| კრ. პალასი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:13 | 12 |
| ქოვენთრი | 11 | 2 | 6 | 3 | 8:13 | 12 |
| ევერტონი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:16 | 11 |
| შეფილდი | 11 | 2 | 3 | 6 | 16:26 | 9 |
| ბარნსლი | 11 | 3 | 0 | 8 | 9:28 | 9 |
| ბოლტონი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:15 | 8 |
| საუთჰემპტონი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:18 | 7 |

## პირველი დივიზიონი

**მანჩესტერ სიტი 0:1 სტოკი**

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაითველი, ვან ბლერკი, მაკგოლდრიკი, ედჯილი, ბრენენი (სამერბი 58), საიმონსი, მორლოკი, ბინი (კონლონი 69), ქინქლაძე, დიკოვი
0:1 უოლესი (63)

ზედიზედ მესამე მატჩი უგოლოდ! სეზონში უკვე მეხუთე მარცხი! მასპინძლებმა უნიათოდ ითამაშეს, რაზეც მეტოქის ყველა კომპონენტში უკეთესი შედეგები მეტყველებს. სიტელებმა კარში სულ ექვსჯერ დაარტყეს, სტუმრებმა კი მარგეტსონი გააწამეს. 23 ათასი გულშემატკივარი უყურებდა საყვარელი გუნდის უჯიგრო თამაშს. არც ქინქლაძე იყო ჯანზე, ულიდერო მანჩესტერელებმა კი თამაში ვერ ააწყეს. მატჩის შემდგომ „სიტის" 2 ათასამდე გულშემატკივარი კლუბის ოფისს გარს შემოერტყა და მთლიანად დირექტორატის და განსაკუთრებით ფრენსის ლის გადადგომა მოითხოვა. თქვენ წარმოიდგინეთ, საქმეში პოლიცია ჩაერია და აბობოქრებული ბრბო მხოლოდ მან დააწყნარა.

**სხვა თამაშები:** ჩარლტონი — ბირმინგემი 1:1, ვულვერჰემპტონი — ტრანმერი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 12 | 8 | 2 | 2 | 18:7 | 26 |
| შეფილდი | 10 | 6 | 4 | 0 | 18:7 | 22 |
| სვინდონი | 13 | 6 | 4 | 3 | 17:17 | 22 |
| ჩარლტონი | 12 | 6 | 3 | 3 | 25:16 | 21 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:12 | 21 |
| სტოკ სიტი | 12 | 6 | 3 | 3 | 14:12 | 21 |
| ბრედფორდი | 12 | 5 | 5 | 2 | 15:14 | 20 |
| ვულვზი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| მიდლსბრო | 10 | 5 | 3 | 2 | 18:11 | 18 |
| ბირმინგემი | 12 | 5 | 3 | 4 | 15:10 | 18 |
| პორტ ვეილი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:16 | 18 |
| ქუინზ პარკი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:19 | 18 |
| სანდერლენდი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:16 | 17 |
| სტოკპორტი | 13 | 4 | 4 | 5 | 21:21 | 16 |
| ქრიუ | 12 | 4 | 3 | 5 | 17:18 | 15 |
| ბერი | 13 | 3 | 6 | 4 | 15:19 | 15 |
| ნორვიჩი | 12 | 4 | 3 | 5 | 9:18 | 15 |
| ოქსფორდი | 13 | 4 | 1 | 8 | 18:23 | 13 |
| რედინგი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:21 | 13 |
| ტრანმერი | 12 | 3 | 2 | 7 | 17:18 | 11 |
| სიტი | 11 | 2 | 4 | 5 | 16:14 | 10 |
| იფსვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:12 | 10 |
| პორტსმუთი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:21 | 9 |
| ჰადერსფილდი | 12 | 0 | 4 | 8 | 7:24 | 4 |

# მე, ნუთუ მაინც დაბრუნდებოდნენ...

დღეს დიდი მატჩია. „სენტ ჯეიმსიზ პარკი" უეჭველად გაიჭედება. ეს რჩეულთა შეხვედრაა, რომელშიც ჩემპიონობის ორი კანდიდატი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ეს მატჩი სხვამხრივაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

„ნიუკასლი", რომელიც ჩვენ, ქართველებს, წლევანდელ სეზონში აგრერიგად გვაინტერესებს, ამჟამად მეათეა, მაგრამ სხვებთან შედარებით მატჩნაკლული. გადადებულ შეხვედრებში კი თუ სულ გამარჯვებებს ვივარაუდებთ, მაშინ ქეცბაიას გუნდი ჩემპიონატში პირველად პრემიერლიგის ლიდერი გახდება. ისე, რაც სეზონი დაიწყო, „ნიუკასლი" სულ პოტენციური ლიდერია. ერთიც უნდა ითქვას, იგი გოლნაკლულიც არის.

წყალწაღებულ „ბოლტონს" და „საუთჰემპტონს" თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ცხრილის ბოლოში მიჩქმალულან, არც ერთ სხვა გუნდს „ნიუკასლზე" ცოტა გოლი არ გაუტანია. დალგლიშის ბიჭებმა რვა თამაშში მხოლოდ ამდენივე გოლი გაახერხეს. მათმა დღევანდელმა მეტოქემ კი, „არსენალთან" და „ჩელსისთან" ერთად, ოცბურთიანი ზღვარი კარგა ხანია, გადალახა. გუნდში თავდამსხმელის პრობლემა დგას. სწორედ ესაა „ნიუკასლის" აქილევსის ქუსლი. არადა, სეზონის წინ ვინ იფიქრებდა, გუნდი ასეთ დღეში თუ ჩავარდებოდა. ჩემპიონატში, თუნდაც ლიგის თასზე, ანაც ჩემპიონთა ლიგაში, კლუბს ერთბურთიანი სხვაობის გარდა მატჩი არ მოუგია, რაც უდავოდ ფორვარდების არყოლაზე, ან მათ უვარგისობაზე მეტყველებს. განა შეიძლება, ისეთ პრესტიჟულ ტურნირში, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, მცველს უფრო მეტი ჰქონდეს შეგდებული, ვიდრე თავდამსხმელს? არა, ეს ნამდვილად არ შეიძლება. თუმცა, „ნიუკასლი" რომ შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის, ეს გარკვეულწილად შემთხვევითმა მოვლენებმაც განაპირობეს. სწორედ უბედური შემთხვევის ბრალი იყო, ბოლო ხუთწლეულში ქვეყნის უპირველესი ბომბარდირის საშინელი ტრავმა, სწორედ შემთხვევით მოხდა ნატკენმა კოჭმა მეორე თავდამსხმელი, ამ სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე ასპრილია ერთი თვით რომ დაასვენა. ჰოდა, დარჩა დალგლიში სეზონის წინ შესყიდული იან რაშის ამარა. რაში ზოგიერთებმა შირერის შემცვლელად მიიჩნიეს, მაგრამ თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს ასე არ არის. უელსელმა თავისი გააკეთა. ახლა კი კარიერის დაისი დაუდგა, რომელსაც შესანიშნავ კლუბში ატარებს, თუმცა, საკმაოდ უნიათოდ. აშკარად დროა, ყავლგასული ბუცები ლურსმანზე დაკიდოს. დალგლიშიც ხედავს ყოფილი თანაკლუბელის უმეტესწილად უძლურ თამაშს, მაგრამ ჯიუტად იცავს თავის აზრს. დაბერებული ფორვარდების გამოა, „ნიუკასლს" იშვიათად რომ გააქვს გოლი, მაგრამ სწორედ იმ კინკილა გოლების წყალობით მოიგო გუნდმა ოთხი თამაში. მთავარია, შედეგი. ასე იყო ყოველთვის, არის და იქნება. ასე ფიქრობს დალგლიშიც, გუნდი კი რანაირი მწვრთნელიც ჰყავს, ისე თამაშობს. „ნიუკასლი" სწორედ ისეთი გუნდია, სხვის შეცდომას რომ იყენებს. ამ სეზონში მოგებული მატჩებიდან უმეტესობაში იმიტომ იმარჯვა, რომ მეტოქის შეცდომა და ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა. და თუ ქეცბაიას გუნდს დღეს გამარჯვება უწერია, რაც მეტოქის ძალის და ნიუკასლელთა დღევანდელი დონის მიხედვით ძნელი სავარაუდოა, ალბათ, მეტოქის შეცდომების სრულად გამოყენებით.

რაც შეეხება „ბლექბერნს", იგი სრულიად საპირისპირო ფეხბურთს თამაშობს. შარშან ინგლისის ექსჩემპიონები პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდნენ, წელს კი როი ჰოჯსონის მისვლით სახეც იცვალეს და შედეგებიც. შვეიცარიის ნაკრების და „ინტერის" ყოფილმა მწვრთნელმა ევროპაში ათვისებული და შესწავლილი კუნძულზე გამოიყენა და სასურველ შედეგსაც იმკის. როდემდე გაგრძელდება „ბლექბერნის" ამგვარი თამაში, ძნელი სათქმელია, თუმცა, 11 მატჩში ერთხელ ძლეული გუნდის მოგება ადვილი რომ არაა, ნათელია. ჰოჯსონმა „ბლექბერნში" გადაბარგებისთანავე რამდენიმე კაციც თან იახლა. თავის დროზე შვედური „მალმიოს" მწვრთნელის აღსაზრდელები — მარტინ დალინი და ანდერს ანდერსონი, ეტყობა, კარგად დაამახსოვრდა, რადგან ამ ორმა სკანდინაველმა ძირითადში მყარად მოიკიდა ფეხი. ჰოჯსონმა არც დანიელ პედერსენზე, ფრანკ ვალერიზე და შვეიცარელ ენჩოსზე თქვა უარი. აქედან რა გამოვიდა, ამაზე შედეგი მეტყველებს.

როგორც ვთქვით, ეს შეხვედრა სხვა მხრივაც არის აღსანიშნავი — ალმზრდელი „ბლექბერნს" მეტოქის ბანაკში გადაბარგებული სამეული — დალგლიში, ბეტი და გივენი დაუპირისპირდება. ტრიო სრულიად შესაძლებელი იყო კვარტეტადაც გადაქცეულიყო, მაგრამ შირერი დაიმტვრა და... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ბლექბერნი" ახლა იმათ უფრთხის, ვისი იმედიც რამდენიმე წლის წინ თავად ჰქონდა. თუმცა, სჯობს, თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ. კენი დალგლიში — 1995 წელს "ბლექბერნ როვერსი" 81 წლიანი შესვენების შემდეგ ინგლისის ჩემპიონი გახადა. ამაში დიდი წვლილი, მის გარდა, ცხადია, თეთრ-ლურჯთა მილიონერმა პრეზიდენტმა ჯეკ უოლკერმაც დაიდო, რომლის გაღებულმა მილიონებმა, შედეგი გამოიღო. ისე დალგლიში, თუ „ნიუკასლი" ჩემპიონი გახადა, ერთადერთი კაცი იქნება, რომელსაც სამი სხვადასხვა გუნდი აუყვანია ინგლისური ფეხბურთის ოლიმპზე. „ბლექბერნამდე" ჩემპიონობის მოპოვება მწვრთნელის რანგში მან მშობლიურ „ლივერპულში" შეძლო. შეი გივენი — ინგლისის ჩრდილოეთში სეზონის დასაწყისში გადაბარგდა, მანამდე კი „ბლექბერნში" ტიმ ფლაუერსის მერე კლუბის მეორე მეკარე იყო. დევიდ ბეტი — 1996 წლის მარტში მეტად გამრჯე ნახევარმცველისთვის „ნიუკასლმა" 6 მილიონ 100 ათასი დოლარი გაიღო და არც უნანია. და კიდევ ერთი ბლექბერნიდან ნიუკასლში ჩასული, უფრო ზუსტად, თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული — ალან შირერი. ბეტის ტრანსფერის მომდევნო მეოთხე თვეს მისმა გაყიდვამ მსოფლიო აალაპარაკა. „ჯორდებმა" მაშინდელი დროისთვის არნახული 15 მილიონი გირვანქა, ანუ 24 მილიონ 500 ათასი დოლარი გაიღეს შირერის შესაძენად — ეს მსოფლიო რეკორდი იყო. მანამდე არც ერთ ფეხბურთელში ამდენი არ გადაეხადათ. მოკლედ, „ბლექბერნის" მთავარი ძალა „ნიუკასლში" გადაბარგდა და საკმაოდ შედეგიანად.



დევიდ ბეტი თბილისში საქართველოს ნაკრებთან მატჩისწინა ვარჯიშისას

რა იქნება დღეს, არავინ იცის. თუმცა, ერთი რამ ცხადია — მეტად თვალსასეირო მატჩი უნდა გამოვიდეს, რაშიც იმედს ვიტოვებთ, თავის წვლილს თემურ ქეცბაიაც შეიტანს. სხვათა შორის, ამ თამაშისადმი მიძღვნილ წერილში „როიტერის" სააგენტომ 29 წლის უთმო ქართველი სტუმართათვის ყველაზე სახიფათოდ მიიჩნია. მის შესახებ კი აი რა დაწერა: „ნიუკასლში" ათენის აეკ-იდან თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასვლისთანავე თემური „სენტ ჯეიმსიზ პარკის" ფავორიტი გახდა. მეტად ძლიერი ნახევარმცველია, სწრაფი, დაცვის დამხმარე და შეტევაში ერთობ სახიფათო. „კრისტალთან" ბოლო წამებზე შეგდებულმა მისმა გოლმა გუნდი პირველად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში."

ასე თუ ისე, დღეს ინგლისში დიდი მატჩია. ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ პრემიერლიგაში თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ რიგით მეექვსე ქართული გოლი გავა.

**ლაშა გოდუაძე**

**ხვალ** იაპონიის კრიზისით გაწამებული ნაკრები ტოკიოში არაბთა გაერთიანებული საამიროების ეროვნულ გუნდს მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასვლის იმედს დაიბრუნებს. ცუდი შედეგების გამო, 2002 წლის პირველობის თანამასპინძელი ქვეყანას ოქტომბრის დასაწყისში მწვრთნელი შუ კამო მოუხსნეს. თანამდებობიდან დაუხვნა ემუქრებოდა იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს კენ ნაგამუმასაც, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ გამართულმა ყრილობამ იგი თანამდებობაზე დატოვა.

# ზიკოს ოკადა სჯობია

იაპონელთა ახალმა მწვრთნელმა ტაკეში ოკადამ კარგად დაიწყო მოღვაწეობა — უზბეკეთში 1:1 მოახერხა. ახლა საამიროებთან გამარჯვება და შემდეგ, ფლეი-ოფის შედეგად საფრანგეთში წასვლა მეტად რეალურია და რაც მთავარია, მნიშვნელოვანი, რადგან, როგორც 2002 წლის ჩემპიონატის მასპინძელს, ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის სახელის მოპოვება სჭირდება.

დღეისათვის იაპონია აზიის B შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზეა. ხუთი თამაშის შემდეგ მას ერთი ქულით სწორედ ხვალინდელი მეტოქე უსწრებს.

2002 წლის პირველობის მეორე თანამასპინძელ სამხრეთ კორეას ორ დარჩენილ თამაშში ერთი ქულის მოპოვებაღა აკლია. ბუნებრივია, ჯგუფში ისაა პირველ ადგილზე.

საინტერესოა, რომ იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ არ ისურვა ცნობილი ბრაზილიელის, ზიკოს დახმარება. ზიკო, რომელიც ადრე იაპონური ჯეი-ლიგის გუნდის „კაშიმა ანთლერზის" ლიდერი გახლდათ, დღეს ამავე კლუბის ტექნიკური დირექტორია. იგი თავისი დროის ნახევარს სამშობლოში, ბრაზილიაში ატარებს, ნახევარს კი იაპონიაში. სწორედ მან შეუთვალა ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს, თუ გინდათ, პირველივე თვითმფრინავით ჩამოვალ და თქვენს ეროვნულ გუნდს სათავეში ჩავუდგებიო, მაგრამ უარი შეუთვალეს და ნაკრები ოკადას ანდეს. ოკადა სულ მცირე სამი შესარჩევი შეხვედრის განმავლობაში იქნება თანამდებობაზე. ეს თამაშებია: ხვალ საამიროებთან, 1 ნოემბერს სამხრეთ კორეასთან და 8 ნოემბერს ყაზახეთთან.

ოკადას პირველი ამოცანა ხვალისათვის ახალი კაპიტნის გამონახვაა. ძველი, მასამი იჰარა, ორი ყვითლის გამო დისკვალიფიცირებულია. მისი თანაკლუბელი „იოკაჰამა მარინოსიდან" ნორიო მოურა ისევ მწყობრშია — მას დისკვალიფიკაცია ამოეწურა.

საამიროებს კი ამასობაში თავის პრობლემები აქვს. მისმა ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ 0:3 წააგო სამხრეთ კორეასთან და ყაზახეთთან. ამან იაპონელებს შანსი მისცა.

# იმედით ცოცხლობს პარიზი

„პარი სენ ჟერმენს" გუნების გამოკეთება სჭირდება და საამისოდ დღეს, საფრანგეთის პირველობის მორიგ შეხვედრაში, „ლანსს" უნდა მოუგოს, თუ არა და პარიზის მოქუფრული ცა კიდევ უფრო მოიქუფრება. ერთი ის, რომ „სენ ჟერმენი" ჩემპიონთა ლიგაში ვაჟკაცურად ვერ გამოდის, მეორე კი მის თავს დატეხილი უსიამოვნო ისტორია დოპინგთან დაკავშირებით — განწყობის გასაფუჭებლად სრულიად საკმარისი მიზეზებია.

„ლანსთან" დედაქალაქელებს სამი დისკვალიფიცირებული მოთამაშე არ ეყოლებათ. ერთი მათგანია თავდამსხმელი ფლორიან მორისი. კიდევ ორი — პოლ ლე ვენი და ჟერომ ლე რუ — წინა ტურში „გინგამის" ფეხბურთელებთან ჩხუბისთვის არიან დასჯილი. „პარის სენ ჟერმენის" ისედაც მცირერიცხოვან არჩევანს სერიოზული დარტყმა შესაძლოა ვინსენ გერენმაც მიაყენოს — დოპინგის ხმარებისთვის ამ უქმეებზე მას შესაძლოა ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ.

ახლა მეკარის ამბავს აღარ იკითხავთ? ცუდადაა კრისტოფ რევოს საქმე. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში, მან მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე უხეში შეცდომები დაუშვა და „ბაიერნის" 5:1 გამარჯვება მნიშვნელოვანწილად მისი ბრალიცაა. დღეს პარიზში ყველა ბერნარ ლამას მისტირის და ეს, ბუნებრივია, რევოზე ცუდ გავლენას ახდენს.

ლამა არ დაბრუნდება. მან კარგა ხანია დაიგულა „პარი სენ ჟერმენის" ხელმძღვანელთა თანხმობა საზღვარგარეთ წასვლაზე, თუმცა რეალურად ჯერ ვერსად გაუშვეს. გარდა ამისა, თავად რევოს „ლე ავრიდან" ჩამოყვანის წინ პირობა მისცეს, ლამას აღარ დავაბრუნებთ და შენ მის გამო სკამზე ჯდომა არ გემუქრებაო. არის მესამე მომენტიც — ლამა ლიგის თამაშებისთვის განაცხადშიც არ ჰყავთ შეყვანილი.

პარიზელთა მწვრთნელმა რიკარდომ განაცხადა: — რევომ მიუნხენში კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ ამას ჩემს აზრებში არაფერი შეუცვლია. თუ შევატყობ, რომ მას ცუდი პერიოდი უდგას, სათადარიგო გოლკიპერს ვინსენ ფერნანდესს ვათამაშებ.

სხვათაშორის, იმას, რომ „პარი სენ ჟერმენს" მიუნხენში პრობლემები ელოდა, მარსელის „ოლიმპიკის" გერმანელი მეკარე ანდრეას კეპკე წინასწარმეტყველებდა: — „ბაიერნის" შანსი რევოა. ეს მეკარე ჯერ ძალიან გამოუცდელი გახლავთ.

„მარსელი" და „პარი სენ ჟერმენი" ორი კვირის შემდეგ გაარკვევენ ურთიერთობას. რიკარდომ მიუნხენში დამარცხებისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად იტვირთა, თუმცა განაცხადა, რომ წაგების მიზეზი ტაქტიკა არ ყოფილა, ალბათ გუნდის მომზადების სხვა ასპექტში მოვიკოჭლებდითო. ეს თამაში ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორე გამოდგა, რომელშიც საფრანგეთის პირველობის ლიდერმა დაწყებიდან სულ ცოტა ხანში გოლი გაუშვა.

და მაინც, გულშემატკივრები იმედს არ კარგავენ. ისინი წლეულს ჩამორჩენის გამოსწორებას დაეჩვივნენ. გაიხსენეთ ლიგაში შესასვლელი ფლეი-ოფი ბუქარესტის „სტიაუასთან". იქ ბუქარესტში, პარიზელებმა შეცდომით ათამაშეს დისკვალიფიცირებული ლორან ფურნიე, რის გამოც 0:3 დამარცხება ჩაეთვალათ, მაგრამ მათ ეყოთ ვაჟკაცობა და ნებისყოფა შინ 5:0 მოსაგებად. ანდა ორი კვირის წინანდელი შემთხვევა მოვიგონოთ — „პარი სენ ჟერმენი" მშობლიურ „პარკ დე პრენსზე" „გინგამთან" 1:2-ს აგებდა, საბოლოოდ კი 4:2 მოიგო.

დიახ, „სტიაუას" განადგურება პარიზელებისთვის ტკბილად მოსაგონებელია, მაგრამ იმ მატჩში მათ ჰყავდათ ბრაზილიელი ნახევარმცველი, მსოფლიოს ჩემპიონი ლეონარდო, რომელიც „მილანს" მიჰყიდეს.

ისევ „ლანსთან" მოახლოებულ შეხვედრას დავუბრუნდეთ. ამ მეტოქეს, შინ „პარი სენ ჟერმენმა" გასულ სეზონში 4:0 მოუგო და რა თქმა უნდა იმავე ანგარიშის განმეორება დღეს დიდ სიამოვნებას მოჰგვრიდა. ცხადია, სულ სხვა გეგმები აქვს წლეულს გაძლიერებულ „ლანსს", რომელიც დღეისათვის ცხრილში მეხუთე ადგილზეა. გასულ ტურში „ლანსმა" „მონაკოს" 1:0 მოუგო და ექვსმატჩიანი, დაუმარცხებელი სერია შეაწყვეტინა, თავად კი შინ გოლის გაუშვებლად მეშვიდე შეხვედრა ჩაატარა.

„მონაკო" ვახსენეთ... საფრანგეთის ჩემპიონი ხვალ თამაშობს. ის „ოსერს" მასპინძლობს, თუმცა დაშავებული ლიბეროს ფრანკ დუმას გარეშე. 1996 წლის ჩემპიონ „ოსერს" კი დისკვალიფიცირებული მარჯვენა მცველი ალენ გომა არ ეყოლება.



პარიზი ბერნარ ლამას მისტირის, ის კი არხეინად ნებივრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ევროთასების ისტორიიდან

# ხემ თქვა, რკინა რას დამაკლებდაო...


1994-95 სეზონის უეფას თასის ფინალი. ტურინელებს დინო ბაჯო უტევს

რაღა საქართველოს ჩემპიონატი და რაღა ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ხუთი გათამაშება. არა, ცხადია, 40 წლის წინანდელ ევროპაში უფრო საინტერესო ფეხბურთს თამაშობდნენ, ვიდრე დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ამ ორ შეჯიბრს ერთი საერთო ჰქონდა — გამარჯვებული ჰყავდა უცვლელი.

ვინ შეაჩერებს მადრიდის „რეალს“? აი კითხვა, რომელიც 50-იანი წლების ბოლოს ბებერ კონტინენტზე ერთობ აქტუალური იყო. პირველი ორი გათამაშება სამეფო გუნდმა უპრობლემოდ მოიგო. დაიწყო მესამე. „რეალმა“ ბელგიური „ანტვერპენი“ შეიწირა და წილისყრამ მეოთხედფინალში ესპანურივე „სევილია“ შეახვედრა. ევროპა გაირინდა — ეგებ, თვისტომმა მაინც მოუხერხოს რამეო...

მოკლედ, დღევანდელი წერილის თემა ევროთასებზე ერთი ქვეყნის გუნდების ერთმანეთთან შეხვედრებია. ცხადია, ამის ყველაზე დიდი ალბათობა უეფას თასზე არსებობს, მაგრამ, როგორც ნახეთ, პირველი ასეთი შემთხვევა ჩემპიონთა თასზე მოხდა. არადა, „რეალი“ კი იყო ჩემპიონთა თასის მფლობელი, მაგრამ 1957 წელს ის ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. მაშ, რაღა უნდოდა ჩემპიონთა თასის მესამე გათამაშებაში „სევილიას“? ის თავის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და მაშინდელი წესებით, სწორედ ამიტომ დაუშვეს ჩემპიონთა თასზე. ასე რომ, ამ ევროტურნირში ამჟამად ზოგიერთი ვიცე-ჩემპიონის მონაწილეობა სიახლე კი არა, კარგად დავიწყებული ძველი ამბავია.

...მოკლედ, ევროპა გაირინდა: შეძლებს „სევილია“ მადრიდელთა შეჩერებას? თითქოს ამის იმედი არც იყო, რადგან პირველი მატჩის დღეს, 1958 წლის 28 იანვარს, კაცს ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში რომ ჩაეხედა, ნახავდა, რომ 18 ტურის მერე „რეალი“ 23 ქულით მესამე ადგილზე იყო მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონას“ მერე, „სევილია“ კი 11 ქულით — ბოლო, მეთექვსმეტეზე. მაგრამ მავანთა ოპტიმიზმი იმას ემყარებოდა, რომ, ჯერ ერთი, სათასო შეჯიბრი ჩემპიონატი არაა და მეორეც — სწორედ მე-18 ტურში „სევილიამ“ შინ 3:2 მოუგო „რეალს“. მაშ ასე, ევროპა კი ელოდა, მაგრამ... „რეალმა“ ისეთი ანგარიშით მოიგო, მანამდე ევროპაში რომ არ ემარჯვა — მარტო ალფრედო დი სტეფანომ 4 გოლი გაუტანა სევილიელ სტუმრებს, კიდევ ამდენი მისმა თანაგუნდელებმაც შეყარეს და 4 მარტის საპასუხო მატჩისთვის თავს დასვენების უფლება მისცეს.

გავიდა ერთი წელი. ჩემპიონთა თასის უკვე სამგზის მფლობელი „რეალი“ მეოთხე გათამაშების ნახევარფინალში მთლად თანაქალაქელ მადრიდის „ატლეტიკოს“ ხვდება. კვლავ იმედები — ბოლო-ბოლო, „ატლეტიკო“ „სევილია“ არაა. პირველი მატჩი, 1959 წლის 23 აპრილს, „სანტიაგო ბერნაბეუზეა“. ანგარიშს „სტუმრები“ ხსნიან — ჩუსო მე-13 წუთზე, მაგრამ ორ წუთში რიალი და 33-ეზე პუშკაში კვლავ „რეალს“ ამარჯვებენ. საპასუხო შეხვედრას 7 მაისს, „მეტროპოლიტანოს“ სტადიონზე „ატლეტიკო“ იგებს — 1:0. თანამედროვე წესით, ფინალში ბრაზილიელი ვავა და მისი გუნდი უნდა გასულიყო, მაგრამ ეს 1959 წელია — ინიშნება დამატებითი მატჩი სარაგოსაში და „რეალი“ 2:1-ს იგებს.

გავიდა კიდევ ერთი წელი. ჩემპიონთა თასის უკვე ოთხგზის მფლობელი „რეალი“ მეხუთე გათამაშების ნახევარფინალში „ბარსელონას“ ხვდება. კვლავ იმედები — ბოლო-ბოლო, „ბარსა“ არც „ატლეტიკოა“ და არც „სევილია“, მაგრამ „რეალი“ უპრობლემოდ იგებს: ორივე მატჩს ერთნაირი ანგარიშით 3:1 — პირველს დი სტეფანოს ორი და პუშკაშის გოლებით, საპასუხოს — პუშკაშის ორი და ხენტოს ზუსტი დარტყმებით.

გავიდა კიდევ ნახევარი წელი. ჩემპიონთა თასის უკვე ხუთგზის მფლობელი „რეალი“ მეექვსე გათამაშების პირველ წრეში თავისუფალია (არ ეკუთვნის, თუ რა!), მერვედფინალში კი... კვლავ „ბარსაა“ მისი მეტოქე. იმედები, იმედები... და, ბოლო-ბოლო... მეფე მოკვდა! „მკვლელი“, ცხადია, „ბარსელონაა“! ასეა, ისევ შენიანი თუ მოგერევა, თორემ... „რეალი“, ვინც ჩემპიონთა თასის დაარსებიდან 20 (!) წრე დაძლია, 21-ზე „ბარსელონამ“ შეაჩერა.

გავიდა კიდევ ერთი წელი. „რეალის“ დამარცხების მიუხედავად, „ბარსელონამ“ ვერც ჩემპიონთა თასი მოიპოვა და ვერც ესპანეთის ჩემპიონობა, ამიტომ 1961-62 სეზონში უეფას თასს შეუტია. მიანგრმოანგრია ბერლინის ნაკრები, ზაგრების „დინამო“, ინგლისური „შეფილდ უენსდეი“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“, მაგრამ ფინალში თავად განადგურდა. ვისთან? „ვალენსიასთან“!

გავიდა კიდევ ორი წელი. „ვალენსია“ კვლავ უეფას თასის ფინალშია, მაგრამ წარმატების გამეორება არ უწერია — ერთმატჩიან ფინალში... „სარაგოსასთან“ მარცხდება.

მოკლედ, კიდევ ბევრი წელი გავიდა და ჩვენს დღევანდელ ცხრილს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ: ევროთასებზე 42-ჯერ მომხდარა, რომ წილისყრას ერთი ქვეყნის გუნდები დაუწყვილებია ერთმანეთთან. წილისყრა ბრმაა, ვამბობთ, მაგრამ რამდენჯერმე ამ პროცედურას არც არავინ ეკითხებოდა — ფინალში გასულ ერთი ქვეყნის ორ გუნდზე გვაქვს საუბარი, მაგრამ ერთხელ, 1979-80 სეზონის უეფას თასის გათამაშებაში, მთლად სასწაული მოხდა — ნახევარფინალის მონაწილე ოთხივე გუნდი ერთი ქვეყნის, ფედერაციული გერმანიისა იყო: მიუნხენის „ბაიერნი“, ფრანკფურტის „აინტრახტი“, „შტუტგარტი“ და მიონხენგლადბახის „ბორუსია“. ამათ მაშინდელ შედეგებს ქვემოთ ნახავთ, აქ კი გეტყვით, რომ უეფას თასის იმ ნახევარფინალების წინ ბუნდესლიგის ჩემპიონატს „ბაიერნი“ ლიდერობდა, „შტუტგარტი“ მესამე ადგილზე იყო, „აინტრახტი“ მეშვიდეზე. „ბორუსია“ კი — მთლად მეთერთმეტეზე. როგორც ნახეთ, უეფას თასზე ეს სუბორდინაცია არაც ჩააგდეს და ფინალში ცხრილის ქვედა ნაწილში მოკალათებულმა გუნდებმა გააღწიეს.

ესპანეთი, გერმანია... ინგლისური გუნდებიც ხანდახან ევროპულად შეიბმეოდნენ-ხოლმე. აი, იტალიელებმა კი ევროპულ არენაზე ერთმანეთი მხოლოდ 80-იანი წლების შუაში დააჭაშნიკეს, მაგრამ მერე, სხვა ეტაპებს ვინ ჩივის, უეფას თასის სამი საშინაო ფინალიც გამოაცხვეს.

და კიდევ. ამ ოთხი ქვეყნის გარდა მხოლოდ ბელგიურ და იუგოსლავურ კლუბებს მოუწიათ ევროთასებზე ერთმანეთთან შეხვედრამ. ბელგიას თავი ვანებოთ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, სერბიული „რადნიჩკისა“ და ხორვატული „ჰაიდუკის“ ჯახი მთლად შინაური არც ყოფილა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | **ესპანეთი** | |
| 57-58 | ჩთ | 1/4 | რეალი — სევილია | 8:0, 2:2 |
| 58-59 | ჩთ | 1/2 | რეალი — ატლეტიკო (მადრიდი) | 2:1, 0:1, 2:1 |
| 59-60 | ჩთ | 1/2 | რეალი — ბარსელონა | 3:1, 3:1 |
| 60-61 | ჩთ | 1/8 | რეალი — ბარსელონა | 2:2, 1:2 |
| 61-62 | უთ | ფ | ვალენსია — ბარსელონა | 6:2, 1:1 |
| 63-64 | უთ | ფ | სარაგოსა — ვალენსია | 2:1 |
| 65-66 | უთ | 1/4 | ბარსელონა — ესპანიოლი | 1:0, 1:0 |
| 65-66 | უთ | ფ | ბარსელონა — სარაგოსა | 0:1, 4:2 |
| 76-77 | უთ | 1/4 | ატლეტიკო (ბილბაო) — ბარსელონა | 2:1, 2:2 |
| 79-80 | თთ | 1/4 | ბარსელონა — ვალენსია | 0:1, 3:4 |
| 95-96 | თთ | 1/4 | დეპორტივო (ლა კორუნია) — სარაგოსა | 1:0, 1:1 |
| 95-96 | უთ | 1/8 | სევილია — ბარსელონა | 1:1, 1:3 |
| | | | **გერმანია** | |
| 72-73 | უთ | 1/8 | კიოლნი — ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 0:0, 0:5 |
| 72-73 | უთ | 1/4 | კაიზერსლაუტერნი — ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 1:2, 1:7 |
| 74-75 | უთ | 1/2 | კიოლნი — ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 1:3, 0:1 |
| 77-78 | უთ | 1/8 | აინტრახტი (ფრანკფურტი) — ბაიერნი (მიუნხენი) | 4:0, 2:1 |
| 78-79 | უთ | 1/2 | დუისბურგი — ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 2:2, 1:4 |
| 79-80 | უთ | 1/4 | კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი (მიუნხენი) | 1:0, 1:4 |
| 79-80 | უთ | 1/2 | შტუტგარტი — ბორუსია (მიონხენგლადბახი) | 2:1, 0:2 |
| 79-80 | უთ | 1/2 | ბაიერნი (მიუნხენი) — აინტრახტი (ფრანკფურტი) | 2:0, 1:5 |
| 79-80 | უთ | ფ | ბორუსია (მიონხენგლადბახი) — აინტრახტი (ფრანკფურტი) | 3:2, 0:1 |
| 80-81 | უთ | 1/8 | შტუტგარტი — კიოლნი | 3:1, 1:4 |
| 87-88 | უთ | 1/2 | ბაიერი (ლევერკუზენი) — ვერდერი | 1:0, 0:0 |
| 92-93 | თთ | 1/16 | ვერდერი — ჰანოვერ 96 | 3:1, 1:2 |
| | | | **ინგლისი** | |
| 63-64 | თთ | 1/8 | ტოტენჰემ ჰოტსპური — მანჩესტერ იუნაიტედი | 2:0, 1:4 |
| 64-65 | უთ | 1/8 | მანჩესტერ იუნაიტედი — ევერტონი | 1:1, 2:1 |
| 69-70 | უთ | 1/8 | ნიუკასლ იუნაიტედი — საუთჰემპტონი | 0:0, 1:1 |
| 70-71 | უთ | 1/2 | ლივერპული — ლიდს იუნაიტედი | 0:1, 0:0 |
| 70-71 | თთ | 1/2 | ჩელსი — მანჩესტერ სიტი | 1:0, 1:0 |
| 71-72 | უთ | ფ | ვულვერჰემპტონ უონდერერსი — ტოტენჰემ ჰოტსპური | 1:2, 1:1 |
| 72-73 | უთ | 1/2 | ლივერპული — ტოტენჰემ ჰოტსპური | 1:0, 1:2 |
| 78-79 | ჩთ | 1/16 | ნოტინგემ ფორესტი — ლივერპული | 2:0, 0:0 |
| | | | **იტალია** | |
| 85-86 | ჩთ | 1/8 | ვერონა — იუვენტუსი | 0:0, 0:2 |
| 88-89 | უთ | 1/4 | იუვენტუსი — ნაპოლი | 2:0, 0:3 |
| 89-90 | უთ | ფ | იუვენტუსი — ფიორენტინა | 3:1, 0:0 |
| 90-91 | უთ | 1/4 | ატალანტა — ინტერი | 0:0, 0:2 |
| 90-91 | უთ | ფ | ინტერი — რომა | 2:0, 0:1 |
| 93-94 | უთ | 1/4 | კალიარი — იუვენტუსი | 1:0, 2:1 |
| 93-94 | უთ | 1/2 | კალიარი — ინტერი | 3:2, 0:3 |
| 94-95 | უთ | ფ | პარმა — იუვენტუსი | 1:0, 1:1 |
| | | | **იუგოსლავია** | |
| 83-84 | უთ | 1/8 | რადნიჩკი (ნიში) — ჰაიდუკი (სპლიტი) | 0:2, 0:2 |
| | | | **ბელგია** | |
| 88-89 | თთ | 1/8 | მეხელენი — ანდერლეხტი | 1:0, 2:0 |

მონაცემები მოყვანილია წიგნიდან The Guiness Book of World Soccer







ვინც იტალიის ჩემპიონატს არ იცნობს, ამ ფოტოებთან არაფერი ესაქმება. ვინც იცნობს, მაგრამ მხარს არავის უჭერს, კარგად დააცქერდეს, იქნებ რომელიმე გუნდის სტილი მოეწონოს და მისი თაყვანისმცემელი ქომაგი გახდეს. ხოლო ისინი, ვინც კარგა ხანია ამ უცხოური ქვეყნის რომელიმე წარმომადგენელს გულშემატკივრობენ, ფრთხილად უნდა იყვნენ, გულში ღალატი რომ არ გაივლონ.

ისე, ამ ბატონსან ქალბატონებთან რა მოსატანია და იტალიელმა პორნოვარსკვლავმა ჯესიკა რიცომ აშასწინათ განაცხადა, სექსი და სპორტი ნათესავები არიანო. რიცოს თავისი სატელიტური ტელეარხი აქვს, რომლითაც მოსახლეობას პორნოფილმებს აჩვენებს. ამ არხის მისაღებად მაყურებელს საგანგებო დეკოდერული ბარათი სჭირდება, ბარათის რეკლამა კი რაგბის გუნდ „ლაციოსა“ და ფეხბურთელ ქალთა გუნდ „მონტეკატინის“ აწერია მაისურზე. რატომ? იმიტომ, რომ „ლაციოცა“ და „მონტეკატინიც“ ჯესიკა რიცოს საკუთრებაა.

— მხარს ვუჭერ და ხელს ვუმართავ იმ სახეობებს, რომელთაც ხალხი ამრეზით უყურებს. ასეთები კი რაგბი და ქალთა ფეხბურთი გახლავან — განმარტა სექს-ყუმბარამ — ჩემი არხის ბარათი ხალხს მოცალეობის ჟამს სჭირდება, ისევე როგორც სპორტი — სექსი და სპორტი ხომ ენერგიასა და ფიზიკურ ვარჯიშებთან არიან კავშირში და ამიტომაც მე მათ პარტნიორებად მივიჩნევ.



ისე, ვისზე შეგტკივათ გული იტალიაში?



# რუსთაველებმა ვერის ბაღში გაისეირნეს

ვერის ბაღი. 23 ოქტომბერი
საქართველოს მეშვიდე ჩემპიონატი

## ვითა 90:78 შევარდენი

**ვითა: აბრამიძე (14), დავითულიანი (32), ორმოცაძე (16), ჩუბინიძე (4), კორძაძე (4); მიქაძე (3), ლოსაბერიძე (17)**
**შევარდენი: მაჭავარიანი (33), კაზანჯიანი (8), ჩარგეიშვილი (21), ცაგარეიშვილი (10), ლვინეფაძე (6)**

შევარდენელებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა და კვლავ ჩინებულად მოთამაშე მაჭავარიანის ძალისხმევით თავიდანვე საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს 19:8. ვითელები აუღელვებლად შეხვდნენ ასეთ დასაწყისს და მშვიდად ირჩიეს მდევრის როლი. პირველი ტაიმი „შევარდენმა" 5 ქულით მოიგო 46:41.

მეორე ნახევარში ვითელებმა სცადეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. მათ რიგებში კვლავ გამოჩნდა ალეკო დავითულიანი, ასე რომ შეთამაშებული სამეული — აბრამიძე-დავითულიანი-ჩუბინიძე, რომელმაც შარშან მშვენივრად ითამაშა სდასუს შემადგენლობაში, „ვითასთვის" მართლაც კარგი შენაძენია. თუ ამას დავუმატებთ გამოცდილი ვითელის — ორმოცაძისა და ახალგაზრდა ლოსაბერიძის კარგ თამაშს, ადვილი წარმოსადგენია, რომ „შევარდენი", რომელიც იმ დღეს მხოლოდ ერთი ხუთეულით ასპარეზობდა, რთული ამოცანის წინაშე დადგა. მიუხედავად ამისა, შევარდენელებმა მეორე ტაიმის შუამდე შეინარჩუნეს უპირატესობა. მერე კი ველარ გაუმკლავდნენ თამაშს მოწყურებული დავითულიანის სწრაფ გასვლებს და გატყდნენ. თუმცა, ეს არ ითქმის შევარდენელთა ერთ მოთამაშეზე: მაჭავარიანი, როგორც ყოველთვის, ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა და მიითვალა კიდეც 33 ქულა, მაგრამ ამან „ვითას" გამარჯვებაში ხელი ველარ შეუშალა.

## სდასუ 120:72 დინამო 2

**სდასუ: ჩერქეზიშვილი (37), აბულაძე (8), ოთიურიძე (26), მუშკუდიანი (17), დერიუგინი (8), რ. ჩხეიძე (18), ბიძინაშვილი (4)**
**დინამო 2: ვეფხვაძე (2), გრძელიშვილი (12), უჩუმბეგაშვილი (7), სიხარულიძე (6), მანველიშვილი (18), ზასაშვილი (4), მშვილდაძე (5), ხეცურიანი (12, ნოზაძე (2), ფხაკაძე (4)**

ნორჩ დინამოელებს არ ეწყინოთ, თუ ვიტყვით, რომ მათ ჯერ არ შესწევთ ძალა, გამოცდილ სტუდენტებს წინააღმდეგობა გაუწიონ. ამ მატჩში ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო. სდასუში იმ დღეს სანაძემ არ ითამაშა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ მატჩში ეს გუნდს არ დასტყობია. სდასუმ თავიდანვე მიაღწია დიდ უპირატესობას, პირველი ტაიმი 23 ქულით მოიგო 62:39, მატჩი კი 48 ქულის სხვაობით. ნორჩ დინამოელთა დამრიგებელმა ჩერქეზიშვილმა თვალნათლივ უჩვენა თავის შეგირდებს, როგორ უნდა თამაში — 37 ქულა მოიპოვა და 7 სამქულიანიც ჩაგდო.

„კოლხა" — სტუს მატჩი გადატანილია 1 ნოემბრისთვის.

პირველ ჯგუფში ერთი შეხვედრის გარდა ყველა მატჩი გაიმართა და უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ექვს გუნდზე. უნდა ითქვას, რომ პირველი ტურის შეხვედრები ამ ქვეჯგუფში საინტერესოდ წარიმართა და ყველა გუნდმა კარგად წარმოაჩინა თავი.

ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა დებიუტანტმა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა. ამ გუნდს თავისი სტილი აქვს: თამაშს უნარიანად ხელმძღვანელობენ ტყუპები, დათო და ირაკლი ბერიშვილები, რომლებიც ვითარების მიხედვით ცვლიან ტემპს, სწრაფი გარღვევებიც ეხერხებათ და შორეული ტყორცნებიც. ტანმაღალი მოთამაშეები — ნოზაძე, ხარაძე, გიგაშვილი, ბათხაძე კი კარგად იბრძვიან ფარზე და გუნდმა 4-დან 2 თამაში მოიგო. დამარცხებითაც მხოლოდ ჩვენი კალათბურთის ლიდერებთან — „ვითასთან" და სდასუსთან დამარცხდა, თუმცა ჩემპიონს მძაფრი ბრძოლა გაუმართა. მოკლედ, საქართველოს პირველობას მეტად საინტერესო გუნდი შემატა და მინაშვილის აღსაზრდელები, ალბათ, იბრძოლებენ რვა უძლიერესში მოსახვედრად.

სოხუმის „კოლხა" ჩვენს თვალწინ გაიზარდა. მასში ძალზე პერსპექტიული ჭაბუკი კალათბურთელები თამაშობენ და გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. მის წინააღმდეგ უკვე ლიდერებიც აღარ თამაშობენ ნახევარი ძალით, როგორც ადრე იყო. გუნდს ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი დავით კვაჭაძე, კარგად თამაშობენ სხვა კოლხელებიც: არველაძე, ქარუმიძე, აქირთავა, ქვილითაია, აბულაძე. გუნდში არის 209 სმ (!) სიმაღლის 15 წლის ცქიტიშვილი, რომელიც გონიერებით გამოირჩევა და თუ ფიზიკურ კონდიციებსაც გაიუმჯობესებს, მისგან, შესაძლოა, ჩინებული კალათბურთელი დადგეს, ასე რომ, გუნდს მიხედვა სჭირდება. „კოლხას" ფინანსური პრობლემები მოსძალებია, არა აქვთ ბურთები და სპორტული ინვენტარი. კალათბურთელებმა ამ ტურშიც ნათხოვარი სპორტული ფეხსაცმელებით იასპარეზეს, ხელფასზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია და ლტოლვილთა გუნდი ნახევრად მშიერი დადის ვარჯიშზე. როგორც გუნდის მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ გვითხრა, რამდენჯერმე მათ საქპატენტის თავმჯდომარე დავით გაბუნია და აფხაზეთის კპ. ვაჭრობის გამგეობა დაეხმარა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. „კოლხას" ხელმძღვანელობა განსაკუთრებით აფხაზეთიდან წამოსულ ბიზნესმენებს სთხოვს, შეძლებისდაგვარად შეეწიონ გუნდს და ამ უღავოდ ნიჭიერ ბავშვებს დიდ კალათბურთში გზა გაუკაფონ. „კოლხამ" ოთხივე თამაში წააგო, მაგრამ მოთამაშეებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს და, ალბათ, გამარჯვებებიც მოვა.

დინამო-2-ის ნორჩმა კალათბურთელებმა ყველა შეხვედრა უდიდესი მონდომებით ჩაატარეს. მაგრამ მათ გამოუცდელობა არ აძლევს უფრო სტაბილური თამაშის საშუალებას. ამის გამოა, რომ ისინი ხშირად ირევიან და კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ, თუმცა ენთუზიაზმი საკმაო აქვთ და პრინციპული თამაშიც მოუგეს „კოლხას".

„შევარდენმა" წლევანდელი პირველობის დაწყებამდე დაჰკარგა წამყვანი მოთამაშეები: წოწელია, გიორგი ჩხეიძე, გიგაური, ქევხიშვილი, მაგრამ გუნდის ლიდერობა კახა მაჭავარიანმა ითავა და ჩინებულადაც. მაჭავარიანმა ხუთივე მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა და ტურში ყველას მჯობნი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მის წინააღმდეგ მცველებს ერთობ უჭირთ, რადგან კახა ძალიან მოძრავია, კარგი დრიბლინგი აქვს და სამქულიანებს მშვენივრად ისვრის. ტურში მაჭავარიანმა მხოლოდ ერთ შეხვედრაში ვერ მოაგროვა 30 ქულა (დინამო-2-თან — 27 ქულა) და მისი ასეთი შედეგიანი თამაში „შევარდენის" მეტოქეთათვის მეტად სახიფათოა. ასეთივე ლიდერი შეიძლება იქცეს კაზანჯიანი, მაგრამ მან არასტაბილურად ითამაშა. თუ კაზანჯიანს წაუვიდა სამქულიანები, გუნდის შემტევ პოტენციალს ბევრი ემატება. რადგან სიტყვა სამქულიანებზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ „შევარდენი" ის გუნდია, რომელიც ქულების დიდ ნაწილს სამქულიანი ტყორცნებით აგროვებს. მოკლედ, „შევარდენი" არავისთვის იქნება ხელწამოსაკრავი, თუმცა, გრძელი სკამის უქონლობა უფრო მეტის მიღწევაში ალბათ ხელს შეუშლის.

სდასუმ შარშან ზედ ფინიშზე დაკარგა საპრიზო ადგილი. გუნდი, რომელიც თითქმის მთელი ჩემპიონატი მეორე ადგილზე იყო, საბოლოოდ პრიზიორებშიც ვერ მოხვდა. წლევანდელი გათამაშების წინ შარშანდელი სეზონის გმირები — აბრამიძე, დავითულიანი და ჩუბინიძე „ვითაში" გადავიდნენ, თუმცა სდასუმ ისეთი შევსება მიიღო, მისი პრეტენზია ჩემპიონის ტიტულზე სულაც არ იქნება გასაკვირი. გუნდში მოვიდნენ ჩვენი ნაკრების ლიდერები გია სანაძე და რეზო ჩხეიძე, რომელთაც საგანგებოდ დახასიათება არ სჭირდებათ. მშვენივრად თამაშობს შარშან კალათბურთს ჩამოშორებული ნიკო ჩერქეზიშვილი. ამათ დაუმატეთ ყოფილი დინამოელი ოთიურიძე და დერიუგინი და მიხვდებით, რა ძალის გუნდთან გვაქვს საქმე. მართალია, სდასუმ წააგო პრინციპული მატჩი „ვითასთან", მაგრამ მათ შორის დიდი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა.

და ბოლოს „ვითა". ჩემპიონმა შარშანდელი სეზონით დაასრულა თავისი ცხოვრების ერთი ეტაპი, ბევრი სასიამოვნო მოგონება დაუტოვა კალათბურთის გულშემატკივრებს და ახალი გუნდის შექმნასაც მოჰკიდა ხელი. უკვე პირველივე ტურში გამოჩნდა ამ მომავალი გუნდის სახე. აბრამიძე და დავითულიანი, რომელთა მხრებზეც გადაირა მთელი შარშანდელი სეზონის სიმძიმემ სდასუში, ჩამოყალიბებულ ლიდერებად იქცნენ და მათზე უკვე ჩემპიონსაც შეუძლია დაყრდნობა. გაცდენილი სეზონის შემდეგ ნელნელა იბრუნებს ფორმას გუნდის კაპიტანი კობეშავიძე. მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ „ვითას" გამოცდილი მოთამაშეებიც — ორმოცაძე და კოკოლიშვილი (უკანასკნელს ამ ტურში არ უთამაშია). კარგად მოერგო გუნდს კორძაძეც. „ვითაში" ნიჭიერი თაობაც მოვიდა: მიქაძე, ლოსაბერიძე, გაგნიძე, ფაჩულია (14 წლის ფაჩულიას სიმაღლე 202 სმ-ია) და როგორც მწვრთნელები გეგმავენ, მათ დანარჩენ ახალგაზრდა ვითელებთან ერთად მომავალში ძლიერი გუნდი უნდა შექმნან. აქ ნათელია, საერთაშორისო დონე იგულისხმება, თორემ ჩვენს ჩემპიონატში „ვითა" კვლავ ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია, რაც პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრებმაც დაადასტურა.

მოკლედ, პირველი ექვსეული ღირსეულად წარდგა კალათბურთის გულშემატკივრების წინაშე და თუმცა გუნდების თამაშში, განსაკუთრებით დაცვაში, ბევრი ხარვეზია, მათ საინტერესო კალათბურთი შესთავაზეს მაყურებელს. ახლა ჯერი მეორე ქვეჯგუფელებზეა.

### სატურნირო მდგომარეობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 5 | 5 | 0 | 476:430 | 10 |
| სდასუ | 5 | 4 | 1 | 533:414 | 9 |
| შევარდენი | 5 | 2 | 3 | 419:450 | 7 |
| სტუ | 4 | 2 | 2 | 331:349 | 6 |
| დინამო 2 | 5 | 1 | 4 | 390:453 | 6 |
| კოლხა | 4 | 0 | 4 | 322:375 | 4 |

24 ოქტომბერი. II ქვეჯგუფი

## აზოტი 125:51 მერანი

**აზოტი: გაბისონია (4), წიკლაური (21), ჯაფარიძე (25), გოგობერიშვილი (13), ბოისა (22), ჩაჩუა (2), ხაიაური (4), გოგოლაძე (11), ბერუაშვილი (21), კუჭაყმაძე (2), ჯიმშელეიშვილი, გოგოლაძე (11)**
**მერანი: ჩაჩუა (5), მარხვაშვილი (6), ლვინიაშვილი (8), ჩავლეიშვილი (18), ბარბაქაძე (4), კობიძე (2), ფანჯიკიძე (2), თვალაძე, სანიკიძე (6)**

რა უნდა თქვა თამაშზე, რომელშიც ერთი გუნდი მეორეს 74 ქულას უგებს? რუსთაველები ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტები არიან, მაგრამ „მერანთან" თამაშით, რა თქმა უნდა, მათ მზადყოფნაზე ვერ ვიმსჯელებთ: რუსთაველებს ოფლიც არ მოსვლიათ, ისე მოიგეს თავიანთი პირველი შეხვედრა წლევანდელ ჩემპიონატში.

## მაკაბი 93:75 რიონი

**მაკაბი: იაშვილი (17), ანდღულაძე (20), ტალაბაძე (7), ფერიაშვილი (19), ახალკაცი (15), ტაბატაძე (2), შველიძე (4), ხუხაშვილი (7), რიჟინაშვილი (2)**
**რიონი: წერეთელი (11), ჭეიშვილი (15), ჩიკვაშვილი (5), შანიძე (2), ჯალაღონია (11), ბერეკაშვილი (5), კენჭაძე (5), ნაცვლიშვილი (18), ღიბრაძე (6), შალიკიანი, დარახველიძე**

ქუთაისელები მხოლოდ მე-8 წუთამდე უწევდნენ წინააღმდეგობას მაკაბელებს. ამ დროისათვის ისინი ოთხი ქულით წინაც იყვნენ 21:17, მაგრამ იაშვილის სამქულიანისა და ანდღულაძის და ფერიაშვილის ზედიზედ სამი შედეგიანი შეტევის შემდეგ „მაკაბიმ" ტემპს უმატა და უკვე პირველი ნახევარი 21 ქულით მოიგო — 55:34.

მეორე ტაიმი მშვიდად წარიმართა. იაშვილი მაღალი პასებით თანაგუნდელებს საშუალებას აძლევდა, ჰაერიდან ლამაზად მოეთავსებინათ ბურთები მეტოქის კალათში. სხვა განსაკუთრებით საინტერესო მეორე ტაიმში არაფერი მომხდარა და „მაკაბიმ" ადვილად მოიგო მატჩი.

## თსუ 106:87 ასქ

**თსუ: ჟღენტი (5), ცხვედიანი (32), წონელია (33), ბაბიაშვილი (19), ნიჟარაძე (5), სპარსიაშვილი (2), გელაშვილი (7), ნიკოლაძე (3), ქარჩავა, კიკაბიძე**
**ასქ: ქართველიშვილი (20), მოისწრაფიშვილი (10), მინაშვილი (16), თაბუაშვილი (4), ჩხაიძე (6), ვაშაკიძე (7), ჭყონია (10), აკოლაშვილი**

არც ეს შეხვედრა გამოდგა დაძაბული. სტუდენტები თავიდანვე დაწინაურდნენ 10-11 ქულით. არმიელებმა რამდენჯერმე სცადეს მიახლოება, მაგრამ როგორც კი ხუთქულიან სხვაობაზე დავიდოდა ანგარიში, იმწამსვე ცხვედიანი სამქულიანს ათავსებდა მეტოქის კალათში. პირველი ნახევარი სტუ-მ 51:43 მოიგო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ცხვედიანმა ზედიზედ სამქულიანი ჩააგდო და არმიელებსაც, ალბათ, მობეზრდათ ფუჭი დევნა, რადგან მატჩის ბედი უკვე გადაწყდა. წლევანდელი პირველობის დებიუტანტმა თსუ-მ პირველი გამარჯვება იზეიმა.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ევროპის თასი

### A ჯგუფი

ოდესა (უკრაინა) — ტობასი (ბურსა, თურქეთი) 82:81, პლუნგე (ლიტვა) — რაბოტნიჩკი (სკოპიე, მაკედონია) 86:70, ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) — ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) 85:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 5 | 5 | 0 | 452:393 | 10 |
| ოდესა | 5 | 4 | 1 | 375:318 | 9 |
| ტოპო | 5 | 3 | 2 | 347:361 | 8 |
| ტობასი | 5 | 2 | 3 | 392:345 | 7 |
| პლუნგე | 5 | 1 | 4 | 371:413 | 6 |
| სკოპიე | 5 | 0 | 5 | 326:402 | 5 |

### B ჯგუფი

ოპავა (ჩეხეთი) — პიეშტანი (სლოვაკეთი) 83:86, ბროცენი (რიგა, ლატვია) — ლემანი (საფრანგეთი) 82:90, ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) — შლიონსკი (პოლონეთი) 81:84

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლემანი | 5 | 5 | 0 | 375:355 | 10 |
| შლიონსკი | 5 | 3 | 2 | 371:364 | 8 |
| ბროცენი | 5 | 2 | 3 | 383:379 | 7 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 3 | 383:379 | 7 |
| პიეშტანი | 5 | 2 | 3 | 379:420 | 7 |
| ოპავა | 5 | 1 | 4 | 379:417 | 6 |

### C ჯგუფი

ტალინი (ესტონეთი) — ზაგრები (ხორვატია) 79:67, ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — პრუსცკოვი (პოლონეთი) 87:72, მცტ (სკოპიე, მაკედონია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 53:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 5 | 5 | 0 | 352:322 | 10 |
| ჟალგირისი | 5 | 4 | 1 | 390:358 | 9 |
| პრუსცკოვი | 5 | 3 | 2 | 415:407 | 8 |
| ტალინი | 5 | 2 | 3 | 341:353 | 7 |
| ზაგრები | 5 | 1 | 4 | 379:379 | 6 |
| მცტ | 5 | 0 | 5 | 316:419 | 5 |

### D ჯგუფი

კერავნოსი (ნიქოზია, კვიპროსი) — კასერესი (ესპანეთი) 79:72, ჟელეზნიკი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ოლივეირენსე (პორტუგალია) 94:76, სამარა (რუსეთი) — ლულეო (შვედეთი) 94:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამარა | 5 | 4 | 1 | 396:364 | 9 |
| ჟელეზნიკი | 5 | 3 | 2 | 384:356 | 8 |
| კერავნოსი | 5 | 3 | 2 | 315:344 | 8 |
| კასერესი | 5 | 2 | 3 | 420:394 | 7 |
| ოლივეირენსე | 5 | 2 | 3 | 350:389 | 7 |
| ლულეო | 5 | 1 | 4 | 396:421 | 6 |

### E ჯგუფი

ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — სტეფანელი (მილანი, იტალია) 60:89, ლონდონ თაუერსი (ინგლისი) — ტატამი (რონდო, გერმანია) 69:84, ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) 71:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტეფანელი | 5 | 4 | 1 | 489:322 | 9 |
| ჰაპოელი | 5 | 4 | 1 | 413:378 | 9 |
| ტატამი | 5 | 3 | 2 | 339:402 | 8 |
| ბეობანკა | 5 | 2 | 3 | 413:377 | 7 |
| ჰონვედი | 5 | 1 | 4 | 341:386 | 6 |
| თაუერსი | 5 | 1 | 4 | 347:390 | 6 |

### F ჯგუფი

უსკ (პრაღა, ჩეხეთი) — ზრინევაცი (ზაგრები, ხორვატია) 95:115, აპოლონი (საბერძნეთი) — დენ ბოში (ჰოლანდია) 107:80, პოლზელა (სლოვაკეთი) — შარლერუა (ბელგია) 73:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აპოლონი | 5 | 4 | 1 | 510:366 | 9 |
| შარლერუა | 5 | 3 | 2 | 441:365 | 8 |
| ზრინევაცი | 5 | 3 | 2 | 449:442 | 8 |
| დენ ბოში | 5 | 3 | 2 | 456:450 | 8 |
| პოლზელა | 5 | 2 | 3 | 458:456 | 7 |
| უსკ | 5 | 0 | 5 | 322:447 | 5 |

გამოტოვებული მატჩი: დენ ბოში — უსკ 77:66

### G ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) 90:77, სლობოდა (ტუზლა) — კანტუ (იტალია) 77:92, ტელეკომი (ლისაბონი, პორტუგალია) — ოსტენდე (ბელგია) 83:101

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანტუ | 5 | 5 | 0 | 447:379 | 10 |
| ოსტენდე | 5 | 3 | 2 | 431:403 | 8 |
| კიორმენდი | 5 | 3 | 2 | 415:395 | 8 |
| ბაიერი | 5 | 3 | 2 | 415:438 | 8 |
| ტელეკომი | 5 | 1 | 4 | 399:438 | 6 |
| სლობოდა | 5 | 0 | 5 | 375:447 | 5 |

### H ჯგუფი

პეზინოკი (სლოვაკეთი) — ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) 95:115, სტ. პოლტენი (ავსტრია) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 57:88, რაჰანანა (ისრაელი) — ბუდიველნიკი (კიევი, უკრაინა) 77:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 5 | 5 | 0 | 422:299 | 10 |
| ავტოდორი | 5 | 4 | 1 | 436:444 | 9 |
| ბუდიველნიკი | 5 | 2 | 3 | 340:370 | 7 |
| პეზინოკი | 5 | 2 | 3 | 403:447 | 7 |
| რაჰანანა | 5 | 2 | 3 | 300:311 | 7 |
| სტ. პოლტენი | 5 | 0 | 5 | 360:408 | 5 |

## ევროლიგა

### A ჯგუფი

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) 77:73, ლიმოჟი (საფრანგეთი) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 71:85, მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 73:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 390:348 | 10 |
| ეფეს პილზენი | 5 | 3 | 2 | 374:344 | 8 |
| ცსკა | 5 | 3 | 2 | 378:369 | 8 |
| მაკაბი | 5 | 2 | 3 | 370:383 | 7 |
| რეალი | 5 | 1 | 4 | 387:402 | 6 |
| ლიმოჟი | 5 | 1 | 4 | 322:375 | 6 |

### B ჯგუფი

ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) — პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) 73:66, პორტუ (პორტუგალია) — ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) 69:92, სპლიტი (ხორვატია) — ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) 72:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 5 | 4 | 1 | 359:328 | 9 |
| ესტუდიანტესი | 5 | 4 | 1 | 391:367 | 9 |
| პაოკი | 5 | 3 | 2 | 367:356 | 8 |
| სპლიტი | 5 | 2 | 3 | 374:365 | 7 |
| ტელეკომი | 5 | 2 | 3 | 351:358 | 7 |
| პორტუ | 5 | 0 | 5 | 347:415 | 5 |

### C ჯგუფი

პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — პო-ორტეზი (საფრანგეთი) 86:72, კინდერი (ბოლონია, იტალია) — ულკერი (გენჩლიკი, თურქეთი) 94:64, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ბარსელონა (ესპანეთი) 81:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 5 | 4 | 1 | 408:354 | 9 |
| პარტიზანი | 5 | 3 | 2 | 403:381 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 405:397 | 8 |
| პო-ორტეზი. | 5 | 2 | 3 | 382:385 | 7 |
| ულკერი | 5 | 2 | 3 | 358:398 | 7 |
| ჰაპოელი | 5 | 1 | 4 | 353:394 | 6 |

### D ჯგუფი

ციბონა (ზაგრები, ხორვატია) — პარიზი (საფრანგეთი) 61:73, აეკი (ათენი, საბერძნეთი) — ალბა (ბერლინი, გერმანია) 79:80, ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვაკეთი) — ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) 89:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტიმსისტემი | 5 | 4. | 1 | 403:372 | 9 |
| ოლიმპია | 5 | 3 | 2 | 382:358 | 8 |
| აეკი | 5 | 3 | 2 | 347:328 | 8 |
| ალბა | 5 | 3 | 2 | 378:881 | 8 |
| პარიზი | 5 | 1 | 4 | 339:359 | 6 |
| ციბონა | 5 | 1 | 4 | 354:384 | 6 |

# ჯორდანი თამაშებს გამოტოვებს

რეგულარული საკალათბურთო სეზონის დაწყებამდე რამდენიმე კვირა დარჩა, ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ კი დრო უქმად არ დაკარგა და ამხანაგურ მატჩებში არასპორტული ქცევისთვის რამდენიმე კალათბურთელი დააჯარიმა. „კლივლენდ კავალიერსისა" და „მინესოტა ტიმბერვულზის" შეხვედრისას მოთამაშეები წაიჩხუბნენ, რის გამოც ისინი ჩემპიონატის პირველ მატჩებს გამოტოვებენ. ასოციაციის გადაწყვეტილებით კლივლენდელები — შონ კემპი, ჰენრი ჯეიმსი და ვიტალი პოტაპენკო დამატებით ფულად ჯარიმასაც გადაიხდიან, შესაბამისად — 2500-სა და 5000 დოლარს. მინესოტელთა ცენტრი კლიფორდ როზიე კი პირველ ორ შეხვედრაში არ ითამაშებს და 10 ათასი დოლარითაც გაუთხელდება ჯიბე.

სანამ ზოგიერთ მოთამაშეს თავად ასოციაცია არ აძლევს ჩემპიონატის საწყის მატჩში მონაწილეობის ნებას, ისეთი კალათბურთელი, როგორიცაა მაიკლ ჯორდანი, ტრავმის გამო აკლდება პირველ მატჩებს. ჩიკაგოელთა ლიდერს თურმე ფეხები სტკივა და ამიტომ რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუხდება, თუმცა, სერიოზული არაფერია და ორი-სამი მატჩის მერე კალათბურთის მეფე კვლავ დაუბრუნდება თამაშს.

იყიდება ან ქირავდება
პრივატიზებული მაღაზიის ფართი — 200 კვ. მეტრამდე
გურამიშვილის გამზირზე
☎ 22-53-12

# აჯობებს კორჩნოი ჩიბურდანიძეს?

ლუცერნშივე ჩატარდა დღემდე გამართული მსოფლიოს სამივე გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში მამაკაცებს შორის. დღესაც, როგორც ადრე, იმავე კაზინო „ლუცერნში“ დაიწყება რიგით უკვე მეოთხე ჩემპიონატი. მკითხველს შევახსენებ მონაწილეთა დაკომპლექტების რეგლამენტს: გუნდები, რომელთაც საუკეთესო შედეგი ჰქონდათ შარშან ერევანში გამართულ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე; ყოველი კონტინენტიდან — ჩემპიონი; ტურნირის მასპინძელი ქვეყნის გუნდი; ორი გუნდი კი დაუშვეს ფიდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

სულ ბოლო მომენტში საასპარეზოდ უხმეს სომეხ მოჭადრაკეებს და ეს არა მარტო მათი სპორტული შედეგების აღიარებაა — „კარგად იმუშავეს“ სომხეთის სპორტის თავკაცებმა, თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა ქვეყნის პრეზიდენტმაც.

აქ ძნელია თავი შეიკავო და გულისტკივილით არ აღნიშნო, რომ საქართველოს არც ტალანტები აკლია, მდიდარი ტრადიციებიც გააჩნია, მაგრამ მაღალი დონის საჭადრაკო ტურნირებით დიდად არც ადრე ვიყავით განებივრებულნი, ბოლო წლებში კი მათი ხსენებაც აღარაა. ამ მხრივ მართლაც შესაშურია სომხების გერგილიანობა. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩვენზე არცთუ უკეთეს დღეში მყოფმა ერევანმა შარშან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლა, წელს კი ახალგაზრდების მსოფლიო პირველობებს და დიდ საერთაშორისო ტურნირს; თუმცა მათ არც გაფრინდაშვილები და ჩიბურდანიძეები, ალექსანდრიები და იოსელიანები ჰყავთ, არც ტიგრან პეტროსიანს უსწავლია ჭადრაკის თამაში ერევნის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში...

მაგრამ დავბრუნდეთ ისევ შვეიცარიაში.

იდეა — მამაკაცთა ამ საჭადრაკო ფორუმზე ძალები მოესინჯა მსოფლიოს ქალთა ნაკრებ გუნდს — საქართველოში შვა. ასეთ გუნდში, სულ მცირე, ორი ქართველი მოჭადრაკის მონაწილეობა საოცარი არ იქნებოდა. ფიდემ იდეა კი მოიწონა, მაგრამ საქმეს პრაქტიკულად თავი ვერ მოაბა და ვერ უზრუნველყო უნგრელებისა და ქართველების, შვედისა და ჩინელის თავმოყრა.

იდეამ საქართველოშივე განიცადა ტრანსფორმაცია და ჭადრაკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი — საქართველოს ქალთა ნაკრები მიიწვიეს მამაკაცთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე.

მართლაც და რა მოხდა განსაკუთრებული — ძალები საკმარისია, ტალანტი მოჭარბებული, გამოცდილებაც დიდი. ჩვენი გუნდის ყველა წევრს მამაკაცთა ტურნირებში წარმატებული თამაშის დიდი ხნის სტაჟი აქვს. ქალებთან პაექრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — დღევანდელი, „ლუცერნული“ გუნდის ექვსი წევრიდან ხუთი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების ოცდათორმეტგზის (!) ჩემპიონია (ჯერჯერობით ნიჭიერ და ახალგაზრდა ნინო ხურციძეს არ აქვს ეს ტიტული მოპოვებული). ამას დაუმატეთ საქართველოს ნაკრების მუდმივი კაპიტნის ნანა ალექსანდრიას მონაგარიც და რაღაა საეჭვო, რომ ღირსეული არჩევანი გაკეთდა.

ალბათ ლუცერნის ეპოპეა ერთადერთია, როცა ჭადრაკის განებივრებული ქართველი გულშემატკივარი ჩვენი ქალებისგან ჩემპიონობასა და პრიზიორობას არ ითხოვს. ისე კი, დარწმუნებული ვარ — ჩვენს გუნდს რომ საპრიზო ადგილის მოპოვების პრეტენზია ჰქონდეს, თვით ვაჟები ხელებს გაასავსავებდნენ — ქალებს რა უნდათ ჩვენგან, წავიდნენ და თავიანთ საქმეს მიხედონო. ახლა კი, რა დასამალია და, ყველა გუნდი ჩვენთან ქულათა მაქსიმუმის დაგროვებას შეეცდება — ქალებს როგორ ვერ უნდა მივუგოთო. რა ვაეწყობა, ასეთია ძლიერთა ფსიქოლოგია.

შეიძლება ითქვას, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა — მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანის, ქეთევან არახამიას, ნინო გურიელის, ნინო ხურციძის, ნონა გაფრინდაშვილის შემადგენლობით და ნანა ალექსანდრიას კაპიტნობით, უკვე დაიკავა საპატიო ადგილი. მერე რა, რომ ეს შეიძლება ამგვარადვე არ აისახოს სატურნირო ცხრილში! ტურნირზე მიწვევა და მასში მონაწილეობა უკვე ნებისმიერ ცხრილზე მაღლა დგას!

ისე კი, ეშმაკს არ სძინავს; და თუ ამ „ეშმაკს“ ნიჭიერი, გამოცდილი და შემართული ქართველი ქალები ძილის საშუალებას არ მისცემენ, ხომ კარგი. აგერ, ბატონო, ბურთი და მოედანი, ადგომა და ხვალეო...

— არამც და არამც არ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, ქართველებმა ბოლო ადგილი უნდა დაიკავონო. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრები ტურნირის მონაწილე 2-3 გუნდს არაფრით ჩამოუვარდება. მე მაგალითად, ვერ ვხვდები, რატომ უნდა აჯობოს დღევანდელმა ვიქტორ კორჩნოიმ მაია ჩიბურდანიძეს. აი, ნახეთ, ქართველები კიდევ ერთხელ აალაპარაკებენ მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს — თავდაჯერებული მეუბნება ჩვენი გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტი, საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ტრადიციებზე გაზრდილი, ძალზე მაღალი რეიტინგის (2635) მქონე ისრაელის მოქალაქე და შვეიცარიის მოქალაქეობის მომლოდინე ვადიმ მილოვი.

– საქართველოს საჭადრაკო დელეგაცია ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის თავკაცობით ოთხშაბათს, გვიან საღამოს ჩამოვიდა ლუცერნში. აქ კი ჩვენებს პატარა უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ.

საქმე ისაა, რომ ნანა ალექსანდრიამ ჯერ კიდევ ზაფხულში თავად შეარჩია სასტუმრო, ყველა ოთახი დაათვალიერა, სურვილებიც დაუბარა მომსახურე პერსონალს და თავიც დაიმშვიდა — „რემსდოკი“ ძალზე კარგი, კომფორტული, ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმროა. მაგრამ როცა ათსაათიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩვენები სასტუმროს მიადგნენ, იქ უთხრეს — აქ კი არა, აგერ, ბატონო, ჩვენს გვერდით, ჩვენგან ორიოდ ნაბიჯზე მიბრძანდით, ჩვენივე სისტემის სხვა სასტუმროში იცხოვრებთო. როცა ამ უცნობ სასტუმროში ერთი თუ ორი მართლაც დასაწუნი ნომრის შეცვლა მოითხოვეს, სასტუმროს თავგადახოტრილმა, ყვითელ შარვალსა და იასამნისფერ პერანგში გამოწყობილმა მეპატრონემ ქვა აგდო და თავი შეუშვირა, თუ არ მოგწონთ და ნომრები დამიწუნეთ, აქედან მიბრძანდით, სასტუმრო ჩემია და რასაც მინდა, იმას გავაკეთებო. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა, ტურნირის ორგანიზატორების ჩარევამაც ვერ უშველა საქმეს და ჩვენები იძულებულნი იყვნენ, შუაღამისას სასტუმრო „იუნიონში“ გადაბარგებულიყვნენ. ავად თუ კარგად, აქ დავბინავდით, მაგრამ უკმარისობის გრძნობა აშკარაა, ეს სწორედ ის შემთხვევაა, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. ყოველ შემთხვევაში, „იუნიონი“ ისე შორსაა რეკლამირებული ოთხი ვარსკვლავისგან, როგორც ეს ცოდვილი დედამიწა ვარსკვლავებისგან.

ჰო, მართლა, 313-ე ნომერში შესახლებაზე ყველამ ცივი უარი განაცხადა და საბოლოოდ „დაჩაგრული“ მე აღმოვჩნდი.

გუნდს ხუთშაბათს ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამიაც შემოუერთდნენ. ყველა ჯანმრთელადაა და არც გუნება-განწყობა დაეწუნებათ. ამინდიც შესაფერისია ამ პერიოდისთვის — არც ცივა, არც ცხელა.

მოკლედ, ველით, რომ ქართველი დიდოსტატი ქალების პაექრობა რუს, ამერიკელ, უკრაინელ, ინგლისელ, სომეხ, ხორვატ, კუბელ, შვეიცარელ და ყაზახ რჩეულ გროსმაისტერ კაცებთან ტურნირს მარტო კოლორიტსა და რომანტიზმს როდი შემატებს.

და ბოლოს, პირველი ტური გაიმართება დღეს, 25 ოქტომბერს. თამაშები დაიწყება დღის სამ საათზე ადგილობრივი დროით და ათისთვის დამთავრდება. მსოფლიოს ჩემპიონი 2 ნოემბერს გამოვლინდება. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე ფიდეს ხელმძღვანელობას ოფიციალურად ჩააბარებს „ნონას თასს“, რომელიც მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადიდან გადაეცემა იმ ქვეყანას, რომელიც ქალთა და მამაკაცთა შედეგების შეჯამებით საუკეთესო იქნება.

მაგრამ ამ მოვლენაზე და ტურნირის პერიპეტიებზე ჩვენს შემდგომ რეპორტაჟებში.

**ემზარ ზენაიშვილი**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**



## ფორმულა 1
### XVII ეტაპი ევროპის დიდი პრიზი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ფორმულა 1-ის ჩემპიონატი ძირითადად ევროპის გარეთ — აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და იაპონიაში მთავრდებოდა. მაგრამ ორი წელია, ავსტრალიის ეტაპმა სეზონის დასაწყისში გადაინაცვლა. წლეულს კი FIA-მ შეისმინა კონცერნ „რენოს“ თხოვნა, რომელიც ფორმულა 1-ს ემშვიდობება და ბოლო ეტაპი ევროპაში, ეშტორილში დანიშნა. მაგრამ პორტუგალიელებმა დროულად ვერ მოახერხეს ტრასის რეკონსტრუქცია და პორტუგალიის დიდი პრიზი ევროპისამ შეცვალა. შემდეგ პორტუგალიის მთავრობამ თხოვნით მიმართა FIA-ს, რათა მას ამ ქვეყნის დიდი პრიზი აღედგინა, მაგრამ გუნდების უმეტესობამ უარი განაცხადა ამ სეზონში მე-18 ეტაპზე ასპარეზობაზე და სეზონის დახურვის პატივი ესპანელებს დარჩათ.

ევროპის დიდი პრიზი კი სხვადასხვა დროს ინგლისში (ბრენდს ჰეჩი, დონინგტონი), გერმანიაში (ნიურბურგრინგი) გათამაშებულა. 1994 წელს კი „ხერესის“ ტრასაზე ჩატარდა.

„ხერესის“, უფრო სწორად, „ხერეს დე ლა ფრონტესას“ ტრასა ესპანეთის უკიდურეს სამხრეთში, ღვინოებით განთქმულ ანდალუზიაში მდებარეობს და 1986-90 წლებში ესპანეთის დიდ პრიზსაც მასპინძლობდა, მაგრამ მაყურებელი დიდად არ სწყალობდა და ამიტომ შემდეგ იგი ბარსელონას „მონტმელომ“ შეცვალა. პირველი გამარჯვება ამ საკმაოდ რთულ, ტექნიკურ ტრასაზე 1986 წელს ბრაზილიელმა აირტონ სენამ (ლოტუს-რენო) იზეიმა. 1994 წელს აქ ჩატარებულ ევროპის დიდ პრიზზე კი შუმახერმა იმარჯვა „უილიამს-რენოს“ დუეტთან — ჰილსა და მენსელთან ორთაბრძოლაში. ჰილის დამარცხებას გუნდის ტაქტიკურმა შეცდომამაც შეუწყო ხელი, უილიამსელებმა ორი პიტ-სტოპი გააკეთეს, მაშინ, როცა შუმახერმა სამჯერ შეცვალა საბურავები.

წლევანდელ რბოლას ჩემპიონატში შექმნილი დაძაბული ვითარებაც ამწვავებს. შუმახერისა და ვილნევის საჩემპიონო ორთაბრძოლაში წარმატების მოსაპოვებლად ერთი უეჭველად წინ უნდა აღმოჩნდეს. თანაბარი ქულების შემთხვევაში მეტი გამარჯვების გამო ჩემპიონი კანადელი გახდება. თანაც, ეს „რენოს“ ძრავების უკანასკნელი [illegible] ქმული კონცერნი შეეცდება, საუკეთესოდ მოუმზადოს [illegible] ფავორიტებს — „უილიამსისა“ და „ბენეტონის“ პილოტებს, რათა ღირსეულად დაასრულოს ფორმულა 1-ში თავისი კარიერა. ამას დაუმატეთ „მაკლარენ-მერსედესის“ მრბოლთა ამბიციები და შედეგად მივიღებთ იმ მეტად საინტერესო სანახაობას, რომელიც ხვალ ელის ამ სპორტის თაყვანისცემლებს.

**ალეკო ტაბუციანი**

| |
|---|
| 26 ოქტომბერი. ხერესი (ესპანეთი) |
| ტრასის სიგრძე 4.218 კმ. |
| *რბოლის დისტანცია: |
| 69 წრე – 305,532 კმ (1994 წლის მიხედვით) |
| 1994 წლის შედეგები |
| გამარჯვებული: |
| მ. შუმახერი (ბენეტონ-ფორდი) 1:40.26,689 |
| საუკეთესო წრე: |
| შუმახერი 1.25,04 (187,45 კმ-სთ) |
| პოული: |
| შუმახერი 1.22,762 (196,61 კმ-სთ) |
| ტრასის რეკორდები |
| პოული: |
| აირტონ სენა (მაკლარენ-ჰონდა) 1.18,387 — 1990 |
| საუკეთესო წრე რბოლისას: |
| რიკარდო პატრეზე (უილიამს-რენო) 1.24,513 — 1990 |



[illegible] კვირას ხერეს დე ლა ფრონტერას ავტოდრომზე მეტად დაძაბული რბოლაა. პირველ-მეორე ადგილზე მყოფ მიხაელ შუმახერს და ჟაკ ვილნევს მხოლოდ ქულა აშორებს, ასე რომ, მათ შორის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ჩემპიონის ტიტულის მფლობელის ვინაობაც კვირას გაირკვევა, მანამდე კი გუშინ პირველი საკვალიფიკაციო რბოლები გაიმართა. ყველას გასაოცრად, პარასკევის რბოლებში ჩემპიონატის ლიდერებმა [illegible] შედეგები უჩვენეს და გაცილებით სუსტი მოწინააღმდეგენი გაუშვეს წინ. „ფერარისაც“ და „უილიამსსაც“ საბურავებით ცნობილი ფირმა „გუდ იარი“ ამარაგებს, თუმცა გუშინდელ რბოლაში სწორედ [illegible]ნებმა იძალეს, რომელთა საბურავებს „ბრიჯსტოუნი“ ამზადებს. შუმახერის და ვილნევის მჯობმა პილოტებმა ლიდერების დაჯაბნვის მიზეზად სწორედ უკეთესი საბურავები დაასახელეს, თუმცა მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, ინგლისელმა დეიმონ ჰილმა, როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა, განაცხადა, პარასკევის რბოლების მიხედვით შედეგების გამოტანა არ შეიძლება, რადგან ამ დღეს პილოტები უფრო ტრასას ეცნობიან, ვიდრე ერთმანეთს ეჯიბრებიანო. დღეს მეორე საკვალიფიკაციო დღეა, რომელშიც პილოტები ხვალინდელ სასტარტო ადგილებს გაინაწილებენ.

ხვალ გადაწყდება, ვინ მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, მიხაელ შუმახერი თუ ჟაკ ვილნევი. მანამდე კი იმ წლების ბოლო რბოლების მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ, რომლებშიც გაირკვა კიდეც ჩემპიონის ვინაობა.

# შუმახერი ან ვილნევი



*1976* — ამ წელს ბოლო ეტაპის წინ, რომელიც „მაუნტ ფუჯიში“ უნდა გამართულიყო, ლიდერთა შორის ქულათა სხვაობა, წლევანდელის დარად ერთი ქულა იყო — ავსტრიელი ნიკი ლაუდა ბრიტანელ ჯეიმს ჰანტს უსწრებდა. იაპონიაში რბოლის დღეს საშინლად წვიმდა, რამაც შეჯიბრების ჩატარება საათნახევრით გადადო. ლაუდა, მისდა სამწუხაროდ, ფინიშამდე გამოეთიშა ასპარეზობას, ჰანტმა კი, როგორც შემდეგ განაცხადა, არ იცოდა, რომელ პოზიციაზე იყო, მაგრამ მაინც დაასრულა რბოლა. საბოლოო ჯამში გრან პრი მარიო ანდრეტიმ მოიგო, ჰანტი კი მესამეეზე გავიდა. მან მესამე ადგილისთვის განკუთვნილი ოთხი ქულა მიიღო და ჩემპიონის ტიტულიც მოიგო.

*1981* — მთელი ჩემპიონატი „უილიამსის“ პილოტები— არგენტინელი კარლოს როიტემანი და ალან ჯონსი დომინირებდნენ, მაგრამ ამათ ბრძოლაში საკმაოდ კარგად ჩაერთო ნელსონ პიკე. ბოლო ეტაპი ლას ვეგასში იყო დანიშნული. როიტემანმა პოული მოიპოვა და ასპარეზობა კარგადაც დაიწყო, თუმცა, საბოლოო ჯამში მერვე ადგილზე დაასრულა რბოლა. ნელსონ პიკე კი, მართალია, ჯონსს ჩამორჩა, მაგრამ მოპოვებული მეორე ადგილით როიტემანს ჩემპიონობა წაართვა. ეს პიკეს პირველი ტიტული იყო მისი სამგზის ჩემპიონობიდან.

*1984* — „მაკლარენის“ პილოტებმა 16 ეტაპიდან 12 მოიგეს, მათ შორის ბოლოც. ამჯერად ბრძოლა ნიკი ლაუდასა და ალენ პროსტს შორის წარიმართა. სეზონის ბოლო რბოლა პორტუგალიაში „ეშტორილის“ ტრასაზე გაიმართა, რომელიც ფორმულა-1-ის ასპარეზობას პირველად მასპინძლობდა. პროსტმა და ლაუდამ რბოლა გვერდიგვერდ დაიწყეს, მაგრამ ფინიშის ხაზი ავსტრიელმა უფრო ადრე გადაკვეთა და ჩემპიონობა მოიგო. მომავალ წელს პროსტმა რევანში აიღო და ფორმულა-1-ის პირველი ფრანგი ჩემპიონი გახდა.

*1986* — ბრიტანელმა ნაიჯელ მენსელმა ავსტრალიის გრან პრის წინ იცოდა, რომ მესამე ადგილზე გასვლა ხელს აძლევდა ჩემპიონატის მოსაგებად. მან რბოლა პოულიდან დაიწყო, თუმცა ჩემპიონობის მოცილეებს ალენ პროსტს და ნელსონ პიკეს ოთხი წრის შემდეგ ჩამორჩებოდა. მალე პროსტი საბურავების შესაცვლელად შევიდა და მენსელმა გადაასწრო, მაგრამ თავად შეექმნა საბურავები გამოსაცვლელი, თუმცა „უილიამსის“ გუნდის შეფობამ ბოქსებში შესვლა აუკრძალა. 64-ე წრეზე მის ბოლიდს, რომელიც 300 კმ/სთ სიჩქარით მიჰქროდა, მარცხენა საბურავი გაუსკდა და, ცხადია, მას ჩემპიონობაზე ოცნებაც თან მიჰყვა. პროსტმა ფინიშზე ოთხი წამით აჯობა პიკეს, მაგრამ ჩემპიონატში ერთი ქულის უპირატესობით მაინც ამ უკანასკნელმა იმარჯვა.

*1989* — იაპონიის გრან პრი ერთ-ერთი დაძაბული რბოლაა ფორმულა-1-ის მთელი ისტორიის მანძილზე. „მაკლარენის“ ზეობის ხანაში აირტონ სენას და ალენ პროსტის წყვილმა დაუმარცხებელის სახელი დაიმსახურა. წინა წელს ამავე ტრასაზე სენამ ფრანგს აჯობა, ეს რბოლაც მანვე მოიგო, მაგრამ ბოქსებიდან ტრასაზე დაბრუნებისას წესების დარღვევისთვის დააჯარიმეს და პირველი ადგილი გაუუქმეს. გამარჯვება მეორე ადგილზე გასულ პროსტს მიეკუთვნა, რამაც ფრანგს ჩემპიონის ტიტულიც არგუნა. სენამ გადაწყვეტილება გააპროტესტა, მაგრამ საპასუხოდ ფულადი ჯარიმა და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.



*1990* — სენამ „ფერარიში“ გადაბარგებულ ალენ პროსტს გასული წლის წყენა არ დაუვიწყა. პილოტებმა მთელი სეზონი დაძაბულ პაექრობაში გაატარეს, ბოლო ეტაპის წინ სხვაობა სულ რამდენიმე ქულა იყო. იაპონიის გრან პრის საკვალიფიკაციო რბოლაში ბრაზილიელმა იმარჯვა, თუმცა მას და პროსტს რბოლის დასაწყისშივე ავარია შეემთხვათ და ორთავემ ნაადრევად დაასრულა ასპარეზობა. ჩემპიონი, ცხადია, სენა გახდა. პროსტმა ბრაზილიელს განზრახ დაჯახებაში დასდო ბრალი, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

*1994* — სან მარინოს გრან პრის დროს სენას სიკვდილის შემდეგ ჩემპიონობისთვის შუმახერი და ჰილი იბრძოდნენ. გერმანელი ბოლო ეტაპის, ავსტრალიის გრანპრის წინ ქულით უსწრებდა ბრიტანელს. ასპარეზობის დროს მათ ავარია შეემთხვათ და რბოლას გამოეთიშნენ. ჰილმა კი ამაში დამნაშავედ შუმახერი მიიჩნია, ძალით დამეჯახაო. ინგლისელის კაპრიზებს შედეგი არ მოჰყოლია და მიხაელ შუმახერი ფორმულა-1-ის პირველი გერმანელი ჩემპიონი გახდა.

# ჰოკეი

# არ მახსოვს, როგორ გავიტანე

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**კოლორადო — ვაშინგტონი 4:3**

**შაიბები: ბონდრა 4 (0:1), პივონკა 1 (0:2), ფუტი 1 (1:2), ოუთსი 4 (1:3), კამენსკი 5 (2:3), საკიკი 7 (3:3), ბელაკი 1 (4:3)**

ორი კონფერენციის ლიდერთა ორთაბრძოლამ მაყურებელთა უდიდესი ყურადღება მიიპყრო, რაც უფრო ვაშინგტონმა გამოიწვია — ის, რომ მან წელს კარგად დაიწყო სეზონი და ბევრად გააუმჯობესა თამაში, ნამდვილი სიურპრიზი იყო. ამიტომ საინტერესო იყო, რას შესთავაზებდა ახალგამომცხვარი ლიდერი ლიგის ფავორიტს. შეხვედრამ დაადასტურა კიდეც „კეპიტალსის" სალიდერო პრეტენზიების სამართლიანობა — ორი პერიოდის განმავლობაში კოლორადომ ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს. ბონდრა (1+1) — პივონკას (1 გოლი) წამყვანი დუეტის ძალისხმევით სტუმრები დაწინაურდნენ და ამ ორშაიბიან სხვაობას კარგა ხანს ინარჩუნებდნენ. მაგრამ მესამე პერიოდში მატჩის ბედი შეტრიალდა: უკვე 37-ე წამზე კამენსკიმ ერთი შაიბა გაქვითა და ამის მერე ინიციატივა მთლიანად მასპინძლების მხარეს გადავიდა. გადის კიდევ ორი წუთი და კოლორადოს კაპიტანი ჯო საკიკი (1+1) ზედიზედ მე-7 მატჩში გატანილი გოლით ათანაბრებს ანგარიშს. შემდგომ მოპოვებულ დიდ უპირატესობას მასპინძლები, ალბათ, ვერც აქცევდნენ გოლად, სრულიად მოულოდნელად უედ ბელაკი რომ არ მოვლენოდათ მხსნელად: ახალბედა მცველმა ადამ დიდმარშის პასის შემდეგ საშუალო მანძილიდან შეუგდო ალაფ კოლციგს. ეს მისი პირველი გოლია ნჰლ-ში. როგორც ჩანს, წელს ჭაბუკ ჰოკეისტთა თამაში კარგად დაებედა კოლორადოს: ბოსტონთან უმძიმეს მატჩში მას ბელაკის კბილა ჩეხმა მარჰამ უშველა. რაც შეეხება ბელაკს, მან მატჩის შემდეგ ვერც კი გაიხსენა, როგორ აღმოჩნდა კართან — შაიბა თურმე ბოლო მომენტშილა დაუნახავს.

**22 ოქტომბერი. კაროლინა — სენტ ლუისი 4:3, ბუფალო — კალგარი 4:1, მონრეალი — ფლორიდა 3:0, რეინჯერსი — ჩიკაგო 0:1, ტორონტო — ოტავა 2:6, სან ხოსე — პიტსბურგი 2:5, ანაჰაიმი — დეტროიტი 1:4.**

**23 ოქტომბერი. ბოსტონი — ტამპა 2:2, ოტავა — ფლორიდა 2:2, ნიუ ჯერსი — მონრეალი 2:1, ფილადელფია — კალგარი 4:3, სენტ ლუისი — ვანკუვერი 4:1, ფინიქსი — ვაშინგტონი 3:3, ლოს ანჯელესი — დეტროიტი 1:4.**

ეს ორი დღე ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონის წარმომადგენლებისა იყო. მეტოქეები განსაკუთრებით ოტავამ და პიტსბურგმა დაიბრიყვეს.

ოტაველები რომ სულ უფრო და უფრო კარგად თამაშობენ, ტორონტოშიც გამოჩნდა: „სენატორებმა" ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მასპინძლები და არავითარი შანსი არ დაუტოვეს მათ. საუცხოო იყო ოტავას წამყვანი ტრიო, რომელშიც ამ ბოლო ხანს ერთობ კარგად შეამხანაგდნენ კლუბის ლიდერები — იაშინი (2+1,4) და ალფრედსონი. ეს ორი მოთამაშე ფაქტობრივად ყველა გოლის სულისჩამდგმელი იყო, მათმა პარტნიორმა შონ მაკიჩერნმა კი კარიერაში მეექვსე ჰეთ-თრიქი გააკეთა და 6 შაიბით კლუბის სნაიპერთაგან ჯერჯერობით საუკეთესოა. არადა, მაკიჩერნი ის ჰოკეისტია, რომელმაც მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 11 გოლი გაიტანა. მთავარი კი გუნდისთვის, ალბათ, მაინც ალფრედსონია — რაც მან თამაში დაიწყო, ოტავამ ოთხივე მატჩში იმარჯვა. მართალია, კანადელებმა მეორე დღეს ვერ მოიგეს, მაგრამ აშკარად დაჯაბნეს ფლორიდა. ისე, ძალიან გაუჭირდათ: შავკანიანი გოლკიპერის — უიკსის ბრწყინვალე თამაშისა და განიეს (2 პასი) ძალისხმევით 2:0 დაწინაურებულ სტუმრებს ფრე მაინც გამოგლიჯეს ხელიდან და თავიანთ დივიზიონში ბოსტონთან ერთად დაწინაურდნენ.

„დათვები" შთამბეჭდავი ხუთმატჩიანი მომგებიანი სერიის შემდეგ ოდნავ შეფერხდნენ და სეზონში პირველი შეხვედრა დაასრულეს ფრედ. ტამპელთაგან პირველი გოლი გაიტანა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის აღმოჩენამ, ჩეხმა ვუიტეკმა.

რაც შეეხება პიტსბურგს, იგი, როგორც ჩანს, მადაზე მოვიდა და საგარეო სერიის აგერ უკვე მეხუთე შეხვედრაში იმარჯვა. თანაც, მატჩიდან მატჩამდე იმატებს გუნდის შედეგიანობა. მეორე პერიოდის 47-ე წუთზე ოლჩიკმა (3) გადამწყვეტი შაიბა შეუგდო სან ხოსეს, კიდევ ორი გოლი ბოლო წუთზე გავიდა. მთავარმა „პინგვინმა" იაგრმა 3(1+2) ქულა დააგროვა.

დასავლეთს კი სამი აშკარა ლიდერი ჰყავს. თუ დეტროიტისა და კოლორადოს წარმატება არავის აკვირვებს, სენტ ლუისის დამაჯერებელი ასპარეზობა სასიამოვნო სიურპრიზია. თუმცა, ოთხშაბათს სენტ ლუისმა წაიფორხილა და კაროლინასთან შეხვედრაში ბრწყინვალე 8-მატჩიანი სერია (7 მოგება, ერთი ფრე) შეწყვიტა. დამნაშავე კი ისევ და ისევ მისი მეტოქე გახლავთ — იგი წელს ძალზე არასტაბილურად თამაშობს, მაგრამ ხანდახან გამოცოცხლდება ხოლმე და ეს სწორედ ფავორიტებთან მატჩებში ხდება. ამ შეხვედრის ბედი მეორე პერიოდმა გადაწყვიტა: 48 წამის განმავლობაში ჰალერმა და ემერსონმა (4) ორჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი და კაროლინელებს სტუმრები ველარ დაეწივნენ. კაროლინა კი, თავის მხრივ გაუტოლდა ლიგის დანარჩენ გუნდებს — მათ დარად, სეზონში პირველად, სამზე მეტი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, მეორე დღეს „ბლუზმენები" იოლად გაუმკლავდნენ ვანკუვერს. გუნდის სნაიპერმა ბრეტ ჰალმა, რომელსაც ბოლო მატჩებში ფლეიმეიკერობა დაევალა, ორი პასი მიაწოდა პარტნიორებს, ამას დიუშენის ორი პასიც დაემატა და სენტ ლუისმა შინ ზედიზედ მეექვსედ მოიგო.



რუსი რუსის წინააღმდეგ: ანაჰაიმელი მირონოვი (15) და დეტროიტელი ლარიონოვი

დეტროიტმა წარმატებით დაასრულა ორდღიანი კალიფორნიული ტურნე. თუ ლოს ანჯელესთან შეხვედრაში ფავორიტს საკმაოდ გაუჭირდა და გადამწყვეტ უპირატესობას მხოლოდ ბოლო პერიოდში მიაღწია, რისთვისაც მთავარი ძალების — ტრავმამოშუშებული შენაჰანისა (1+1,4) და ლაპოინტის (4) მობილიზება დასჭირდა, ანაჰაიმთან ახალგაზრდა ნაბლისა (2 გოლი) და მისი პარტნიორის, დანდენოს (2 პასი) ძალისხმევაც იკმარა. უნდა ითქვას, რომ ამ ორი ჭაბუკი ჰოკეისტისა და ბრაუნის სამეული ბოლო მატჩებში მეტად ნაყოფიერად თამაშობს და ბევრად გამოცდილ პარტნიორებსაც არ უდებს ტოლს.

აუტსაიდერმა კალგარიმ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ფილადელფიას და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში გასაქანი არ მისცა მეტოქის მრისხანე „დუმის ლეგიონს". გადამწყვეტი სიტყვა მაინც ჯონ ლეკლერმა თქვა — სნაიპერმა მარცხი აგემა კალგარის, რომელიც ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. კალგარელმა მაკინისმა ორი შაიბა შეაგდო, მისმა სახელოვანმა პარტნიორმა ფლერიმ კი 3(1+2) ქულა დააგროვა.

მანამდე კალგარის ბუფალომაც მოუგო, რომელმაც, როგორც იქნა, შეწყვიტა უხეირო ასპარეზობა და თავის ჩრდილო-აღმოსავლელ თანადივიზიონელებს აუბა მხარი. 4-დან 3 შაიბა ბუფალომ რიცხვმრავლობაში გაახერხა.

ჩრდილო-აღმოსავლელთა კარგი გამოსვლა მონრეალმა დაასრულა. ახალი მწვრთნელის — ალენ ვინიის ხელი კლუბს უმალ დაეტყო და ეს უპირველესად ორგანიზებულობასა და წესრიგში გამოიხატა. წლევანდელი მონრეალი შარშანდელივით ავანტიურულად და ქაოსურად აღარ თამაშობს და აღარც შაიბების კატასტროფულ რაოდენობას უშვებს საკუთარ კარში. ფლორიდასთან შეხვედრაში მონრეალმა თავისი ახალი სტილის უპირატესობა დაამტკიცა და მეტოქეს არც ერთი გოლი არ გაატანინა. გოლკიპერმა ტიბომ კარიერაში მე-6 „მშრალი" მატჩი ჩაატარა, ჩეხმა ლეგიონერმა რუჩინსკიმ კი (1+1) სეზონში პირველი შაიბა შეაგდო. მომდევნო მატჩში ნიუ ჯერსისთან კანადელებმა გახსნეს ანგარიში და მოედნის ბატონ-პატრონნიც გახდნენ, რამაც ყველას აფიქრებინა, რომ მონრეალი ამჯერადაც მიაღწევდა საწადელს. და მართლაც, დარჩენილ დროში „ეშმაკებმა" რის ვაივაგლახით გაათანაბრეს ანგარიში. მაგრამ ოვერტაიმში სტუმრებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და ცვლისას მათ რიგებში ზედმეტი მოთამაშე აღმოჩნდა, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დააჯარიმა მონრეალი და სიკორამ რიცხვმრავლობაში თავისი მეორე შაიბა შეაგდო.

დასასრულ, დავამატებთ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მოთამაშეთა კიდევ ერთმა ჯგუფმა მიაღწია საიუბილეო ზღვარს. „რეინჯერმა" ლაფონტენმა 450-ე გოლი გაიტანა, ლინდროსმა მე-200 გოლს 250-ე პასი და 450-ე ქულა დაამატა, მონრეალელმა კორსონმაც ორი იუბილე — მე-300 პასი და მე-500 ქულა აღნიშნა. კაროლინელმა ემერსონმა 350 ქულა დააგროვა, აილენდერსელმა პალფიმაც იხეირა და კარიერაში მე-200 ქულა მიითვალა.

**სამველ ლარიბიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 11 | 7 | 1 | 3 | 31:25 | 15 |
| ოტავა | 11 | 6 | 3 | 2 | 34:25 | 15 |
| პიტსბურგი | 11 | 6 | 2 | 3 | 30:23 | 14 |
| მონრეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:16 | 10 |
| ბუფალო | 10 | 3 | 2 | 5 | 25:31 | 8 |
| კაროლინა | 11 | 2 | 2 | 7 | 25:36 | 6 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 10 | 7 | 1 | 2 | 36:22 | 15 |
| ფილადელფია | 11 | 7 | 1 | 3 | 36:26 | 15 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 5 | 0 | 3 | 22:17 | 10 |
| აილენდერსი | 8 | 3 | 2 | 3 | 23:20 | 8 |
| ფლორიდა | 9 | 2 | 2 | 5 | 16:27 | 6 |
| ტამპა | 10 | 2 | 2 | 6 | 17:31 | 6 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 11 | 8 | 2 | 1 | 42:21 | 18 |
| სენტ ლუისი | 11 | 8 | 1 | 2 | 38:23 | 17 |
| დალასი | 10 | 5 | 1 | 4 | 31:25 | 11 |
| ფინიქსი | 9 | 4 | 2 | 3 | 28:27 | 10 |
| ტორონტო | 9 | 2 | 1 | 6 | 18:29 | 5 |
| ჩიკაგო | 9 | 2 | 0 | 7 | 12:28 | 4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 10 | 6 | 3 | 1 | 37:25 | 15 |
| ლოს ანჯელესი | 11 | 3 | 3 | 5 | 36:36 | 9 |
| ვანკუვერი | 9 | 3 | 2 | 4 | 23:24 | 8 |
| ანაჰაიმი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:24 | 8 |
| ედმონტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 19:33 | 7 |
| სან ხოსე | 9 | 2 | 0 | 7 | 22:31 | 4 |
| კალგარი | 10 | 1 | 2 | 7 | 22:35 | 4 |



## ჯენეტ გრეცკის თავგადასავალი

23 ოქტომბერს, ჩიკაგოსა და რეინჯერსის მატჩის დროს, სრულიად რამ მოხდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში „რეინჯერმა" ულფ სამუელსონმა მასპინძელთა ფორვარდი სერგეი კრივოკრასოვი მოედნისა და ტრიბუნების გამყოფ მინას მიახეთქა. მინა გატყდა და მისი ერთ-ერთი ნამსხვრევი პირველ რიგში მჯდომ უეინ გრეცკის მეუღლეს, ჯენეტს მოხვდა თავში. მან გაოგნებაც ვერ მოასწრო, თავის შველა — მით უმეტეს და რამდენიმე წუთით გონება დაკარგა. სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ჯენეტი საავადმყოფოში გააქანეს, სადაც ტვინის მსუბუქი შერყევა დაუდგინეს და გახეთქილ ტუჩზეც უმკურნალეს. ერთი სიტყვით, ქალბატონი გრეცკი იოლად გადარჩა, მისი მეუღლის გუნდი კი მარცხისგან ვერაფერმა იხსნა — რეინჯერსმა 0:1 წააგო.

## ევროლიგა

B, C და D ჯგუფებში მესამე ტურის მატჩები გაიმართა.

ცენტრალური D ჯგუფის ფავორიტების — იაროსლავლის „ტორპედოსა" და ევროლიგის პირველი გათამაშების გამარჯვებულის, ფინეთის ტპს-ის შეხვედრა გახდა. ფინელებმა პირველ ორ მატჩში საკმაო ქულა დააგროვეს და ჰაერივით სჭირდებოდათ მოგება. მათ ცოცხლად დაიწყეს თამაში და იოკინენის დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ მასპინძელთა პრესინგს ვერ გაუძლეს, რომელთა ძალისხმევასაც რუსეთის ნაკრების წევრის, გორშკოვის ორი ზუსტი დარტყმა მოჰყვა შედეგად. „ტორპედომ" 3:1 მოიგო და ქულათა მაქსიმალური რაოდენობით დაასრულა საშინაო სერია. ტპს-ს საქმე კი ჯგუფის მეორე მატჩმაც გაართულა: სლოვაკეთის „სლოვანმა" სტუმრად შვედეთის „ლულეო" დაამარცხა 3:2. 2 პასი ექსნიუჯერსელი ზდენო ციგერის ანგარიშზეა.

ფინეთის ჰპკ გამარჯვების შემთხვევაში, ფაქტობრივად, ინაღდებდა ჯგუფში პირველობას, მაგრამ დღის კიდევ ერთ ცენტრალურ მატჩში იგი 3:8 განადგურდა შვედეთის „ლექსანდთან". ჯერ კიდევ 42-ე წუთზე საკიოკის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში 3:3 იყო და ფინელებს თითქოს არაფერი ემუქრებოდათ, მაგრამ ბოლო წუთები მათთვის ნამდვილ საშინელებად იქცა: 15 წუთის განმავლობაში შვედებმა, კარლსონისა (1+2) და ნილსონის (2+1) თავკაცობით, 5(!) უპასუხოშაიბა შეუგდეს მასპინძლებს. სლოვაკეთის „ტრენჩინმა" 4:1 მოუგო გერმანიის „მანჰაიმს".

შეიცვალა ლიდერი C ჯგუფში. მოულოდნელად დაწინაურებულ ნორვეგიის „სტურჰამარს" „კიოლნმა" მიუჩინა კუთვნილი ადგილი — მეორე პერიოდში იტალიელი ლეგიონერის, ძარილოს (2+1) ორმა გოლმა მატჩის ბედი გადაწყვიტა. საბოლოოდ გერმანელებმა 5:1 იმარჯვეს.

ნორვეგიელებს ავსტრიის „ფელდკირხმაც" გაუსწრო, რომელმაც შვეიცარიის „ბერნს" 6:3 სძლია. ავსტრიელთაგან კვლავ ვეტერანი შვედები — გუსტაფსონი (1+2) და რუნდკვისტი (1 გოლი) გამოირჩნენ.

B ჯგუფი: „ლექსანდი" და ჰპკ 6 ქულა; „მანჰაიმი" და „ტრენჩინი" 3.

C ჯგუფი: „ფელდკირხი" და „კიოლნი" 6; სტურჰამარი 5; ბერნი 1.

D ჯგუფი: „ტორპედო" 9; „სლოვანი" 4; „ლულეო" 3; ტპს 2.

ბომბარდირები: ხარიტონოვი (დინამო) 7 (3+4), ძარილო (კიოლნი) 6 (3+3), მაკდუგალი (ცუგი) და მასლენიკოვი (ბოლცანო) 6 (2+4), კარლსონი (ლექსანდი) 6 (1+5)

## კარატე

საქართველოს და აჭარის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციების თაოსნობით ბათუმში მოეწყო აჭარის ღია პირველობა, რომელშიც 200-მა სპორტსმენმა იასპარეზა.

ასაკთა მიხედვით ჭაბუკებში ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები — ლერი გაბიჩვაძე და გურამ ზაქარეიშვილი, გორელები — დავით კინწურაშვილი, გიორგი გოლოშვილი და ლევან სადალიშვილი, ბათუმელი ჯონი დიასამიძე. „კატაში" იმარჯვეს ბათუმელებმა თამარ ცინცაძემ და ლევან სადალიშვილმა.

მოზრდილ კარატისტებში უძლიერესები იყვნენ ბათუმელი მაია ციმნარიძე და გორელი გიორგი სადალიშვილი.

**28-29 ოქტომბერს თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდება საერთაშორისო სემინარი კარატე-დოში, რომელსაც უძელმძღვანელებს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, მე-7 დანის მფლობელი ჰიტოში კასუია.**

**სემინარზე მოეწყობა სპორტსმენების, ინსტრუქტორებისა და მსაჯების ატესტირება.**

## ველორბოლა

# ტურ დე ფრანსი ფეხბურთს მოუცდის

1998 წლის „ტურ დე ფრანსი" გაისად ჩვეულებრივზე გვიან დაიწყება, რათა საფრანგეთში გასამართ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის კონკურენციას გადაურჩეს. რბოლის ორგანიზატორებმა მონაწილეებს საქმე კიდევ უფრო გაურთულეს. 3850 კილომეტრი სიგრძის ტურის პროლოგი და პირველი ორი ეტაპი ირლანდიაში გაიმართება 11-13 ივლისს. საფრანგეთში გადაბარგების მერე მრბოლებს ორი მძიმე დღე პირენეებში ელით, ოთხიც ალპებში. ყველაზე რთული მეათე ეტაპი იქნება პოდან ლუშონამდე, რომელშიც 1980 წლის მერე პირველად პირენეების ხუთი მთავარი აღმართი — სულორი, ობისკი, ასპინი, ტურმალე და პირესურდია გაერთიანებული. ასევე ბევრი რამ გადაწყდება 27 ივლისს, როდესაც პელოტონი ალპურ კურორტ ლე დეზალპში აბობღდება კრუადე-ფერისა და გალიბიეს აღმართების მერე.

არ დავიწყნიათ სიჩაუქის გამოცდის სპეციალისტებიც. ცული-ულრიხის მაგვართათვის ერთი 58-კილომეტრიანი ეტაპი 18 ივლისსაა დანიშნული მეირინიაკიდან კორეზემდე, მეორე — 53-კილომეტრიანი, ბოლოსწინა დღეს მონკო-ლე-მინიდან ლე კრეზომდე.

**1998 წლის ტურ დე ფრანსის განრიგი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პროლოგი | 11.07 | დუბლინი | 5,7კმ |
| I ეტაპი | 12.07 | დუბლინი — დუბლინი | 180 |
| 2 | 13.07 | ენისკორტი — კორკი | 200 |
| 3 | 14.07 | როსკოფი — ლორიანი | 171 |
| 4 | 15.07 | პლუეი — შოლე | 248 |
| 5 | 16.07 | შოლე — შატორუ | 227 |
| 6 | 17.07 | ლეშარტი — ბრივ-ლა-გაიარდი | 210 |
| 7 | 18.07 | მეირინიაკი — კორეზე (სიჩ. გამოცდა) | 58 |
| 8 | 19.07 | ბრივი — მონტობანი | 189 |
| 9 | 20.07 | მონტობანი — პო | 224 |
| 10 | 21.07 | პო — ლუშონი | 197 |
| 11 | 22.07 | ლუშონი — პლატო დე ბეი | 170 |
| 12 | 24.07 | ტარასკონ-სიუ არიეჟი — ლე კადაგდი | 221 |
| 13 | 25.07 | ფრონტინიან ლა პეირადი — კარპანტრასი | 191 |
| 14 | 26.07 | გალრეასი — გრენობლი | 185 |
| 15 | 27.07 | გრენობლი — ლე დეზალპი | 189 |
| 16 | 28.07 | ვიზილი — ალბერვილი | 204 |
| 17 | 29.07 | ალბერვილი — ელებენი | 149 |
| 18 | 30.07 | ელებენი — ნოშატელი | 218 |
| 19 | 31.07 | ლა შოდეფონდი — ოტონი | 238 |
| 20 | 1.08 | მონკო-ლე-მინი — ლე კრეზო (სიჩ. გამოცდა) | 53 |
| 21-ე ეტაპი | 2.08 | მელონი — პარიზი | 147 |

# პატრიო(სტრიპ)ტიზმი 2000 ფრანკით დაისაჯა

30 წლის უილბლო მსახიობმა ქსავიერ კლემანმა, რომელიც წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" ბოლო ეტაპის დროს ადამის სამოსელში გადმოუხტა მრბოლებს წინ, ამ ოთხშაბათს სასამართლოს თავისი ცოტათი უცნაური საქციელი ასე განუმარტა: „მეგობრებთან ერთად ვფიქრობდით, თუ რა შეიძლებოდა ჩაგვედინა ულრიხის (ტურის გერმანელი გამარჯვებული) საწინააღმდეგოდ და რიშარ ვირანკის (ფრანგი მეორეადგილოსანი) სასარგებლოდ." განსჯის შედეგი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ სასამართლომ ეს გამოხდომა კლემანს არც ისე ძვირი, სულ 2000 ფრანკი (334 დოლარი) დაუსვა. სამაგიეროდ, მეგობრებს იგი ძვირ რესტორანში უქეიფებიათ. ზოგიერთის პატრიოტიზმი მართლაც უსაზღვრო და უსაშველოა.

# ასაკიც გავითვალისწინოთ

ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე გვერდითი მსაჯების, ბურთის მიმტანებისა და მაყურებელთა მოზღვავების გარეშე დღეს დასრულდება საქართველოს ჩემპიონატი ჩოგბურთში. გამოსავლენი მხოლოდ ვაჟებში გამარჯვებული დარჩა, დანარჩენი „ჩინ-მედლები" კი გუშინ დილით განაწილდა.

ქალებში ფინალური ტურნირი წრიული სისტემით გაითამაშეს შესარჩევწრეებგავლილმა ირინა კაკულიამ, ვერიკო თუხარელმა, ეკა ჟვანიამ და თამარ ზედგინიძემ. პირველ დღეს კაკულიამ სამ სეტში სძლია ჟვანიას 6:4, 4:6, 6:0, ზედგინიძემ კი, საკმაოდ მოულოდნელად, ძალზე იოლად დაამარცხა თუხარელი 6:0, 6:2. მეორე დღეს, ხუთშაბათს დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა ჟვანიასა და თუხარელის შეხვედრამ. პირველ სეტში ტაიბრეიკზე ჟვანიამ იმარჯვა, მეორეში მან მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა კი მისცა, მაგრამ გამარჯვება ხელიდან მაინც არ გაუშვია 7:6, 3:6, 6:2.



ირინა კაკულია

ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა, როგორც შემდეგ გაირკვა, ამავე დღეს შემდგარა კაკულიასა და ზედგინიძეს შორის. საკმაოდ იოლად დათმობილი პირველი ხელის მერე ზედგინიძე, რომელიც ჯერ მხოლოდ 14 წლისაა, მეორეში უფრო ყოჩაღად ათამაშდა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა შედარებით გამოცდილი კაკულია მაინც უკეთ გაისარჯა, მატჩი 6:3, 7:6 (7:3) მოიგო და, ფაქტიურად, მაშინ გაინაღდა ჩემპიონობა. პირველობის ბოლო დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, კაკულიამ ფინალურ ტურნირში სუსტად მოასპარეზე თუხარელს ძალზე იოლად მოუგო 6:1, 6:1 და სამ მატჩში ერთადერთი წაგებული სეტით პირველი ადგილი დაიკავა. ჩემპიონატის ბოლო მატჩი თამარ ზედგინიძესა და ეკა ჟვანიას შორის მეორე ადგილისთვის პაექრობად იქცა. პირველი სეტი ზედგინიძემ დიდი ოფლისღვრის გარეშე მოიგო, მაგრამ მერე ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა და მუდმივად მდევრის როლი ერგო. ჟვანია მეორე ხელში წინ იყო — 5:4, 6:5, მაგრამ საკუთარი მოწოდების შენარჩუნება ვერცერთხელ მოახერხა და ყველაფერი ტაიბრეიკზე გადაწყდა. ამ გადამწყვეტ ეპიზოდში ზედგინიძემ საგრძნობლად მოუმატა, უკანა ხაზიდან რამდენიმე ძლიერად შემოკრა და დამაგვირგვინებელი დარტყმებიც არ გაუცუდებია. საბოლოოდ, გამარჯვება ანგარიშით 6:2, 7:6 (7:1) და მასთან ერთად მეორე ადგილიც ზედგინიძეს დარჩა. მესამეზე ჟვანია გავიდა, მეოთხეზე — თუხარელი.

პარასკევსვე დასრულდა ქალთა და ვაჟთა წყვილების პირველობები.

კაცებში აშკარა ფავორიტებად ამ შემთხვევისთვის შეწყვილებული ქართული ჩოგბურთის ვეტერანი ვლადიმერ გაბრიჩიძე და ზემოთნახსენები ჩოგბურთის იმედი ირაკლი ლაბაძე ითვლებოდნენ. მათ ნახევარფინალამდე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიეს და იქაც არ გასჭირვებიათ უშანგიშვილ — ენუქიძის წყვილის დამარცხება 6:1, 6:4. მეორე ნახევარფინალმა შედარებით უფრო თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და სამხარაძე — მიდელაშვილის დუეტმა ცერცვაძე — ზედანია დაამარცხა 6:4, 7:5. მაინცდამაინც საინტერესო ბრძოლა არც ფინალში შემდგარა, თუმცა მატჩი ცუდი საყურებელი სულაც არ იყო. შეუთამაშებლობის ანაზღაურებას ინდივიდუალური მოქმედებებით ცდილობდნენ, რაც ხშირად ძალზე რიგიანადაც გამოსდიოდათ. როგორც ყოველთვის, ბადესთან ლამაზად ირჯებოდა გაბრიჩიძე, რომლის სმეშები და შემოვლებულები, ფაქტიურად, ყოველთვის აუღებელი იყო, ისევე, როგორც ლაბაძის შემოვლებები. დასამახსოვრებელი ბურთი ჩააგდო მეტოქისგან ზურგით მდგარმა მიდელაშვილმაც, თუმცა ბურთის ხაზზე დაცემა-არდაცემის საკითხი მსაჯებსა და მოთამაშეებს შორის საკმაოდ ცხარე კამათის საბაბი გახდა. ორივე სეტში უპირატესობას ლაბაძე — გაბრიჩიძეს წყვილი ფლობდა — ესენი საკუთარ მოწოდებას დიდი გაწამაწიის გარეშე ინარჩუნებდნენ, თავად კი ბრეიკების გახერხება მაინცდამაინც არ უჭირდათ. საბოლოოდ, მათ სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს — 6:2, 6:3.

ქალთა წყვილების ნახევარფინალები განსხვავებული სცენარებით წარიმართა. თუ კაკულია — თუხარელის დუეტმა საკმაოდ იოლად სძლია ზედგინიძე — მეტრეველისას 6:3, 6:3, ესებუა — ხუბულურს ჟვანია — დოლიძემ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და მატჩი მხოლოდ სამ ხელში დათმეს 6:4, 3:6, 5:7. კაცების ფინალისა არ იყოს, მაინცდამაინც დაძაბული არც ქალებისა გამოდგა — 19 წლის კაკულიასა და 24 წლის თუხარელის გამოცდილმა წყვილმა ესებუა — ხუბულურს ორ სეტში 6:4, 6:2 მოუგო, თუმცა, თუ ამ უკანასკნელთა ასაკს — 13 წელს გავითვალისწინებთ, მათი გამოსვლა ურიგოდ სულაც არ ჩაითვლება.

**ავთანდილ სვანიძე**



წყვილების ფინალი: ლაბაძე - გაბრიჩიძე და მიდელაშვილი - სამხარაძე



# ჩემპიონთა სავანე

გუშინ საქართველოს სპორტის აკადემიაში ზეიმი იყო: აკადემიის, ყოფილი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბს 50 წელი შეუსრულდა. რაც ამ ინსტიტუტის, აწ უკვე აკადემიის სპორტკლუბში გამოჩენილ სპორტსმენებს უმოღვაწიათ, ბარე ბევრ ამგვარსავე სასწავლებელს შეშურდება. სხვებს რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე მქუხარე სახელის გახსენებაც კმარა: პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან დავით ციმაკურიძე, დიდი ფალავნები გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე და ლევან თედიაშვილი, რობერტ შავლაყაძე, ნუგზარ ასათიანი, ვიქტორ სანეევი, ნინო სალუქვაძე...

აკადემიისა და სპორტკლუბის თავკაცებმა იუბილე ღირსეულად გადაიხადეს. რა თქმა უნდა, როგორც შეშვენოდათ, ჯერ შიდასაინსტიტუტო სპარტაკიადაც მოაწყვეს, შემდეგ კი საქართველოს სტუდენტთა კავშირის (ირაკლი დოლაბერიძე და მამუკა მაღლაკელიძე) ხელშეწყობით კონცერტიც გამართეს. საიუბილეო საღამოს არაერთი გამოჩენილი ქართველი სპორტსმენი დაესწრო — ინსტიტუტდამთავრებულებს აკადემიისა და სპორტკლუბის ქომაგებმა და, უბრალოდ, ლხინის მოზიარეებმა დაუმშვენეს გვერდი.

**ხათუნა პაიჭაძე**

# იგი წავა და სხვა მოვა



იგი — ბეკერი მსაჯს ეკამათება

**შტუტგარტი. გერმანია. „იუროქარდის" ღია პირველობა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 2,3 მილიონი დოლარი**

ბორის ბეკერის საჩოგბურთო ოდისეა კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა დასასრულს, როცა ოთხშაბათს ფრანკფურტის ტურნირის მეორე წრეში ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკთან დამარცხდა. გერმანელი მაყურებლების ფავორიტს ურიგოდ სულაც არ უთამაშია. პირველ სეტში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და ბრეიკის გახერხების შანსი ბეკერს უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ ყველა კრიტიკულ მომენტში კრაიჩეკი თავისი მძლავრი პირველი მოწოდებით გავიდა მშრალზე. უძლიერესის გამოვლენას ტაი-ბრეიკი დასჭირდა და ეს ერთი გეიმი უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონებმა ნამდვილად დასამახსოვრებლად გაითამაშეს — 15 წუთმა და 22 ქულამ ჩოგბურთის მოყვარულებს დიდი სიამოვნება მოჰგვარა. თავიდან ბეკერი დაწინაურდა, მაგრამ კრაიჩეკმა მინი-ბრეიკის ვალის დაბრუნება ორჯერვე არ დაახანა. 6:5-ზე გერმანელის სასარგებლოდ მსაჯებმა ფაქტობრივად მატჩის ბედის გადამწყვეტი შეცდომა დაუშვეს — კრაიჩეკს აშკარად აცილებული მოწოდება ეისად ჩაუთვალეს. ბეკერი ბევრს ედავა მთავარ მსაჯს, მაყურებლებმაც გვარიანად უსტვინეს და იგმინეს, მაგრამ მას თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. განფიცხებულმა გერმანელმა თავის მორიგ მოწოდებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ სეტ-პოინტი მაშინვე ბრწყინვალე მიღებით გადაარჩინა. საბოლოოდ ჰოლანდიელმა ამ მარათონულ გეიმში მაინც იმარჯვა 12:10 და 54 წუთს გაჭიანურებული პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მეორე სეტში ბეკერს მოწოდება საბოლოოდ მოეშალა, ვერც მეტოქის ნაჩუქარი ბრეიკით ისარგებლა და შტუტგარტში ასპარეზობაც უსახელოდ დაასრულა 6:7, 4:6.

ბეკერის ხანგრძლივი და იღბლიანი კარიერა დასარულისკენ მიდის, გერმანელებს კი უკვე ახალი კერპი გაუჩნდათ — 20 წლის ნიკოლას კიფერი, რომელსაც მეორე წრეში უმძიმესი გამოცდა ელოდა მსოფლიოს მეხუთე ჩოგნის — ინგლისელი გრეგ რუზეცკის სახით. პირველ სეტში კაცთა ჩოგბურთში უძლიერესი მოწოდების პატრონმა რუზეცკიმ თავისი საუკეთესო იარაღი დანიშნულებისამებრ გამოიყენა და ახალგაზრდა მეტოქეს თამაშის შესაძლებლობა არ მისცა, ხელის ბოლოს კი გერმანელის შეცდომებით ისარგებლა და ბრეიკი გაახერხა. ამ წარმატებას ინგლისელისთვის თითქოს სტიმული უნდა მიეცა, მაგრამ პირიქით კი მოხდა — მას პირველი მოწოდება ძველებურად აღარ გამოსდიოდა, მეორეზე კი კიფერი წარმატებით უტევდა. ამავე დროს გერმანელს ორივე მხრიდან უნაკლოდ გამოსდიოდა შემოვლებები, რამაც რუზეცკის დიდი თავსატეხი გაუჩინა — უკან დარჩებოდა, მეტოქის მძლავრ დარტყმებს ვერაფერს უხერხებდა, წინ გასვლისას კი მუდმივად აბრიყვებდნენ. ამასობაში კიფერმა ხუთი გეიმი ზედიზედ მოიგო და ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტი მესამე სეტის პირველი გეიმი გამოდგა — ახლგაზრდა გერმანელმა მრისხანე მეტოქეს კიდევ ერთხელ აართვა მოწოდება და მატჩი იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე 5:7, 6:2, 6:4.

არ გაუმართლა მეორე წრეში კიდევ ერთ მძლავრ მომწოდებელს — ხორვატ გორან ივანიშევიჩს. მან ინგლისელ ტიმ ჰენმანთან თამაში არც ისე ურიგოდ დაიწყო, მაგრამ მერე და მერე შეცდომებს ერთობ უმატა და, ჩვეულებისამებრ, ბრაზი ჩოგანზე იყარა, მაგრამ ამჯერად ხორვატს ცოტა ზედმეტი მოუვიდა — მისი გატეხვისთვის პირველ შენიშვნას მეორეც მიაყოლა და მსაჯს მეტოქისთვის ქულის ბოძებაც დასტყუა. ივანიშევიჩს კიდევ ერთი შენიშვნა რომ მიეღო, დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრავდა ხელს, ამიტომ მეორე ხელის დასაწყისშიც რომ ვერ ჩამოკრიფა ციდან ვარსკვლავები, საკუთარ თავს აღარ ენდო, მხრის ტკივილი მოიმიზეზა და თამაში შეწყვიტა. ხორვატი კორტიდან სულ სტვენა-სტვენით გააცილეს, მატჩის ანგარიში კი 6:3, 2:0 დარჩა ჰენმანის სასარგებლოდ.

ორი ყოფილი საბჭოელის — უკრაინელი ანდრეი მედვედევისა და რუსი ევგენი კაფელნიკოვის მატჩი მეტად უჩვეულოდ წარიმართა. ისინი თურმე ჯერ კიდევ დიადი სამშობლოს სახელით ასპარეზობდნენ ერთ გუნდში, საიდანაც სოჭელ ჟენიას უფროსი კოლეგის შიში დასჩემებია — პირად შეხვედრებში ახლაც გამუდმებით მარცხდება-ხოლმე. ამჯერად რუსს საკვალიფიკაციო ქულები ჰაერივით სჭირდება — ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვის, მედვედევი კი მესამე ათეულშია დაქვეითებული. ამან, ეტყობა, ჟენიას ძალა შემატა და პირველი სეტი მშრალზე მოიგო, მაგრამ მეორეში მედვედევმა ძველი დრო გაიხსენა და ახლა ამან დაიბრიყვა მეტოქე — 6:2. შედარებით თანაბარ გადამწყვეტ პარტიაში რუსმა იმარჯვა და მერვედფინალის საგზურიც მას დარჩა 6:0, 2:6, 6:4. მედვედევს მატჩში 11 ეისი და 15 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა.

**მეორე წრე: პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ენკვისტმა საზარდულის ტრავმის გამო ვერ ითამაშა; გუსტავო კერტენი (11, ბრაზილია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:7 (1:7), 6:3; პეტერ კორდა (15, ჩეხეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 6:3; მარსელო რიოსი (9, ჩილე) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:7 (7:9), 6:4, 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სერხი ბრუგერა (8, ესპანეთი) 7:5, 7:6 (11:9); ტოდ მარტინი (აშშ) — კარლოს მოია (6, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:2); სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — მაიკლ ჩანგი (2, აშშ) 7:5, 1:6, 6:4.**

„როცა წილისყრის შედეგები ვნახე, არ დავიჯერე, განთესილი ვიყავი და პირველივე მატჩი მაინც ბეკერთან მქონდა, მომდევნო — სამპრასთან. ასე ხშირად ვერ „გაგიმართლებს" — თქვა ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა, როცა გაიგო, რომ ერთ დღეს უიმბლდონის სამგზის ჩემპიონ ბორის ბეკერთან უნდა ეთამაშა, მეორე დღეს კი, წარმატების შემთხვევაში, უკვე უიმბლდონის ოთხგზის გამარჯვებულ და მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასთან. რიჩარდ კრაიჩეკი ამ ბობოლებთან თამაშს დანაკარგების გარეშე გადაურჩა — ერთი სეტიც არ წაუგია. დიდი სლემის თასის მერე უთამაშებელ სამპრასს ერთთვიანი იძულებითი შვებულება (მხრის ტრავმის გამო) მაინცდამაინც რომ არ წაადგა, მაგნუს გუსტაფსონთან მეორე წრის შეხვედრაშიც კარგად ჩანდა. 30 წლის შვედს სამპრასი კი გადაურჩა, მაგრამ ჰანოვერში მოსახვედრად მებრძოლ კრაიჩეკთან მსგავსი თამაშით არაფერი გამოუვიდა. ჰოლანდიელი [illegible] განმავლობაში [illegible] მიღებაზეც სწორედ მაშინ აკეთებდა შეუძლებელს, [illegible] რომ ეძლეოდა. [illegible] ტები საბოლოოდ ტყუპისცალებივით დაემსგავსა ერთმანეთს — კრაიჩეკმა ორივეში ბოლოსწინა, მეცხრე გეიმში აართვა მეტოქეს მოწოდება, იმ განსხვავებით, რომ ერთგან სამპრასი უკანა ხაზზე შეცდა, მეორეგან კი ბადესთან. ეს ორი შეცდომა მსოფლიოს პირველ ჩოგანს მერვედფინალში გავარდნად და შარშან ფინალში გასვლით მოპოვებული ქულების დაკარგვად დაუჯდა. „რიჩარდი, მე მგონი, მაინცდამაინც ჩემთან შეხვედრის დროს თამაშობს განსაკუთრებით კარგად" — თქვა მატჩის მერე სამპრასმა. კრაიჩეკი ერთ-ერთ იმ იშვიათ ჩოგბურთელთაგანია, რომლებიც მსოფლიოს პირველ ჩოგანთან პირად შეხვედრებში წინ არიან. იგი სამპრასს 4:2-ს უგებს.



რიჩარდ კრაიჩეკი

მერვედფინალებში საუკეთესო უდავოდ ორი განუთესელის — ნიკოლას კიფერისა და ჰოლანდიელი პოლ ჰაარჰუისის შეხვედრა გამოდგა. პირველ ორ სეტში ვერცერთმა მეტოქემ ვერ მოახერხა მეორის მოწოდების მოგება, ამიტომ ორივეჯერ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. პირველში უფრო იღბლიანი ჰოლანდიელი აღმოჩნდა, რომელმაც მეორე ხელში 5:4-ზე მატჩ-პოინტიც ვერ გამოიყენა. ორი გეიმის შემდეგ, ისევე, როგორც კრაიჩეკ — ბეკერის შეხვედრაში, მსაჯებმა აცილებული მოწოდება ეისად ჩათვალეს, ოღონდ ამჯერად მასპინძლის სასარგებლოდ. ამ შეცდომამ ჰაარჰუისი ისე გაამწარა, რომ მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ჩოგანს კეტივით ხმარობდა, მისი წაგების მერე კი ცთომილი გვერდითი მსაჯი გამოაცვლევინა. ამან მაყურებელთა აღშფოთება კი



სხვა — ნიკოლას კიფერი

გამოიწვია, მაგრამ სამაგიეროდ ჰაარჰუისი თავად უკეთ ათამაშდა — ნავსი გატეხა, მეტოქეს ორჯერ აართვა მოწოდება და 5:2 დაწინაურდა. მაგრამ თითქოს გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნას ელოდა, კიფერი დიდი ჩოგბურთელის დარად ათამაშდა. ჯერ მორიგი მატჩ-პოინტები უკვე მეტოქის მოწოდებაზე გადაარჩინა, მერე კი უკანა ხაზიდან იმისთანებს ისროდა ხოლმე, რომ ჰაარჰუისს თვალის გაყოლების მეტი აღარა დარჩენოდა რა. მაყურებელთა არანორმალური მხარდაჭერით გამხნევებულმა კიფერმა ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და ზედიზედ მესამე სამსეტიანი მატჩი 2 საათსა და 32 წუთში დაამთავრა — 6:7 (5:7), 7:6 (7:3), 7:5. აღფრთოვანებულმა დარბაზმა თავისი ახალი გმირი ფეხზე ამდგარმა გააცილა — ორშაბათიდან ახალი კლასიფიკაციის გამოქვეყნების შემდეგ კიფერი გერმანიის პირველი ჩოგანი გახდება.

**მერვედფინალი: მარსელო რიოსი — ევგენი კაფელნიკოვი 7:6 (8:6), 6:3; პატრიკ რაფტერი — დავიდ პრინოშილი (გერმანია) 3:6, 6:2, 6:1; იონას ბიორკმანი (13, შვედეთი) — ტიმ ჰენმანი 6:2, 3:6, 6:3; პეტერ კორდა — სედრიკ პიოლინი 6:3 (პიოლინმა ბარძაყის ტრავმის გამო მატჩი ვეღარ გააგრძელა); მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ფაბრის სანტორო 6:3, 7:5; ტოდ მარტინი — გუსტავო კერტენი 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**

## რაგბი

# ადიდასმა ნაიკი დაცა

იყიდება მსოფლიო რაგბი. იყიდება საუკეთესო გუნდებითურთ!

ჯერ იყო და ავსტრალიის „ვოლაბები“ „რიბოკმა“ ჩაიგდო ხელთ და ოქროსფერი კვართი მწვანითა და თეთრით დაუჭრელა. მერე სამხრეთი აფრიკის „ქურციკებმა“ უგანეს მშობლიურ „ლაიონ ლაგერს“ და „ნაიკს“ მიეყიდნენ. მერე კიდევ ამავე „ნაიკმა“ ინგლისსაც გადააფარა მზრუნველი კალთა, რისი წყალობითაც ქვეყნის ნაკრების ოდესღაც სულ თეთრი კვართი მორიგ ცვლილებას განიცდის და ამიერიდან ბეჭზე ორი წითელი სალტით დამშვენდება.

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს“ აქამდე იქაურივე „ქენთებრი ინთერნეშენალი“ მოსავდა. ეს კომპანია მსოფლიოს იმდენადაა მოდებული, რომ ორი კვირის წინ თბილისში გამართული საერთაშორისო მატჩის ორივე მონაწილეს — საქართველოსა და ხორვატიასაც მისი შეკერილი ფორმა ეცვა.

„ქენთებრის“ ზელანდიური კონტრაქტი 1999 წლის 1 ივლისს უთავდება. ამიტომ იყო, ქვეყნის რაგბის კავშირმა ტენდერი რომ გამოაცხადა. მედიის ცნობით, მასში ისევ და ისევ „ნაიკს“ უნდა გაემარჯვა, რაც ზელანდიის საზოგადოებრიობას საკმაოდ უფორიაქებდა სულს, ამერიკელებმა ემანდ კვართის გამოცვლა და დისნეი-ლენდში შოუს გამართვა არ მოთხოვონ ჩვენს მობურთალ გმირებსო.

მაგრამ აი, გათენდა ორშაბათი და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმაც გამოაცხადა, რომ „ოლ ბლექსს“ უპატრონებს არა „ნაიკი“, არამედ გერმანული „ადიდასი“. ზელანდიელებს სპონსორობის კონკრეტული თანხა არ გაუმხელიათ, მაგრამ მედიას რა დაემალება. მისი შეფასებით, „ადიდასს“ გარიგება 45 მილიონი დოლარი კი დაუჯდა, მაგრამ მაინც იმდენად წესიერი ფირმაა, რომ ზელანდიელებს უკადრისს არაფერსა თხოვს. ოღონდ თქვენს რაგბის აკადემიას დაარქვით ჩვენი სახელიო, მოკრძალებით შეუთავაზებიათ გერმანელებს.

ლუკა ჯორჯიაშვილი

## მსოფლიო თასის შესარჩევები

### ევროპა

შემდეგ, ბოლო ევროპულ სტადიაზე გადის ორ-ორი მოწინავე

ბ ქვეჯგუფი: ბელგია 13 — რუმინეთი 83 (13ლ), უკრაინა 48 — ბელგია 5. ამათ გარდა მონაწილეობენ პოლონეთი და პოლანდია

გ ქვეჯგუფი: ჩეხეთი 45 — ანდორა 20, ანდორა 11 — გერმანია 56 (7ლ), გერმანია 31 — ჩეხეთი 17. ამათ გარდა მონაწილეობენ ესპანეთი და პორტუგალია

გერმანიამ გამოჩხრიკა და ათამაშა ნატალის (სამხრეთი აფრიკა) სათადარიგო 10 ნომერი ჰანს სკრიბა, ვისაც დედა ყოლია გერმანელი.

### ამერიკა

მეორე სტადია: ტრინიდად-ტობაგო 6 — ჩილე 35, ბერმუდა 52 (10) — ტრინიდად-ტობაგო 6 (6), ჩილე 65 — ბერმუდა 8

ჩილე გავიდა ზონის ბოლოსწინა, მესამე სტადიაზე, სადაც ურუგვაი და პარაგვაი დაუხვდნენ. ამ სამეულის გამარჯვებული დაემატება არგენტინას, აშშ-სა და კანადას და ოთხეულის შეჯიბრში გინდაც ბოლო ადგილზე დარჩეს, სანუგეშო შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას მაინც დაიბევებს.

## ეგ რა ბურთაობააო?!

ლათინთა თასი

მეორე ტური. 22. 10. ლურდი

არგენტინა 18 (15) (2ლ: სკელსო (7), ხ. ფერნანდეს-მირანდა (23); გ (23) და 2ს (40, 80): ფერნანდეს-მირანდა) — იტალია 18 (6) (6ს (16, 36, 47, 51, 70, 75): დომინგესი) (4 ათასი მოსეირე).

საფრანგეთი 39 (27) (5ლ: სანტანდრე (15), ტურნერი (26), მერლი (34), საჯარიმო (72), ბენაზი (76); 4გ (-76) და 2ს (4, 8): ლამეზონი) — რუმინეთი 3 (3) (ს (29): ტოფანი) (10 ათასი)

მონაგარი: საფრანგეთი 4 ქულა; არგენტინა 3; იტალია 1; რუმინეთი 0. ბოლო ტური. 26.10. ტარბი: იტალია — რუმინეთი, საფრანგეთი — არგენტინა

საფრანგეთმა უსიტყვოდ კი ძლია რუმინეთი, მაგრამ მეორე ნახევარში მაყურებელმა გუნდი სტვენით აიკლო, ეგეთი არეული, შეცდომებით სავსე ბურთაობა არ მოგვწონსო. ამაზე გუნდის უფროსობამ თავი იმართლა, თუ მეტოქეს მხოლოდ თამაშის ჩაშლაზე და ოფსაიდებზე უჭირავს თვალი, კარგი, უწყვეტი, თანამედროვე რაგბი როგორღა გამოვაო.

იტალიამ მეორე ნახევარში აჯობა არგენტინას, მაგრამ მოუქნელობის გამო ლელო ვერ გაიტანა. გაიტალიელებული არგენტინელი დიეგო დომინგესის გოლებმა ვერ უშველათ ევროპელებს — ამერიკელებმა წამატებულ დროში გააყაიმეს ანგარიში.

### საქართველოს პირველობა

დღეს გასამართი „ყოჩები“ — „აზოტისა“ და „გუმარი“ — „აიას“ მატჩები კვირის ფეხბურთის გამო ორშაბათისთვის გადაიდო. ზეგ რაგბი ვაკის სტადიონზე დღის სამი საათიდან გაჩაღდება.

## აფროსნობა



„ი-ეფ ლენგვიჯის“ გაბურძგნულ მექიმეს, ავსტრალიელ ჯასთინ ქლაფერს (მარჯვნივ) ქეიფთაუნში ჯანიანი კალიფორნიელი საცოლე ქერი სთენფილდი (იახტის უნიფორმაში) შეეგება და მიესიყვარულა

როიტერი ქეიფთაუნიდან

# ქეიფთაუნში პაემანების დროა

ამერიკელი სკიპერი პოლ კაიარდის შვედურმა ნავმა გარსაქვეყნო ნაოსნობის პირველი, უგრძესი სტადია რომ მოიგო, ხმელეთზე აიტანეს და შეკეთება დაუწყეს. რაც უნდა იყოს, მეორე სტადია: ქეიფთაუნი (სამხრეთი აფრიკა) — ფრიმენთლი (დასავლეთი ავსტრალია) სულ მალე, 8 ნოემბერს იწყება.

„ი-ეფ ლენგვიჯმა“ ისე იცურა, რომ სტადიის რეკორდი გააუმჯობესა და ფინიშს დაგეგმილზე ერთი დღით ადრე, სამშაბათ დილით უწია. მთლად ასე ვერ იყოჩაღეს მისმა უახლოესმა მდევრებმა — მონაკოსა და ნორვეგიის იახტებმა. ისინი ოთხშაბათს, აისამდე, ქეიფთაუნის თეიბლ-ბეის თითქმის ერთდროულად მიადგნენ, მაგრამ მერე გამოცდილმა ზელანდიელმა გრანთ დოლთონმა ამ „ვითბრედის“ უმრწემეს კაპიტან კნუტ ფროსტადს მაგრად აჯობა. „მერით ქაფმა“ ფინიშის ხაზი გრინვიჩის დროით 01.20 საათზე გადაკვეთა, „ინოვეიშენ კვერნერმა“ — 03.09-ზე. არადა, დოლთონს მეტოქის შანსები უფრო სარწმუნოდ მიაჩნდა, რადგან თავად უყაირათოდ მოეხმარა სპინაკერები (აფრის სახეობაა) და კიდევ, აქვე შევნიშნოთ, რომ სამხრეთი აფრიკის დრო გრინვიჩისას ორი საათით აღემატება.

ამ „ვითბრედში“ პირველადაა, რომ საბოლოო გამარჯვებული ჯამური დროით კი არ გამოვლინდება, არამედ ქულებით. I სტადიის სირთულის კოეფიციენტი 12 იყო, შეჯიბრში კი 10 ნავი მონაწილეობს. ამათი გადამრავლებით და სამი მოწინავისთვის 6, 3 და 1 პრემიალური ქულის მიმატებით ორგანიზატორებმა თითოეული ეკიპაჟის მონაგარი გამოიყვანეს.

პრემირებულთა კვალად ფინიშზე ლორი სმითის ბრიტანული ნავიც მიცურდა. ქეიფთაუნის აკვატორიუმში ქარი სუსტი და ცვალებადი მიმართულებისა ქროდა, ამიტომ „სილქ ქათმა“ რის ვაინაჩრობით უწია მიზანს. და მაინც, სკიპერი ბედნიერი იყო, რადგან ნაპირზე ცოლი პენი, ვაჟი ქრისი და ქალი ემბერი („ქარვა“) დაუხვდნენ. გოგო სწორედ ამ დღეს შესრულდა ოთხი წლისა.

ნაოსნობის დაწყებამდე ბუქმეიქერებს ფავორიტად ზელანდიელი ქრის დიქსონის „ტოშიბა“ მიაჩნდათ. ამ ნავის თანა-კაპიტანი დიდი ამერიკელი დენის ქონერი რომაა, ამის გამო გამარჯვების შანსები 11:4-ად შეუფასეს. მერე მოდიოდნენ „მერით ქაფი“ 3:1 და „ინოვეიშენი“ 7:2.

ბუქმეიქერებმა ვერ გამოიცნეს: „ტოშიბა“ ქეიფთაუნში გუშინ დილით, გრინვიჩის დროით 05.23-ზეღა მიცურდა და VI ადგილი დაიჭირა. მას აჯობა „ჩესი რეისინგმაც“, რომელიც ოთხშაბათს მეყსეულ გრიგალში მოყვა და დედა-აფრის დაშვება რომ დააპირა, სათანადო მექანიზმმა უმტყუნა. აფრა უშნოდ დაეკიდა ანძაზე, მაგრამ ეკიპაჟმა ბოლოს მაინც უვნებლად ჩამოხსნა და შვებით ამოისუნთქა, რაკი გასაცური კიდევ 450 მილი რჩებოდა.

მიხო ნინუა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

I სტადია. საუთჰემპთონი — ქეიფთაუნი

21 სექტემბერი — 22 ოქტომბერი (7350 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | სკიპერი | დღ-სთ:წთ.წმ | ქულა |
|---|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | პ. კაიარდი | 29-16:54.26 | 125 |
| მერით ქაფ | მონაკო | გ. დოლთონი | 30-12:20.11 | 110 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | კ. ფროსტადი | 30-14:09.06 | 97 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | ლ. სმითი | 31-14:17.00 | 84 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | ჯ. ოლსოპი | 32-06:12.42 | 72 |
| ტოშიბა | აშშ | ქ. დიქსონი | 32-16:23.14 | 60 |
| | | | დარჩა | |
| ემერიქაზ ჩელენჯ | აშშ | რ. ფილდი | 17.5 | 48 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | გ. კრანცი | 96.1 | 36 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | კ. გიუ (ქალი) | 353.5 | 24 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდია | პ. ბუსხოლცი | 616 | 12 |

## ქიციცა & ქიცმაიურიც



# ნასუქთა ხელში სუმოს პეწი დაეკარგაო

უფროთავს ბებერი იოკოძუნა, აწ კი იაპონიის სუმოს ასოციაციის თავკაცი, 59 წლის შო საკაიგავა, ვისაც იაპონელ სპორტის ქურუმთაგან პირველს მიენიჭა ფრანგული „საპატიო ლეგიონის ორდენი“.

ამის მიზეზი ისაა, რომ სუმოს ბოლო ხანს პეწი დაკარგვია. არა, შოს მავანი ტრადიციონალისტებისგან განსხვავებით ის კი უკლავს გულს, რომ რიკიშებში უცხოელები — ჰავაელები, მონღოლები და არგენტინელ - ბრაზილიელებიც მომრავლდნენ, არამედ ის, რომ კატასტროფულად იმატა მოჭიდავეთა წონამ.

საკაიგავას ერთობ აწუხებს, ჭეელი სუმისტები ოსტატობაში რომ მოიკოჭლებენ და ოდენ წონით ფიქრობენ ლელოს გატანას. დღევანდელები რაკი მეტისმეტად მძიმენი არიან, ქოშინით სუნთქავენ, ძლივს დაბობტებენ და ტრავმებსაც მრავლად იღებენ, რის გამოც ასპარეზზე მრავალ ადგილას გადაბინტული გამოდიან და ხშირად უბრძოლველადაც ნებდებიან მეტოქეს.

ეს ყველაფერი მაყურებელს სუმოზე გულს უყრის. წელიწადში ექვსი ფალავნობა იმართება. მათ მომწონებებს ხალხის მიზიდვა სულ უფრო და უფრო უძნელდებათ, რადგან ქონის ტიკინათა ბღლარძუნი ნელი და უმულამოა.

რეზო ნემსაძე

## ავტორბოლა

# მიეცი ნიჭსა გზა ფართო!



ეს ბიჭუნა ძალზედ შორს წავა. ვინიცობაა ქართველი ვილნევი ანაც შუმახერი დადგეს.

შვიდი წლის ირაკლი მელითაურზე მოგახსენებთ. 1990 წლის 2 თებერვალს დაბადებული მცხეთის ქუჩელი პლეხანოვზე, 27-ე საავტორო სკოლის მეორე კლასში დაიარება, რაც თავისთავად ბევრ არაფერს უნდა ნიშნავდეს, ერთი გარემოება რომ არა: ირაკლი მშობლებმა სადაც კი მიაბარეს, ყველგან ფრიად გამოიჩინა თავი.

ბიჭი ოთხი წლის ასაკიდან ქართული ცეკვის ანსამბლშია და სოლოებს ასრულებს. სამი წლისა მთის თხილამურებს ეზიარა და იქაც გამორჩეულია. აფროსნობაში — ვინდსერფინგშიც ცადა ძალა, მაგრამ ჯერ ღონე რომ ვერ ყოფნის, დაფით უაფროდ დასრიალებს.

და მაინც, ირაკლი უპირველეს ყოვლისა ავტომრბოლია — კარტს დააგრიალებს. ფორმულა-1-ის ყველა დიდმა პილოტმა კარიერა სწორედ რომ ასეთ სადა მანქანაზე დაიწყო. ქართველი ბავშვი გამონაკლისი რაღად იქნებოდა, მით უფრო, თუ კარტინგს ჩვენში საკმაო ტრადიცია აქვს.

ტრადიცია კი გაგვაჩნდა, მაგრამ ამ სახეობის საქმე ბოლო ხანებში კარგად ველარ გვქონდა. ბედად, ამ ორი წლის წინ ბატონ შალვა ობგაიძის თაოსნობით ეროვნული ფედერაცია დაარსდა და შეჯიბრებებიც გაჩაღდა. ხვალ, რუსთავის ავტოდრომზე, დღის 12 საათზე მეკარტეთა III პირველობის სტარტია. იქ თბილისის გარდა მრბოლები თელავიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან და მეზობელი სომხეთიდანაც კი ჩავლენ. თუ პირველ ჩემპიონატში სულ ხუთი მონაწილე იყო, ახლა 20-25 მანქანის მონაწილეობას ვარაუდობენ.

რუსთავში, რა თქმა უნდა, ირაკლიც ირბოლებს. ქართული ავტოსპორტის თემი ისე მოუთმენლად ელის ვუნდერკინდის ასპარეზობას, რომ „სარბიელის“ ზეპურ ავტოსპორტზე მწერალი ალეკო ჭაბუკიანი საგანგებოდ დაპატიჟა.

კარტინგში ირაკლის წარმატებები მართლაც უმაგალითოა. ბავშვი საჭეს პირველად ხუთი წლისა მიუჯდა. მას აქეთ ერთთავად ბევრად უფროსებს ეჯიბრება, მაგრამ საპრიზო სამეულს მიღმა არასოდეს დარჩენილა.

მართლად თქმულა, კვიცი გვარზე ხტისო. ირაკლის მამა — ბატონი ნიკოლოზიც ავტომობილისტია, ოღონდაც მერალე. ძველ გულშემატკივრებს ეხსომებათ წიკლაურ — მელითაურის ქართული ეკიპაჟი, რალის საკავშირო პირველობებში რომ მონაწილეობდა. უფროსი მელითაური ნავიგატორი იყო, ახლა კი ვაჟის წარმატებებმა იმდენად შეაგულიანა, რომ მის კბილა ბავშვებს თამამად იღებს კარტინგის წრეში.

ბოლო ხანია, ქართულმა მედიამაც საკადრისი ყურადღება მიაპყრო უმცროსი მელითაურის წარმატებებს. მასზე პირველად „ჯორჯიან თაიმზმა“ დაწერა. მერე სიუჟეტი ტელევიზიის პირველი არხით, „ასპარეზშიც“ გადაიცა. ირაკლის სურათიანი გაზეთი გერმანელმა ტურისტებმა შინ გაიყოლეს და დიდ მიხაელ შუმახერს გაუგზავნეს.

„შუმი“ ფრიად ყურადღებიანი კაცი გამოდგა. ქართველი ბიჭი თავის კლუბში ჩარიცხა და ტრადიციული, ავტოგრაფიანი ფოტოს გარდა საგაისო ლუქსემბურგის დიდი პრიზის ბილეთის განაცხადიც გამოუგზავნა. ირაკლი 1998 წლის 27 სექტემბერს ნიურბურგრინგზე რომ მოხვდეს და თვალდათვალ უყუროს ფორმულა-1-ის კორიფეთა შეჯიბრს, არც თუ ისე დიდი თანხაა მოსაგროვებელი. საამისოდ ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილია ირაკლი მელითაურის ანგარიში: კოდი 220 101 078, ანგარიშის ნომერი 000 161 378, პირადი ანგარიშის ნომერი 000 700 901.

ნიურბურგრინგზე ქართველი ვუნდერკინდის მივლინება ქართული ავტო საძმოს თვითმიზანი როდია. ჩვენი კარტინგის ფედერაცია ჯერაც ვერაა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფია) კარტინგის კომისიის წევრი, რის გამოც აქაურ ნიჭიერ დამწყებ მრბოლებს დიდი სარბიელისკენ მიმავალი გზა დახშული აქვთ.

ჰოდა, ირაკლის მეშვეობით თუ მოხერხდა ბლოკადის გარღვევა და მსოფლიო ასპარეზზე გაჭრა, XXI საუკუნეში ვინძლო ფორმულა-1 ჩვენთვის ისევე ახლობელი შეიქნეს, როგორც დღეს ფეხბურთი, ჭადრაკი ანაც ჭიდაობა არიან.

ოლეგ შუშანაშვილი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29